კარაპეტ გრიგორიანცი

ძველი თბილისის იშვიათი ამბები



თბილისი
2011

© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი 2011

გამომცემელი	ლაშა ბაქრაძე
წიგნზე მუშაობდნენ	თეა თვალავაძე, ნანა კიკნაძე, ნათია ცხვედიანი
კორექტორი	მარინა ხუბულური
ფოტორეპროდუქციები	მირიან კილაძე
კომპიუტერული მომსახურება	ირინე ამირიძე, ლიანა ქიტიაშვილი

ლიტერატურის მუზეუმი მადლობას უხდის

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმს (საქართველოს ეროვნული მუზეუმი) კარაპეტ გრიგორიანცის 33 ნახატისა *და საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმს* 6 ნახატის მონოდებისთვის

ლიტერატურის მუზეუმი მადლობას უხდის კომპანია *მაგთიკომს*

გამოცემის დაფინანსებისთვის

დაიბეჭდა სტამბაში *პეტიტი*

ISBN 978-99940-28-68-9

მაგთი
MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

მხატვარი კარაპეტ გრიგორიანცის ბიოგრაფია

მხატვარი კარაპეტ ვართაზარის ძე გრიგორიანცი დაიბადა 1866 წ. განჯის გუბერნიაში ყაზახის მაზრის სოფელ კულალიაში.

მამა მისი იყო სოფლის გლეხი წერა-კითხვის უცოდინარი, მაგრამ მეტათ ნიჭიერი და განათლების დამფასებელი. ის ყოველთვის ამბობდა, ისიც საკმარისია, რაც მე უსწავლელობით ვიტანჯებიო, ჩემს შვილებს მაინც ქალაქში დავფანტავ, რომ წერა-კითხვა მაინც შეისწავლონ და თავიანთ თავს არგონო. აი ამ გვარი აზრისა იყო მამა კარაპეტისა, უსწავლელ ბრძენს რომ იტყვიან, სწორეთ ის იყო, მართალი მოლაპარაკე, საერთოთ ყველას მოყვარული, უწყინარი, ღვთის მოშიში და მშრომელი. თავის სიცოცხლეში სხვის ნაშრომს არ მიითვისებდა, ერთხელ ქისით თორმეტი მანეთი ფული ეპოვნა და ისევე იქ დაეტოვა, ალბათ პატრონი გამწარებულის ძებნით მოვა და იპოვნისო, რაც ჩემი ოფლი არ არის, ის მე არ შემერგებაო.

თავისი გონიერულის ცხოვრებით სხვებსაც მაგალითათ უხდებოდა. როდესაც ციება შეხვდებოდა, არამც თუ ზანტისავით დასწვებოდა და ცახცახს დაიწყობდა, არამედ ბაღის ღობების დიდრონ ქვებს ასწევდა, დასწევდა, გაასწორებდა, ოფლს მოიდენდა და ციებას ამით მოერევოდა და კიდეც მორჩებოდა. მეზობლები გაოცებული შესცქეროდნენ და კვირობდნენ, თუ თავისი ჭკვიანის საქციელით წყეულ ციების სენს როგორ ერევა და რჩება.

ის ყოველთვის ამბობდა: „ყველა ადამიანი თავის თავის ექიმია, თუ-კი შნო და მოხერხება მოსდევდსო". მთელს თავის სიცოცხლეში ავათ არ გამხდარა მეტის მეტი შეგნებულის ცხოვრების გამოთ. სიკვდილამდისინ იყო ჯან მრთელი და ზომიერი მშრომელი, დღისით ძილი და წარა მარა ცივი წყლის სმა სულ არ იცოდა. ხარბათ პურის ჭამას და ღვინის სმას ერთობ ერიდებოდა და სხვებსაც უშლიდა.

სამკურნალო და სამეცნიერო საგნებს ყველას

სათითავოთ უხსნიდა და საბუთებით ბუნების სიძ-
ლიერეს ამტკიცებდა.

ის მეტათ დიდ ხანს იცოცხლებდა, მაგრამ მე-
უღლის ადრეულ სიკვდილმა დღენი შეუმცირა და
საფლავი დაუახლოვა.

მშობლების სიკვდილის შემდეგ უპატრონობის
გამოთ იმათი ოჯახი გაღარიბდა.

სულ დარჩნენ ხუთი შვილი – სამი ვაჟი თბი-
ლისში და ორი ქალიც იქვე სოფელში გათხოვილი.

ეს სამივე ძმები იყვნეთ თბილისის გამოჩენი-
ლი მოქალაქე არტემ იუზბაშევთან, რომელიც იმ-
დროის დიდი გავლენიანი პირი იყო. იმის ხელში იყო
მთელი სალიანის თევზის იჯარა. იყო დიდი მეგო-
ბარი ილია ჭავჭავაძისა, მირზოევისა, ალელოვისა,
ფითოევისა და არამაკლისოვისა. ჭიპა, სათალი,
ზურგიელი და დოში არტემ იუზბაშევის სახლის
სარდაფები სავსე იყო. თავათ იუზბაშევი იყო ქეი-
ფისა და ლხინის მიმყოლი. ნამდვილი კეთილ შობი-
ლი უხვი აღა კაცი. აი ამისთანა ღირსეული კაცის
მფარველობის ქვეშ იყვნენ კარაპეტა და თავისი
ორი ძმები.

ყველაზე უმცროსი კარაპეტა იყო, ამის გამო-
თაც ყველა საქმეში ძმებს ემორჩილებოდა.

ყარსის ომების დაწყებიდანვე 1877 წელს კა-
რაპეტას დიდი ძმა გულის სიხარბით გასწია ყარ-
სის მხარეს და დიდი ძალი ფულით და ფართლეუ-
ლობითაც ჩამოვიდა, წავიდა სოფელში დაქორწილ-
და და უპატრონო ოჯახს მოვლა მოშენება დაუწყო.
შუათანა ძმაც წავიდა თელავში, სადაც სამსახური
მიიღო ერთს კეთილშობილ თავადი ვახვახოვის
ოჯახში. ბოლოს კარაპეტაც დაიბარა თელავში და
ქართული წერა-კითხვის სასწავლებლად მიაბარა
ერთს იქაურ სომხის მღვდელს, რომელიც გათქმუ-
ლი იყო მთელს კახეთში და მრავალ მოწაფებსაც
სწურთნიდა და ასწავლიდა ძველ ქართულ ენას და
ქორონიკოს ანგარიშებს. პატარა კარაპეტა იმ მღვ-
დელთან სამი წელიწადი უნდა დარჩენილ იყო, რო-
გორც სხვა მოწაფები, მაგრამ კარაპეტამ ყველა
მოწაფებს გაასწრო და ყველაფერი გაიზეპირა, თუ

სამღვთო წერილი, თუ ბუნების კარი, თუ წმინდანების ცხოვრება, თუ იგავ-არაკნი, თუ ქორონიკოს ფულის ანგარიშები და სხვა ამისთანები. სამი თვის შემდეგ მასწავლებელ მღვდელმა კარაპეტას ძმა დაიბარა და ყველაფერი აუსხნა, რომ ყმაწვილი იშვიათი გონების პატრონი გამოდგა და მოკლე ხანში ყველა საგნები დაისრულა. ამის შემდეგ ძმამ კარაპეტა მიაბარა ერთ იქაურ ბაზაზის დუქანში, სადაც შვილის გვარად უვლიდნენ და ინახავდნენ. რაკი კარაპეტა პატარაობიდანვე ხატვასა და ლექსების წერას მიზდევდა, ამის გამოთაც ყველანი იმის ხაზეინს ეუბნებოდნენ: „ამსუსია ეს ბავშვი რომ ვაჭრობაზედ არის მიბარებულიო". იმდრის საკითხავი წიგნები თითებით დაითვლებოდა, საქართველოს ყველა კუთხეზე გავრცელებული იყო „ყარამანიანი". ეს მიმზიდავი მოთხრობა შესდგებოდა თექვსმეტი კარიდან ანუ წიგნებიდან, რომელიც გადმოთარგმნილი იყო სპარსულიდან. „ბუნების კარი" გოგებაშვილისა, „სიბრძნე სიცურე" საბა სულხან ორბელიანისა, „ვისრამიანი", „ბეჟანიანი", „სარიდონიანი", „ეთერიანი", „ვარდბულბულიანი", „ვეფხვის ტყაოსანი", „მირიანი", „დავრიშიანი", „დავითიანი" და სხვა ამის თანები. იმ დროის ხალხს მეტიც არ უნდოდა. იმათ გაგონილი არც-კი ქონდათ დარვინისა, ნანსენისა, შექსპირისა, შილლერისა და სხვათა შესახებ.

პატარა კარაპეტა 1884 წელს თელავიდან თბილისში ჩამოვიდა და სამხატვრო აკადემიაში სიარული დაიწყო. ნელნელა გაიცნო იმდროის გამოჩენილი მხატვრები: კოლჩინი, ლონგო, გელვინგი, ბაშინჯაღიანი და სხვანი. 1890 წელს ჯვარის მამის ქუჩაზე გააღო საკუთარი სახელოსნო და დიდი ძალი ხალხი მიიზიდა და მოხიბლა თუ სურათებით, თუნდა დროშებით და თუნდა საეკლესიო ნახატებით. 1895 წელს თბილისის სახელოსნო სამმართველომ უბოძა მოწმობა და ჩარიცხა სამხატვრო ხელოსანთა შორის მწევრად. 1894 წელს თბილისში პუშკინის ქუჩაზე ბუფეტ სიმპატიაში დახატა ქვეყნიერებაზე გამოჩენილი ბრძენ-მეცნიერთა სურა-

თები, რომლის გამოთ პუშკინის შვილის შვილისაგან მიიღო დიდი მადლობა პირადათ ნახვისთვის თავის პაპის სურათისა. აგრეთვე ინგლისელი მოგზაურებისაგან, რომლებმაც პირადად მადლობა გადაუხადეს კარაპეტ გრიგორიანცს გამოჩენილ ინგლისელ პოეტებისა და მეცნიერთა სურათების დახატვის გამოთ.

სამხატვრო ნიჭის დასურათება მგონია საკმარისი უნდა იყოს. ახლა გადავალთ გრიგორიანცის სალიტერატურო ასპარეზის დასურათებაზე. ბავშვობიდანვე იმისი დაწერილი ლექსები, პოემები და პიესები რომ დარჩენილ იყო, აუარებელ მასალას შეადგენდა, მაგრამ დროთა ბრუნვამ არც იმას შეარჩინა. ზოგი დაიკარგა და ზოგიც ნათესავებმა მოჰპარეს.

ძველ სამეცნიერო ეფრემვერდიდან პირველად გრიგორიანცმა ქართულ ენაზე გადასთარგმნა ეფრემვერდი, რომელშიაც უძველეს დროიდანვე აწერილია მოძრაობა ცის მნათობთა, მომავალი წლების შემთხვევანი, ადამიანის აგებულობის მნიშნეულობა, ბრძნული აზრები: არისტოტელისა, პლატონისა, სოკრატისა, დიოგენისა და სხვათა მრავალთა.

ეს წიგნი პირველად დაიბეჭდა ქართულ ენაზე 1897 წ. მერე ზედიზედ რამდენიმე ჯერ კიდევ გამოიცა. 1894 წელს გრიგორიანცის პიესა „ძმისმკვლელი" პირველათ ითამაშეს არაქსიანის თეატრში, რომლის შესახებ გაზეთ „ივერიაში" და „ცნობის ფურცელში" აწერილ იყო ავტორის ნიჭის დიადობა. 1904 წელს დაიბეჭდა გრიგორიანცის დიდი სურათებიან წიგნი „გასაოცარი ამბები", რომელშიაც აწერილია მთელი ქვეყნიერების იშვიათი და უცნაური ამბები.

1910 წელს დაიბეჭდა იმისი ლექსი სათაურით „ვერელი ვარინკას ქება".

1911 წელს პოეტი გიორგი სკანდაროვის თხოვნით დაიბეჭდა გრიგორიანცის შედგენილი საუცხოვო წიგნი „პლანეტების მოძრაობა და სიზმარი".

1912-1913-1914 წლებში მთელი ვეფხვის ტყაოსანი სომხურ ენაზე პიესათ გადასთარგმნა და

სომხურ დასს წარუდგინა, მაგრამ სიძნელის გამოთ გადადებული იქნა.

1895 წელს შეადგინა და გამოსცა 60 ბრძენ მეცნიერთა და მანქანების შემომღებთა სურათების ჯგუფი.

ახლაც გამზადებულია დასაბეჭდათ მხატვარი კარაპეტ გრიგორიანცის შედგენილი საუკეთესო წიგნები:

1) მოგზაურობა კაცის მჭამლებში.
2) ოქრომჭედელ საქულას მკვლელი.
3) ქვეყნის ბოლო.
4) ბედნიერი ცოლ-ქმრობა.
5) სიბრძნის წყარო.
6) უცნაური რძალი.
7) ლექსთა კრებული.
8) ჯან-მრთელობის ღირსება.
9) ძველი თბილისის „იშვიათი ამბები“.

ეს უკანასკნელი წიგნი მთავრობამ მიიღო დასაბეჭდათ.

1928 წელს. ქ. თბილისი

ძველი თბილისის იშვიათი ამბები

ქალაქის სახლები

საქართველოში მოგზაური ფრანგი შარდენის გადმოცემით, რომელიც მოგზაურობდა სამასის წლის წინად, ძველი თბილისი წარმოადგენდა ერთ უბანს. ესე იგი განჯის კარებიდან ვიდრე გარეთ უბანი, ანუ აბანოებიდან ვიდრე რუსის ბაზარი. ქალაქ თბილისი იყო ჩავარდნილი ოთხი სიმაგრის შუაში, აღმოსავლეთის მხრიდან ერტყა განჯისკარის მაღალი კედელი, სამხრეთის მხრიდან უფრო მაღალი და მაგარი ნარინყალის გალავანი, დასავლეთის მხრიდან გარეთ უბნის უმაგრესი ქვიტკირის გალავანი რკინის კარებითა და ჩრდილოეთის მხრიდანაც მდინარე მტკვარი, რომელიც ხშირად ლეკების შემოსევას ათასნაირათ ეღობებოდა ხოლმე. ეს ჩემი ნათქვამი კედლები ჯერ ისევ დღესაც მოწმობენ ძველი ქალაქის წარსულში დარჩენილ უძველეს ნაშთებს. მაგალითად, ყველას შეუძლია თავის თვალით გასინჯოს ხარფუღის უბანში მდებარე ძველი საბაჟოს ნანგრევი კედლები და ალაყაფის კარები, სადაც შედიოდნენ განჯის მხრიდან, ყარაბაღის მხრიდან და სპარსეთის მხრიდან მოსული ქარვანები. აგრეთვე მოწმობენ გარეთ უბნის კედლების საძირკველები და ნანგრევები, ნარინყალიდან დაწყობილი მუხრანიანი ხიდამდისინ. ძველი ხალხი დღესაც ეგზარხის უბანს სასახლის უბანს ეძახის და იარმუნკასაც გარეთ უბანს ეძახის. ამ ჩვენი ქალაქის მდებარეობა ერთობ უვარგისია, თუ ხალხისთვის თუნდა საქონლისთვის და თუნდა ტრამვაისთვის. ამის გამოთაც უბედურება ძალიან ხშირათ არის ხოლმე. რამდენჯერ ელექტრონის ტრამვაის ვაგონის ტორმოზი სისუსტისაგან ვერ დაუმაგრებიათ და სირიალით თავდაღმართზე ჩაქანებულა, გამოვარდნილა ლიანდაგიდან და მრავალი ხალხი უმსხვერპლია. ესეთი საშინელი უბედურება მოხდა ვერის თავდაღმართზე 1910 წელს და ციციანოვის აღმართზე 1926 წელს. თბი-

ლისის ქუჩები სპარსეთის ქალაქების ქუჩებისავით ძალიან ვიწროები იყო, ისე რომ ახალგაზდა ყმაწვილები ხშირად ერთი ბანიდან მეორეზე გადახდებოდნენ ხოლმე.

სადაც დღეს არქიელის სასახლეა და სახელოსნო სასწავლებელია, სწორეთ იმ ახლომახლოებში ყოფილა თუ მეფის სასახლე, თუნდა ხაზინა, რაც შეეხება საჯირითო და საბურთაო მოედნებს, ესენი ყოფილა ალექსანდრეს ბაღის მიდამოებში, საბურთალო კიდევ ვერის ვაკე მინდვრებზე.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ პირველ ხანად ძველ თბილისში სახლებათ იყო შუაცეცხლის მაღალ სანათურიანი დარბაზები. ამგვარი დარბაზები მე ჩემის თვალით მინახავს ოქრომჭედლების უბანში, სადაც ბანის სიმაგრის გამოთ რიგზე შენახული კოჭები ახალს გვანდნენ. ეს დარბაზები ოთხ ბოძზე იყო აშენებული და ეს ბოძებიც იყო ჭდაჭდა აჭრელებული.

შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის დარბაზიანი სახლები 1860 წლიდან ნელნელა ელფერს იცვლიან და მერე ცალ სართულიანი სწორე ბანიანი სახლები შემოდის ხმარებაში. როგორც ვსთქვი, დარბაზებში ზამთარ ზაფხულ ინთებოდა შუაცეცხლი. რაკი ბანი ღია ქონდა, არც ზამთარში სახლი თბებოდა და არც ზაფხულობით სიცხე დგებოდა. ახლა რაკი გარემოება იცვლება და შენდება ბანიანი სახლები, მაშინ იმაში ზამთრობით იდგმევოდა ქურსები. ქურსი ასეთი იყო: შუაოთახით პატარა თონეს ამოსთხრიდნენ და შიგ გაღუებულ ნაშხის[1] ჩასდგამდნენ, მერე იმ ორმოში სახლის მწევრები ფეხებს ჩაჰკიდებდნენ, საბანსაც ზედ დაიფენავდნენ და ისრეთ თბებოდნენ. ამგვარი ქურსები ჯერაც დღეს ყარსის ოლქში ყველგან ხმარებაშია, რადგანაც იქ შეშა ძალიან ძვირია და არც მახლობლათ ტყე არის სადმე.

სახლის კედლებში დატანილი იყო წალო[2] და სხვა თახჩები[3] ქვაბების და ჯამების დასალაგებლათ. ოთახის ნახევრამდისინ დიდი და დაბალი ტახტი, რომელზედაც ყველანი სადილობდნენ და მწკრივათაც წვებოდნენ. ამ ტახტზე დღისით ეშა-

ლათ ხალიჩა სპარსულის ქეჩითა და ლურჯი სუზანითა[4], ორსავ მხარეს მუთაქებითა, სხვა და სხვა ავეჯი არცა ქონდათ, არცთუ საჭიროება მოითხოვდა. პურის ჭამა დღეში სამ გზის იყო მიღებული, დილით საუზმე, სადილი და სამხარი, ვახშამი სულ არ იცოდნენ. გაშლიდნენ ლურჯ სუფრას ტახტზედა. თუ ზამთარი იქნებოდა, ზედ ქურსზედ შლიდნენ. ხონჩებით მიიტანდნენ პურსა და ყველანი ერთ დიდ ჯამში სჭამდნენ. ოთახს ერთი კარები ექნებოდა, ორიც ფანჯარა. ფანჯრების მინის ნაცვლათ ტყავის ბუშტებს აკრავდნენ, ისე როგორც დაირებზეა გაკრული.

სახლების ბანები ისეთი სუფთა და დატკეპნილი იყო, რომ ცემენტი გეგონებოდათ, რადგანაც მუდმივათ ზედ რგვალ ქვას აგორავებდნენ და მიწას ამაგრებდნენ. საღამობით ბანებზე ხალიჩებს გაშლიდნენ და იქ მღერა ცეკვაში დროს ატარებდნენ. ჩაის სმა ხმარებაში არ იყო. სამოვრების შემოღება 1870 წლიდან შემოვიდა. მოქალაქეთა ყოველგვარი მიხრა მოხრა სპარსული ყოფა ცხოვრებიდან იყო გადმოღებული. ამის მიხედვითაც ოჯახის უმცროსათ ითვლებოდა პატარძალი, იმის სახეს ვერც ვინმე დაინახავდა და ვერც თუ ხმას გაიგონებდა. ის იყო ყველას მორჩილი მონა. იმას გაუთენებლივ უნდა წყალი მოეტანა, მერე ყველასთვის პირი დაებანებინა, პური ეჭმევინა და ისრე გაესტუმრებინა. ოჯახის ერთ ერთ მწევრს თუ უნდოდა პატარძლის ლაპარაკი ანუ მისი სახის ნახვა, საჩუქარს მისცემდა, მერე სახესაც ნახავდა და ლაპარაკსაც გაიგონებდა. ასე და ამგვარათ იყო ჩვენი ძველი მოქალაქეთა საერთო ცხოვრების სურათი. ისე ეზოში ვერ შეხვიდოდით, რომ შიგ თორნე არ ყოფილიყო. ეს დიდ საჭიროებას წარმოადგენდა, რადგანაც მაშინ ბაზარში პური არსად იცხობოდა და თუნდაც პური ეცხოთ, მაინც მოქალაქისთვის დიდი სირცხვილი იქნებოდა გარედან სახლში პურის შეტანა.

მეპურები სულ არ იყვნენ, მხოლოდ სადაც ფურგუნები დგებოდა, მაგალითად რიყეზე, დაბახანებთან და ავლაბარში, იმისთანა ადგილებში აქა

იქა იშვიათათ ნახავდი ფურნებს. ეზოებში თონეების გარდა თითქმის ყველგან ხეხილები იცოდნენ, მეტათ ლეღვისა, ონაბისა[5] და თუთისა.

ძველი დროის სანათი

ცხადი საქმეა, ძველ დროიდანვე ყველა ქვეყნებში ცეცხლის ხმარება მიღებული იყო და სამუდამოთაც იქნება. რაც შეეხება განათებას, ესეც ცეცხლის გარდა როგორღაც საჭიროდ სცნეს და კიდეც შემოიღეს. მხოლოთ ყველა ქვეყნებში სხვა და სხვა რიგათ.

ველურები ცეცხლის სინათლეს კმარობენ, დავრიშები, არაბები და ინდოელები ჭრაქებს ხმარობენ, უფრო საშუალ ადგილებში ნავთსა ხმარობენ, კულტურიან განათლებულ ქვეყნებში ელექტრონის სინათლეს ხმარობენ, უმეტეს წერტილის განათლებულნი-კი, როგორიცა ამერიკა, ისინი ელექტრონსაც აღარ ხმარობენ, არამედ სარგებლობენ ედისონის შემოღებულის სითხით, რომელიც ოთახის კედლებზე წასმით მუდმივ ანათებს, ისე როგორც მზე.

1870 წლიდან თბილისის მდიდარი მოქალაქე მირზოევი ბაქოდან აქლემებით ნავთს ეზიდებოდა ქალაქში, მაგრამ რადგან ხალხი ჩვეული არ იყო და არც ლამპები იყო შემოღებული, ამისგამოთ მირზოევის მოზიდული ნავთი ქალაქი ყიდულობდა ქუჩების ფარნების ასანთებად, ნავთის ხმარებას ხალხი ისე ერიდებოდა, როგორათაც ეხლა ჩვენ ბენზის ვერიდებით და გვეშინიან. თბილისში ნავთის ნაცვლად შემოღებული იყო ქონის ჭრაქები. რაკი დარბაზები ოთახებად გადაკეთდა, მერე შემოიღეს ქონის სანთლები. დიდრონი და მაღალი ყვითელი თითბრის შანდნები იყო და ზედ ქონის სანთელი დარჭობილი მაკრატელისავით მაყაშიც[6] შანდანზედ დებული, რომლითაც მალმალ სანთლის ცხვირი უნდა მოეხოცათ, რომ რიგზე გაესინათებინა. ქონის სანთლის შემდეგ შემოიღეს კარტოფილის სანთელი, რომელიც არც ქონისავით ყარდა



და აღარც ცხვირის მოხოცვა სჭირდებოდა. იმ ჟამად მირზოევის ნავთი იყიდებოდა გირვანქა 20 კაპ. მაინც არავინ ეკარებოდა ისე ეშინოდათ, რომ ნავთის სახელის გაგონებაც ეჯავრებოდათ. 1880 წლიდან ნელნელა ნავთი ხმარებაში ჩავარდა, მაგრამ სიძვირე ყველას ხელს უშლიდა. 1882 რკინის გზა ბაქომდისინ მივიდა და კიდეც ყველგან გაამსო ნავთით. უცებ ქალაქში ნავთის ფუთი გახდა 40 კ. ესე იყო კარგა ხანს. კიდეც შემოიღეს ყველა ოჯახებში ნავთის ხმარება. მერე მთავრობამ ნავთს აქციზი დაადვა და ფუთი გახდა 1 მ. 20 კ.

რაკი ხალხი მიეჩვია, მაშინ სიაფეს და სიძვირეს ნიშნეულობა აღარ ქონდა. ლამპები შემოიღეს და ნავთი ყველგან ხმარებაში ჩააგდეს.

ჯერ ისევ დღესაც უჩვენებენ თბილისის უნივერსიტეტის ზემო სართულში ძველ თბილისის იმდროის ჭრაკებსა, შანდნებსა, მაყაშებსა, ფარნებსა და ათასგვარ სხვა და სხვა იშვიათს სამკაულებსა და ავეჯულობასა.

ძველებური ტანთ-საცმელები

ყველა შეგნებული ადამიანი ადვილად მიხვდება, თუ სპარსულ წეს წყობილებას როგორი გავლენა ქონია საქართველოზე. ესენი ჩანს ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე. გინდათ ქუჩების სივიწრო თქვით, გინდათ იმდროის ქალების ჩადრები. გინდათ ვაჟკაცების ფაფხები, ქულაჯები და აბები[7] სთქვით. ერთი სიტყვით ძალიან მრავალი ამგვარი მაგალითებია. კაცების ტანისამოსი მოქალაქეთა და თავად აზნაურთა თითქმის ერთმანეთის მგზავსები იყო. თავზე ეხურათ დიდრონი ბუხარის ფაფხები, პერანგის მკერდი წითელი ყანაოზისა[8], პერანგის ზემოდან ყოშებიანი აბრეშუმის ახალუხები. ახალუხზედაც აზ ყოშებიანი[9] შავი მაუდის კაბა ანუ ბეწვიანი ხავერდის ქულაჯა. თუ თავადები იყვნენ, წაღებს იცვამდნენ თეთრებს და წვეტიანებს, თუ მოქალაქენი იყვნენ, დაბალ ყელიან ხარაზის წაღებს იცვამდნენ, რომელ-

საც განიერი ბუზმენტიანი[10] შარვალი ლამის ფარავდა. საერთოთ მოქალაქენი ისე განიერ და ძვირფასიან შარვლებს იცვამდნენ, რომ ერთი საზანდარისთვის მეტსახელად შარვალ-პეტრუსა დაერქმიათ. თურმე შარვლის ნაპირებზე, ესე იგი ტოტების წვერებზე ოთხი თითის სიგანე ოქროს ფერ ვერცხლის კლაპიტონს[11] ავლებინებდა.

ძველი ხალხი ისე უზრუნველად სცხოვრობდა, ისე სიაფეში ლივლივებდა, რომ მთელს სიცოცხლეში ცხოვრებისთვის იშვიათად იზრუნავდა. ისინი თავიანთს დღეს აღამებდნენ ლხინებში და საერთოთ დროს გატარებაში, იმ დროის მეზობლობაში გარჩევა არ იყო, მუდმივათ რიგის პურივით ხან ერთგან სადილობდნენ ხან მეორეგან. პური, ღვინო, ყველი და ხმელი თევზი ყველას ოჯახში უხვათ იშოვებოდა. ბაზარში საყიდელი არაფერი ქონდათ, თუ ხორცი დასჭირდებოდათ, ორ აბაზ მისცემდნენ ერთ ბატკანს შეიძენდნენ და მერე გაინაწილებდნენ. ამგვარადვე ღორებს, ხბოებს და დიდრონ ორაგულის თევზებს იყიდდნენ და მეზობლობაში გაინაწილებდნენ.

აქედან ნათლად დავინახეთ, რომ მოქალაქებს და თავად აზნაურებს საზრუნავი და საყიდელი არაფერი ქონდათ, მაშასადამე, იყვნენ ძალიან მშვიდათ, უდარდელად და მყუდრო ცხოვრებაში. შვილი დედმამის მორჩილი მონა და ცოლი ქმრის ერთგული მეუღლე. იმათი დროს გატარება იყო ბანებზე ნარდის თამაშობა და ძველი იგავ არაკით მეზობლების გართობა. მთელს საქართველოში, უფრო მეტ ნილად კახეთში სომხისა და ქართველის გარჩევა სულ არ იყო. ქალების თხოვნა, ნათლი-მამობა და მჭიდრო მეგობრობა ჩვეულებრივი საქმები იყო.

ქალების ტანისამოსი პირველ ხანად ძალიან განიერი კაბებიდან შესდგებოდა. კაბების ქვემო ნაპირებზე ფოლადის მავთული ქონდა შემოვლებული, რომელიც ისე ინახავდა, თითქოს ქარს გაებეროს. იმ გვარი სიგანე ქონდათ მაშინდელ კაბებს, რომ ქალი გზაში გავლის დროს ნახევარ ქუჩას აბანდებდა. ზემოდანაც სპარსელ ქალების გვარად ეს-

ხათ თეთრი მანდილი. წინა ხანებში საერთოთ საქართველოს ქალები ჩადრებით სახესაც მალავდნენ, მაგრამ ნელ ნელა გადავარდა, მაგრამ ჩადრების ხმარება 1880 წლამდის გასტანა. ამგვარ ჩადრებს საერთოთ ყველა ქალი ხმარობდა, ბებრებიც, შუახნის ქალებიც და ქალიშვილებიც. ისე რომ ადამიანი გათხოვილს და გასათხოვარს ვერ გაარჩევდა. ქალიშვილებსაც ჰასაკში შესულ დროს თავს დახურავდნენ და ჩადრს წამოასხავდნენ, რომელსაც ქართულათ მანდილს ვეძახით. ეს მანდილები თათრის ქალებისა სხვა და სხვა ფერისა არის, უფრო ხშირად-კი შავი ფერისა არის, ქრისტიანი ქალებისა-კი საერთოთ თეთრები იყო. ძალიან ხშირად მოხდებოდა, რომ ვაჟი ქალის უნახავად დანიშნულ იყო. ესეც, რა საკურველია, სპარსეთიდან იყო შემოსული, როგორათაც „არშინ მალალანში" ყველას გვინახავს, თუ მისი ავტორი როგორ დასცინის სპარსულ ჩვეულებას, უფრო იმ საგანში, რომ ვაჟი ინიშნება და ქორწილდება ქალის სახის უნახავათ.

ხაბარდიანი[12] კაბების შემდეგ შემოვიდა ქართული კაბები, სარტყელ გულისპირიანი, მაგრამ რადგან ძვირად ჯდებოდა, ყველა ხალხი ვერა სწვდებოდა იმების ჩაცმას. ამგვარ კაბებს და ზედაც ხავერდის კაპიშონებს მხოლოდ თავადების ქალები და მდიდარი მოქალაქის ქალები იცვამდნენ. უკეთუ შუახნის ქალები იყვნენ, მაშინ ბეწვიან ქათიბებს იცვამდნენ, მაგრამ მაინც ზემოდან მანდილი უნდა წამოესხათ, ამის გამოთაც ქართულად ერქვა „მანდილოსანი" ამგვარი ქართული კაბები იკერებოდა უმეტესად აბრეშუმის ნაჭრიდან, რომლის ქვეშეთი იუბკაც აბრეშუმისა იყო, ამის გამოთაც, როდესაც ქალი სწრაფის ნაბიჯით გაივლიდა, შახი შუხი კარგა შორს ისმოდა. თავის სამკაულიც ძალიან საუკეთესო გემოვნებით იცოდნენ, თავზე იხურავდნენ ნაკერ ბლონდის[13] ლეჩაქებს ნასტაის[14] არშიებით მოქარგულს, შუბლის თასაკრავი ერთობ კლაპიტონით ნაკერი და შემკული ალმას ბრილიანტის ქინძის თავითა. მკერდი ამოღებული და ნაკერი კლაპიტონით მოქარგული, ზედ ოქროს ძეწკვით სა-

ათ ჩამოკიდული. მკლავები კაბის სახლებიდან გამოტოვებული და მკერდის ნაჭრის ფერებით კლაპიტონით მოქარგული, წელ ქვემოთ ორ ნაჭრად ფეხებავდისინ ჩამოკიდული ნაკერი სარტყელი ანუ სხვა ყვავილებით შემკული, სხვა და სხვა ფერებით დამშვენებული. ნაწნავები წელზე დაშვებული, წინ კავები მოხდენით დახუჭუჭებული. საყურები და თითების ბეჭდები ძვირფასის თვლებით შემკობილი და შესაფერად დამშვენებული.

ამ გვარად მოსახდენათ მორთული ქალი თუ თავათაც ბუნებისაგან სილამაზით დაჯილდოვებული იქნებოდა, ადამიანის თვალი იმაზე საუკეთესო სანახავს რაღას ნახავდა.

საქართველოში მრავალგვარი მოდები შემოვიდა, მაგრამ ეს ჩემი აწერილი ქართული კაბები მაინც დარჩენილია ხალხში და დღესასწაულებში მაინც კიდევ იცვამენ და წარსულ დროს ადამიან მოაგონებენ ხოლმე.

მანდილების გადავარდნის შემდეგ შემოვიდა შლეიფიანი და რუშებიანი კაბები. ეს კაბები მარტო შემძლე ხალხისთვის იყო სახმარებელი რადგანაც სიძვირისგამოდ, ღარიბი ქალები მარტო ცქერით კმაყოფილდებოდნენ. ამ რუშებიან კაბებს ვიწრო განის აბრეშუმის ნაჭერი სჭირდებოდა ერთ საკაბეს 40 არშინი. განიერი ნაჭრისა-კი 30-25 არშინი. ამ გვარ კაბებს ორი არშინი კუდივით უკან შლეიფი დასთრევდა, ამის გამოთაც პოეტი სკანდარნოვი თავის ლექსებში ამბობს:

ქვრივო, შენი შლეიფი ორთაჭალის ქეიფი.

მელექსე გივიშვილიც იმავე წლებში სწერს:

ეხლა კაბებს იკერავენ
ოცდახუთ არშინიდანა.
თუ ქალს მოდაზე არ ეცვას,
ვერსად გავა შინიდანა.

ეს რუშებიანი კაბები ძალიან ძნელი შესაკერი რამები იყო. კაბის ზემო მხრიდან დაწყობილი კუდების ბოლომდისინ სულ პლისიროვკით დაწყობი-

ლი რუშები იყო, ამ რუშების სიგანე ერთი ციდა იქ-ნებოდა, რომელიც კაბის გარშემო მრავალჯერ იყო შემოვლებული და ზედი ზედ ორი თითის სიგანეზე დაფარებული.

ამგვარი კაბების ხმარება გასტანა რამდენიმე წელიწადს, ამის შემდეგ შემოვიდა ტურნულიანი კა-ბები, ტურნულიანი კაბებიც რუშებიანის მგზავსი იყო, მაგრამ რაკი კაბებს მაღლა სწევდა, იმის წყა-ლობით კაბების კუდებს ნახევარი არშინი აკლდებო-და, ტურნული ნახევარი საზანთროს მგზავსი მოქ-სოვილი რამე იყო, რომელსაც ქალი უკან ტანზე იმაგ-რებდა ზოლტებით. და მერე ზედ კაბას იცვამდა, რო-დესაც ქალები თავიანთ კაბების კუდების აწევიდან მობეზრდნენ. მერე შემოიღეს ჩანგალი, რომლითაც კაბის შლეიფებს ჩანგლით გვერდზე იმაგრებდნენ.

სომეხთა მწერალი რაფფი სწერდა.

გამვლელ ქალსა ხშირად ნახავთ
კუდს სწევდეს ყაირათითა.
იტყვით, თუ ქუჩების დაგვა
აუღია ფოდრათითა.

ტურნული ქალების წელზე სწორეთ უნაგირის მგზავსად იდგა. ბავშვი რომ ზედ შემომჯდარიყო, ადვილად დაეტევოდა. მაგრამ რას იზამთ, რომ მო-და იყო და ქალებიც მოდის მონებად გაჩენილან. იგივე რაფფი სწერს:

ვერაფერი გამიგია,
წყეული მოდა რა არი.
გელაქნურის გამყიდველსა
არა ყავს ისე მუშტარი.

საკვირველი ის არის, რომ იმგვარი ძვირფასია-ნი კაბების ჩამცმელები ფეხსაცმელებზე ყურადღე-ბას არ აქცევდნენ. ჩულქებს თავად ქსოვდნენ და ბაშმაკებიც იყო რეზინის ყელიანი ხარაზის შეკერი-ლი. ამ საქმეს მე იმას ვაბრალებ, რომ ეხლანდელი-ვით ქალების არც ფეხები ჩანდა და არც კანჭები. რომ უსათუოთ ფერადი ტუფლები და ფერადი ჩულ-ქები დასჭირებოდათ. მთელს ქალაქში ფეხსაცმე-

ლების მკერავნი მარტო ხარაზხანაში და მეიდნის თავზე იყვნენ. წითელი ჩუსტები, კიდევ რომლებსაც ქალები სახლებში იცვამდნენ, მოდიოდა ერზრუმიდან. იმისი ბაზარიც იყო პატარა სირაჯხანა, სადაც ეხლა ურიების კოპერატივია. ქალების მზითევი იქნებოდა ერთი ხელი ლოგინი, ერთი ხალიჩა, ერთი გრძელი ქეჩა, ერთი ლურჯი სუზანი, ორი მუთაქა, ერთი ლურჯი სუფრა, ერთი ტაშტი თავის ტოლჩით, ერთი რგვალი სარკე და ერთი წყვილი ბაშმაკი წითელი ჩუსტებით ანუ ფლოსტებით.

მე კარგათ არ ვიცი, თუ ქრთამი რა დროიდან შემოსულა საქართველოში, მაგრამ ეს კი მრავალ ჯერ მინახავს, რომ ჯვარის წერის ღამეს სასიძო მინამ დაპირებულ ფულს არ ჩაიბარებდა, ადგილიდან ფეხს არ მოიცვლიდა. წინად მრავალი სასულიერო პირები ცდილობდნენ, რომ ქრთამი როგორმე ხალხში მოესპოთ და გადაეგდოთ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. ბოლოს დროს თავისთავად მოისპო და ერთიანად გადავარდა, როგორც ვსთქვით, აქაური წესწყობილება ყველა გზით სპარსულზე იყო მიბაძული. პატარძალი ჯერ სამშობლო ოჯახის ქანს[15] ემთხვევოდა, მერე დედმამის ხელებზე აკოცებდა და ისე წავიდოდა ეკლესიაში. სახეზე და წელზე ერთიანად ლეჩაქდაფარებული, რომ მისი სახე არავის დაენახა.

მაშინდელი ქარხნები

რა დროიდანაც მე ამ იშვიათს ამბებს ვწერავ, იმ დროს თბილისში არც რკინის გზის დეპო და სახელოსნო იყო, არც არსენალში მუშაობა იყო, არც ადელხანოვის ქარხნები იყო, არც საპნის ზავოდები იყო, არც თუთუნის ქარხნები იყო. მთელს თბილისში სამუშავო ქარხანა მხოლოდ იყო მირზოევის ამერიკის საქსოვი ფაბრიკა, სადაც ბლომათ ხალხი მუშაობდა. სამუშავო ადგილები ხალხს სულ არა სჭირდებოდა, რადგანაც ხალხი ძალიან ცოტა იყო ქალაქში და არაფრის საჭიროებას არა გრძნობ-

და. სპარსეთიდან მოდიოდა თეთრი ხამი, წითელი შილა[16] და სასარჩულე შილის ჩითები, ესენი იყიდებოდა ძალიან იაფ ფასებში და პირიანად. თუნდა სპარსეთიდან არაფერი არ მოსულიყო, მაინც ქალაქის ხალხი იმის გამოთ არ შესწუხდებოდა, რადგანაც ბამბას თავათ რთავდნენ, მერე ხამებათ ქსოვდნენ ლურჯათ და წითლათ ენდროთი ღებავდნენ და იცვამდნენ, საცვლებად, ახალუხებად, ბავშვების შარვლებათ, სუფრა სალფეთკებად, ლოგინების სარჩულ პირებად და სხვა მრავალგვარ საჭიროებისათვის. ხალხი უზრუნველ ცხოვრებაში იყო, რადგანაც ტანი შემოსილი ქონდა, მუცელი მაძღარი. სანოვაგის სიაფის გამოთ ყველასთვის სტუმარი სანატრელი იყო. არავითარი ნალოგი, არავითარი გადასახადი იმას გონებას არ უმღვრევდა და დარდი დარდზე არ ემატებოდა.

დღიური მუშისთვის საქმე მუდმივად შეუწყვეტელი იყო, რადგანაც ქალაქში შენობები ერთთავად კეთდებოდა. აღდგომიდან დაწყობილი თოვლის მოსვლამდე დღიურ მუშას საქმე არ აკლდებოდა. ყოველ წლივ იმდენი შენობები კეთდებოდა, კალატოზი თათრები სამუშაოდ სპარსეთიდან ჩამოდიოდნენ და საცხოვრებელ საქმეებს შოულობდნენ. ორთა შუა რიცხვით ხელფასი ოსტატებისა იყო 40-50 კაპ. მუშისაც დღიური ხელფასი 20 კაპ. სპარსელი მუშები დღესაც ლაპარაკობენ, რომ დღეში ორშაურსა ვხარჯავდით და ორშაურსაც ვაქუჩებდით და ცოლ-შვილში ვგზავნიდითო. მეაგურე თათრის მუშები დღეში ერთ აბაზს ყაბულდებოდნენ და ამ ფულიდან თავიანთ სამშობლოშიაც-კი გზავნიდნენ. ისინი საერთო ბინაზე უფასოდ იძინებდნენ, ამის გამოთაც დღეში ორი შაური ლავაშში და ჩაიში ადვილად ყოფნიდათ, სხვა ხარჯები იმათ არ იცოდნენ, შეიძლებოდა კვირა უქმობით ხორცის გემო ენახათ, ისიც შაურის კერძი სათვითავო კაცსა აკმაყოფილებდა. სანოვაგის მეტის მეტი სიაფის გამოთ ყველა მოხელე და მუშა კაცი ოჯახისთვის შემოდგომიდანვე ყიდულობდა ყველაფერს და ამზადებდა, იმის გამოთაც მთელს ზამ-

თარს ატარებდა უზრუნველად და უდარდელად. როგორც წინა ფურცლებში გავიგეთ, სამუშავო ფაბრიკები და სხვა ქარხნები სულ არ იყო. გარდა კერძო საკალატოზო საქმებისა. ქალაქიც ასიოდე მუშას ინახავდა ქუჩების დასაგველად. იმ დროს მოქალაქენი მეეზოებს არ ინახავდნენ, გარდა ღამის ასასებისა[17], ისინიც ყარაულობდნენ მხოლოდ ბაზრის დუქნებს და არა სახლებს. ამის მიზეზითაც იმთავითვე პოლიციის დარაჯების უქონლობის გამოდ მუდმივად ქალაქის სახლები, დუქნები და ხალხი ერთავათ იცარცვებოდა. როგორც შემდეგში დაინახავთ მთელს ქალაქში პოლიციის მოხელენი ათი სული არ იქნებოდა, რაღა თქმა უნდა, რომ ცარცვა გლეჯა და კაცის კვლა ხშირი იქნებოდა.

ამგვარი საქმები ყველაზე უფრო ხშირად ხდებოდა „ეშმაკის" ბაზარში, ანუ აბანოების უბანში, სადაც სპარსელები, ოსმალეთის ხალხი და სხვა მხრიდან ჩამოსულნი უსათუოთ იქ მოიყრიდენ თავსა, რადგან ფურგუნები იმ უბანში ჩერდებოდნენ, „ეშმაკის" ბაზრის მგზავსი ადგილი ერთიც იყო რიყე, სადაც გაყიდული საქონლის პატრონი ფულს თავის სახლში ვეღარ მიიტანდა, ან ჯიბიდან ამოაცლიდნენ, ან ბუმაჟნიკს დაუგდებდნენ, განგებ ფულს აპოვნინებდნენ, ან კიდევ ყალბი ქამრისა და სხვა ნივთების მიყიდვით ჯიბებს ერთიანად დაუცარიელებდნენ. უკეთუ ამგვარ იშკილბაზობით ვერაფერს გააწყობდნენ, მაშინ სადმე დაჰპატიჟებდნენ და კარტის თამაშობაში ერთიანად გააკოტრებდნენ და ანაზდათ აქა იქა მიიმალებოდნენ. 1860 წლის შემდეგ თბილისში ნელნელა გაიხსნა თამბაქოს ქარხნები და ცოტ ცოტა სამუშავო საქმები გამოჩნდა. ოსმალეთიდან ქალაქში ჩამოვიდნენ ნიკოლაი ბოზარჯიანცი, ამბარცუმ ენფიაჯიანცი და სალი-ოღლი. იმ ჟამად პაპიროსზე ბანდეროლი არ იყო, არც თუთუნზე აქციზი იყო, ამის გამოთაც გახსნილი პაპიროზი და ფოთლიანი თუთუნი ღია ყველგან იყიდებოდა, იმის შემდეგ სხვა თუთუნის ქარხნებიც გაიხსნა რომელთა გვარები ზეპირად მახსოვს. ესენი იყვნენ, დავლიანოვი, აზნაურავი, სა-


ХРАМУАМ

ლოიანცი და სხვები. იმ დროს არც ერთი მანქანა არ იყო შემოღებული, თუთუნი იჭრებოდა ხელითა, მუშტუკი იკვრებოდა ხელითა. ერთი სიტყვით, ყოველივე წვრიმანი საქმე კეთდებოდა ხელითა, ამის მეოხებით ქარხნებში კარგა ბლომად ხალხი სჭირდებოდათ, როდესაც მანქანები შემოვიდა და ხელით სამუშავო საქმები მეტათ შემცირდა, მაშინ ბევრი მუშა იქმნა დათხოვნილი, რომელთაც არეულობა დაიწყეს და ხაზეინებს საცხოვრებელი მოსთხოვეს. ქარხნის პატრონებმა პოლიციის დახმარებით ყველა საქმე გაასწორეს და ზედმეტი მუშები ყველა დაითხოვეს. დათხოვნილი მუშების ბედ იღბალ ზედ მალე გაიხსნა ორთაჭალაში ადელხანოვის ქარხანა, სადაც მზადდებოდა რუსის ლაშქრისათვის ნაბდები, პადოშები, ტყავები და ფეხსაცმელები. ამ ქარხნების საქმე ისე კარგათ წინ წავიდა, რომ საქონელს ვეღარ ასწრობდნენ. მთელი დამოჟნის უბნისა და ავლაბარის ხალხი იქ შოულობდნენ საცხოვრებელ საქმეს. ამას მოემატა მადამ ტოლეს საპნისა და ზეთის ქარხნები, შემდეგში გაისხნა სარაჯიშვილის სასმელების ქარხნები და ამით შვება მიეცა თბილისის მშრომელ ხალხის ცხოვრებას.

ფოთი-თბილისის რკინის გზა

1878 წელს რკინის გზა პირველად შემოვიდა თბილისში. გაოცებული ქალაქის ხალხი შეუწყვეტლივ თამაშად მიდიოდა და გაკვირვებული აღტაცებით შინა ბრუნდებოდა. რადგანაც ბათუმი ოსმალეთის ხელში იყო, ამისგამოდ ლიანდაგი კამპანიამ დაიწყო ქალაქ ფოთიდან ზედ სურამზედ გამოვლით. რადგან ინგლის-გერმანიის თანადასწრებით გადაწყდა, რომ რუსის მიერ ახლად დაპყრობილი ქალაქ ერზრუმი ოსმალეთს უკანვე დაუბრუნდეს და მის სამაგიეროდ რუსეთს ბათუმი გარდაეცეს. ამის გამოთაც ბათუმის ლიანდაგი ფოთის გზას შეურთეს და წიფის გვირაბიც გასჭრეს.

1880 წელს რუსეთის მთავრობამ თბილის-ფოთის რკინის გზა 82 მილიონად შეისყიდა და თბილის-ბაქოს ლიანდაგიც გაიყვანა, რომელიც დამთავრდა 1883 წელს. შეიძლება ეს ჩემი ნათქვამი სიტყვა მკითხველს საეჭვოთ მიაჩნდეს, რომ ვსთქვა პირველ ხანად რკინის გზას უცქერდნენ როგორც ერთ საშიშო და სახიფათო რაიმეს, იმერეთისა და ქართლის ხალხი ვაგონში ჯდომას ფეხით ანუ ფურგუნით სიარულს რჩევობდა, როგორათაც ნავთის ხმარებისა ეშინოდათ და ერიდებოდნენ, ისრეთაც ვაგონში ჯდომას შორს გაურბოდნენ.

იმერეთიდან და ქართლის მხრიდან ხილეულობა და ჭირნახული ისევე ურმებით და ფურგუნებით ჩამოჰქონდათ თბილისში, ამის მიზეზით რკინის გზა ყოველთვის ზარალში იყო. მართალია იმ დროს მოსამსახურე მოხელეებიც ძალიან ცოტანი იყვნენ და არც სხვა და სხვა სამმართველო დაწესებულებანი იყო, მაგრამ მაინც გასავალი შემოსავალს სჭარბობდა. იმ არემარეზე სადგურის მეტი შენობა არსად იყო. არსენალიდან დაწყობილი ნემეცების კალონიამდისინ ცარიელი სახნავ სათესი მიწები იყო, სადაც ბოლოს დროს ლუდის ქარხნის პატრონები ქერებს სთესავდნენ. ჯერ კიდევ 1882 წლიდან დაწყობილი ბაქოს ლიანდაგის გაყვანის შემდეგაც ლენინის უბანში და მახლობელ ხიდების ქვეშ ხშირად გამვლელს და გამომვლელს სცარცვამდნენ, ან სასმელს დაალევინებდნენ და იმათ დააძინებდნენ, ნადიროვკიდან დაწყობილი დიდუბემდისინ საღამობით ადამიანს არ გაევლებოდა.

შეუფერებელ წესწყობილების გამოთ რკინის გზებზე ქურდობა და ცარცვა გლეჯა მეტათ გახშირებული იყო, ვის ჯიბეშიაც ფულს დაიგულებდნენ ბათუმამდისინ და ბაქომდისინ ქურდები თან გაჰყვებოდნენ და უსათუოთ ვაგონშივე გასცარცვამდნენ. ან მოწამლულს პაპიროზს უთავაზებდნენ და იმით დააძინებდნენ, ან სასმელს დაალევინებდნენ და იმით დააძინებდნენ, ან პორტმანს დაუგდებდნენ და თავისავე ნებით ფულებს ამოაღებინებდნენ, მერე ქურდები იმის ფულებს ჩხრეკას

დაუწყებდნენ და ვითომდა ისევე პატრონს უბრუ-
ნებდნენ, ისკი არა, რომ იმ ჩხრეკაში ისე ააცო�eb-
დნენ და სხვა ქაღალდებს ჩაუწყობდნენ, რომ სა-
ცოდავი ვერც-კი მიხდებოდა. გარდა ამგვარი კერ-
ძო ქურდობისა, თვით კონდუხტორებიც რკინის
გზისა სცარცვამდნენ. მაგალითად, ეხლანდელი-
ვით გარეთ გასვლა აკრძალული არ იყო, ყველას
შეეძლო თავისი მეგობარი ვაგონამდისინ გაეცილე-
ბინა, ან ვაგონში შესულიყო და კარგა ხანს მასთან
ემუსაიფნა და მესამე ზარის გაგონებაზე ჩამოსუ-
ლიყო. აი ამგვარ შემთხვევით კონდუხტორები სარ-
გებლოდნენ და მგზავრებს საგზავო ბილეთს არ
აღებინებდნენ, ბათუმისკენ და ბაქოსკენ უთვა-
ლავი ხალხი მიჰყვანდათ და მოჰყვანდათ და მით
თავიანთ ჯიბე უბეს ბლომა ფულით ივსებდნენ.
მგზავრებიც ხარბდებოდნენ და ნახევარ ფასათ
მოგზაურობდნენ. ამ რიგათ რკინის გზის მოხელე-
ბი ისე გაწუწკებულები იყვნენ, რომ წინასწარვე
ყველა მგზავრს უცხადებდნენ, რომ ბილეთი არ
აეღო. ჩანს, კონტროლები და რევიზორებიც მიმხ-
რობილები ყავდათ, რომ ვაგონებში ბილეთების
სინჯვა არ იყო. ერთათ ერთი მიუმხრობელი აღმოჩ-
ნდა, რევიზორი თუმანოვი იყო, რომელიც შიგ ვა-
გონშივე მოკლეს სწორეთ იმ დროს, რა დროსაც ის
თავის ხელის ჯოხით ვაგონის საჯდომებ ქვეშ ჩხრე-
კავდა. როგორც ბოლოსდროს გამოირკვა, იმდრო-
ის კონდუხტორები ძალიან აშენებულიყვნენ და
კარგი სახლ-კარიც გაეკეთებინათ.

ამგვარი უწესობა კარგა დიდხანს გასტანა. ბო-
ლოს, როდესაც გალიცინი კავკასიის მთავარმმარ-
თველად დაინიშნა და კიდეც ჩამოვიდა თბილისში,
მერე იმის განკარგულებით რკინის გზებში სულ
სხვა გვარი დისციპლინა იქმნა შემოღებული.

საერთოთ აიკრძალა მეორე ზარამდისინ გარეთ
გასვლა მგზავრისა, აიკრძალა გარეთ გასვლა უბი-
ლეთო ვისმესი, აიკრძალა ვაგონში შესვლა უბილე-
თო ვისმესი. აიკრძალა რიგის გარედ ბილეთის აღე-
ბა ვისმესი. აგრეთვე აიკრძალა ვაგონიდან ჩამოს-
ვლა უბილეთო ვისმესი. აიკრძალა მეტი ბარგის შე-

ტანა ვაგონში, აიკრძალა მაგარი სასმელებისა და ნავთ-ბენზინის შეტანა ვაგონში, აიკრძალა ცოცხალი პირუტყვებისა და ფრინველების შეტანა ვაგონში, აიკრძალა მონაგვიანება და დაფურთხება ვაგონში, აიკრძალა თუთუნის მოწევა ვაგონში, აიკრძალა თვრალი ვისმეს ასვლა ვაგონში, აიკრძალა ვაგონის ფანჯრებიდან ბარგის მიღება და მიწოდება და სხვა.

ქორონიკოს ანგარიში

იმ დროის ვაჭრების დავთრებში ყოველთვის იწერებოდა ქორონიკოს ანგარიშით. რადგანაც არაბული ციფრები არ იყო მიღებული და არც იცოდნენ, ამ ქორონიკოს ასოებს თქვენ ხშირად შეხვდებით ძველ საფლავების ქვებზე, ძველ თამასუქებზე და აგრეთვე ქართულ ფულზე. ეს ანგარიში ანბანზეა დამყარებული. სომხებშიაც და რუსებშიაც ყოფილა თავთავიანთის ანბანებით.

ბოლოს, როდესაც არაბული უფრო ხერხათ უცვნიათ, თითქმის მთელს ხმელეთზე ამჟამად არაბული ციფრებია მიღებული. ქართული ქორონიკოს ანგარიში ასეა: ნ. ერთი შაური, რ. ორი შაური, ს. ერთი აბაზი, ტ. ექვსი შაური, უ. ორი აბაზი, ფ. ათი შაური, ქ. სამი აბაზი, ღ. თოთხმეტი შაური, ყ. ოთხი აბაზი, შ. თვრამეტი შაური, ჩ. ერთი მანეთი, ც. ორი მანეთი, ძ. სამი მანეთი, წ. ოთხი მანეთი, ჭ. ხუთი მანეთი, ასე და ამ გვარად უკეთუ გსურდა დაგეწერა რომ მივიღე ერთი თუმანი, დასნერამდი ასე Ꝯ. აგრეთვე ყველა ანაბანის ასოებს თავთავის პატივით. ა. პატივით ერთი თუმანი, ბ. პატივით ორი თუმანი, გ. პატივით სამი თუმანი, დ. პატივით ოთხი თუმანი, ე. პატივით ხუთი თუმ.

ვარანცოვის გავლენა

დიდი ხანი არ არის, რაც ვარანცოვის დაარსებული „პრიკაზი" მოისპო. ეს დაწესებულება ოცდა-

ათის წლის ვადით მოქალაქებს უსარგებლოთ ფულს აძლევდა, რომ აეშენებინათ აბანოები, ქარვასლები და სახლები, რათა რომ ქალაქის მრენველობა დაუბრკოლებლათ გაფართოებულიყო და ყველა უსახლკარო ადამიანი სახლკარისა და ოჯახის პატრონი გამხდარიყო.

ასე რომ ამ ხანგრძლივის ვადის განმავლობაში მხნე ადამიანი ყოველის გზით წინ მიდიოდა და მერე თანხა ნაწილ ნაწილად შეჰქონდა.

მგელ-კაცის ჩამოხრჩობა

ძველი კაცების გადმოცემით, მამა ანტონის ტყეში, საიდგანაც გადმოვარდნილა ერთი ერთგვარი საშინელი და საზარელი მხეცი, რომელსაც ქვიან მგელ-კაცი.

ეს წყეული მხეცი როდესაც გზაზე მიმოვალ მგზავრს დაინახავდა, ტყიდან ქარის უმალესად გაექანებოდა, ეცემოდა, მკერთს გაუხევდა, მერე ღვიძლს იღებდა და სჭამდა. ამბობენ, ისეთი შიშის ზარი ეცათ გლეხობას, რომ გზათ წასვლას ვეღარ ბედავდნენ. ჯერ დღესაც ვერც ერთ სწავლულს ვერ ესმის, თუ ამგვარი საზარელი მხეცი რომელ კუთხიდან უნდა იყოს საქართველოში გადმოვარდნილი, თუ შავი ზღვის ნაპირებიდან ყოფილიყო, რატომ აქამდისინ იმ არე მარეზე ერთ ვისმეს არ შეხვდა. თუ იალბუზის იქით დაღისტნის მხრიდან იყო, რატომ ამისი მგზავსი ამბავი ვერ შევიტყეთ. ერთი სიტყვით, ევროპიელი მოგზაურებიც-კი გაოცებულნი არიან თურმე, თუ კავკასიაში ასეთი იშვიათი ადამიანის მავნებელი მხეცი საიდან გადმოიხვეწა. ბოლოს ვარანცოვი გულმოდგინეთ შესდგომია ამ საქმეს და ერთი უზარმაზარი რკინის გალია გაუგზავნია იმ ტყეში ჯარის დახმარებით, იმ გვარათ ყოფილა მოწყობილი, რომ მგელკაცი გალიაში შესულა თუ არა, კარები თავისთავათ დაკეტილა, შემდეგ ჩამოუტანიათ ქალაქში და ბატანიკურ ბაღში ჩამოუხჩვიათ.

თულუხჩები

ვიდრემდისინ ავჭალიდან თუჯის მილებით ქალაქში წყალს გამოიყვანდნენ, თბილისის ყველა უბნებში წყალს ცხენების თულუხებით ეზიდებოდნენ თულუხჩები. ეს თულუხები დაბახანაში მომზადებული საქონლის ტყავიდან იყო შეკერილი. ტყავის კარგი პირი შიგნით ქონდა მოქცეული, შიგნითი პირი კიდევ გარეთ ქონდა მოქცეული. ეს თულუხჩები ხშირად იყვნენ აისორები, ანუ სპარსელი თათრები. ყველა ადამიანი ცხადათ ხედავს, თუ მდინარე მტკვარში რაგვარი სიბინძურე ტრიალებს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ იმ უსუფთაობას ქალაქის მცხოვრებლებზე არა ვითარი ცუდი გავლენა არა ქონია, ამისი მიზეზი ცხადია, როდესაც მდინარის წყალი გაუჩერებლათ მიდის, მაშინ ის ყოვლათ უვნებელი არის ხალხისათვის. როგორათაც დღეს ავჭალის უზარმაზარ რეზერუარებში მღვრიე წყალი შაბით იწმინდება, ისრეთაც თულუხჩების მოზიდულ წყალს ხალხი შაბით ადვილათ სწმენდდა. ქალაქის ხალხი იმდროს უფრო ელფერიანი და ჯანსაღი იყო, ვიდრე ეხლანდელს დროში, ამ ჩემს ნათქვამს თვით ექიმებიც ამტკიცებენ.

ქალაქის მცხოვრებელნი იმ დროს დარჩებოდნენ უწყლოთ, როდესაც სადმე ცეცხლი გაჩნდებოდა და ყველა თულუხჩები იქ წყლის საზიდლათ დაბანდებოდნენ, რადგანაც ამ სამსახურის გამოთ ყოველგვარ გარდასახადიდან თავის უფლები იყვნენ.

ყეინობა

ამ გვარი ავი მაგალითი საქართველოს ხალხში ას წელიწადზე მეტი იყო მილებული. სპარსეთის აღა მაჰმად შაჰი როდესაც უთვალავის ლაშქრით საქართველოს შემოესია და კრწანისის ველზე საზარელი სისხლის ღვრა დაიწყო, ეს ჩემი აწერილი ყეინობა სწორედ იმისი მაგალითი და დაუვიწყარი სახსოვარი იყო, ყოველწელს დიდმარხვის ორშაბათ

დღეს საქართველოს ყველა სოფლებში და ქალაქებში დიდის ამბებით იმართებოდა ეს დღესასწაული. თუმცა შეგნებული კაცები და სასულიერო პირები ყოველთვის ხალხს უქადაგებდნენ, რომ ეს დღესასწაული ერთი ჯოჯოხეთური საქმის მაგალითია, მაგრამ ამით ხალხს ვერაფრით ერევოდნენ. მღვდლები და ეპისკოპოსნი წინასწარ ყველას უსხნიდნენ, რომ დაერწმუნებინათ, აღა მაჰმად შაჰისთანა ულმობელი მტერი, ამბობდნენ ისინი, როდესაც საქართველოში შემოვიდა, ბრძანება გასცა: „ვინც მაჰმადიანობა მიიღოს, მხოლოდ ისინი აცოცხლეთო". ხალხის სისხლით ქალაქის ქუჩები მორწყო და ეკლესიებში ცხენები დააბმევინა. ათასობით ტყვეთ წაასხა და ყველას მაჰმადიანობა ძალათ მიაღებინა. ამის გამოთ ჩვენი ერთგული მეფე ირაკლი იმედ გადაწყვეტილი რუსეთისკენ გაეშურა და საქართველო რუსეთს შეუერთა. ასე და ამ გვარად ხალხს უშლიდნენ და დასავიწყებელ მაგალითის განახლებას არ ურჩევდნენ, მაგრამ სულ ამაოდ იყო იმათი ცდა. თბილისში ყეინობა მეტათ სამაგალითოდ იმართებოდა, ასე რომ ყველა უბანში ერთმანეთის ჯიბრით უფრო უკეთესად მართავდნენ და მერე სასახლისაკენ მიემართებოდნენ უფრო კარგი საჩუქრის მისაღებად.

თითონ ყეინი ანუ შაჰი მოირთვებოდა გენერალის ტანისამოსით, ორდენებით და პაგონებით, თავზე სპარსულ გვირგვინს იდგამდა, ჩაჯდებოდა პაოსკაში და სამოვრის ტრუბას ხელში დაიჭერდა და იმით აქეთ იქით გასცქეროდა, ვითომ დურბინდია. შაჰის პაუსკის უკან მისდევდა თავის ამალა ექიმებით და ვეზირებით. შაჰის წინ კიდევ ბორკილ გაყრილი ტყვეები, მღვდლები, ვაჭრები და მეფე პატარძლები. ამ რიგათ ზურნის დაკვრით სასახლეს რო მიახლოვდებოდნენ, პაოსკაში მჯდომი შაჰი სხვა და სხვა ბრძანებას გასცემდა. მოხელები დაუყოვნებლად მაშინათვე ასრულებდნენ. ზოგს განგებ თავს მოსჭრიდნენ, ზოგს საწამლავს დააღევინებდნენ, ზოგ ლამაზ ქალს ჰარემხანისთვის შეინახავდნენ, ზოგს დამბაჩებით ხვრეტავდნენ,

ამ გვარად მარჯვედ წარმოდგენის დროს მეფის მოადგილე მიხაილ ნიკოლოზის ძე თავის ოჯახობით აივანზე გამოვიდოდა და უხვათ დაასაჩუქრებდა ხოლმე. ქალაქის ყველა უბნების ყეინები სასახლის წინ მოქუჩდებოდნენ და ათასგვარად მასხარაობდნენ. შემდექ იქიდან დაიფანტებოდნენ ბაზრებში და სახლებში თავიანთ ჯიბე და უბე გასასუქებლათ.

თეატრი და ცირკი

როგორც ვასო აბაშიძისაგან გამიგონია, თუ არა ვცდები, ქალაქ თბილისში თეატრი უნდა დაწყობილი იყოს 1850 წ. იმდროის თეატრი რა იქნებოდა, როდესაც ქალების როლშიაც ვაჟები თამაშობდნენ. მაშინდელი თეატრი იყო თავისუფლების მოედნის შუაგულ თამამშევის ქარვასლაში. სახელი თეატრი იყო, მაგრამ ყოველგვარი მოწყობილობიდან მეტათ ღარიბი იყო. მაშინდელი პიესების სათაურები მე ზეპირათ მახსოვს, უპირველესი პიესა იყო ანტონოვის დაწერილი „მზის დაბნელება საქართველოში", რომლის თამაშობით პირველათ გასხნილა თეატრი. ვოდევილები იყო „კაპიშონი" და „კატააწონა". რაც შეეხება სუნდუკიანცის დაწერილ პიესებს ესენი შემდეგში იქნა მიღებული და მოწონებული. იმის შემდეგ თეატრს ცეცხლი წაეკიდა და ერთიანად გადაიწვა, შემდეგი წარმოდგენები სხვა და სხვა ენებზე თამაშობდნენ სახელმწიფო თეატრში, რომელიც მდებარეობდა ინჟენერთა სამმართველოს გვერდით მტკვრის ნაპირზედ ახლოს.

ცირკიც იყო სასახლის გვერდით, სადაც საბორო არის აშენებული. ცირკის შენობა თუმცა ფიცრისა იყო, მაგრამ მეტათ უზარმაზარი შენობა იყო. 1880 წლამდისინ ცირკი ეკუთვნოდა გოთფრუას ფირმას, შემდეგ გადავიდა ენდოელი მდიდარი არაბი ტომსონის ხელში.


ᲡᲐᲑᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ
САБА ОРБЕЛИАН



ბუნტი ნალოგის გამოთ

მას აქეთ გაუვლია 70 წელს, რაც ეს იშვიათი ამბავი მოხდა საქართველოს დედაქალაქ თბილისში.

ეს საზარელი და შემაძრწუნებელი არეულობა მომხადარა ალექსანდრე მეორის მეფობის ჟამად, ბაშბეუქმელიქოვის ქალაქის თავათ ყოფნის დროს. ჯერ კიდევ დღესაც არ იციან სახლების ფანჯარებზე ნალოგის დაწესება მთავრობის განკარგულება იყო თუ ქალაქის სამმართველომ ხალხს დააკისრა ასეთი შეუფერებელი გადასახადი. ამბობენ, ამგვარი მოულოდნელმა ამბავმა ქალაქის მცხოვრებლებზე მეხის მგზავსად იმოქმედა.

ხალხი ისე აღელვებულა, რომ ქვებით და კეტებით მიმართულან ქალაქის თავის მოსაკვლელად. როდესაც იმის კაბინეთში შეცვივნულან და იქ ვერ უნახავთ, შემდეგ ღელვასავით იმის ბინისაკენ გაქანებულან, სიბრაზისაგან გონება დაბნეულ ხალხს თავიანთი ქალაქის თავი ოთახიდან გამოუყვანიათ და აივანიდან ქუჩაში ჩამოუხეთქებიათ. მეორე დღეს პოლიციასთან ერთათ ჯარიც ჩარეულა და საქმე ძალზე გამწვავებულა. ბოლოს ამქრის უფროსები დაუბარებიათ და საეჭვო ბუნტოვჩიკი პირები იმათგან ანაზდათ მოუთხოვნიათ.

ეს საქმე როდესაც ხალხს შეუტყვია, ახლა ამქრის უფროსებს დამუქრებია, ამქრის უფროსები შიშით სოფლებში მიმალულან და კარგა ხანს დარჩენილან. ქალაქის თავის მოკვლის შემდეგ, ხალხის გაგიჟებული ბრბო ახლა მის თანა შემწეს დაჰმუქრებია და მოკვლა დაუპირებია, მაგრამ ის რაღაც სასწაულით გადარჩენილა და ნათესავებთან თავი შეუფარებია.

იმ დროის პოლიცია

მიუხედავად იმისა, რომ მეფის მოადგილეთ თვით მეფის ძმა მიხაილ ნიკოლოზის ძე ქალაქ თბილისში დიდხანს იყო და რუს-ოსმალოს ომიანობის

გამოთ ხშირათ საომარი წესებიც იქნებოდა ხოლმე შემოღებული, მაგრამ მაინც პოლიცია ისეთი ძალა გამოცლილი და სუსტი იყო, რომ შეიძლება არც-კი დაიჯეროთ, ერთი უბნის სამმართველო სომხების ბაზარში იყო და მეორე ავლაბარში ფორაქაშვილების სახლებში. პოლიციის მოხელები თითებით დაითვლებოდნენ, რომლებიც ნაბდის ქუდებით ჩოხა ჩაცმულები სახრე ხელში მოედან ადგილებში იდგნენ. მე ჩემის თვალით ორი სამი კაცის მეტი არ დამინახავს, მაგრამ ვიძახი, შეიძლება სხვაგანაც ყოფილიყვნენ. აი სწორეთ ამგვარი სუსტი პოლიციის გამოთ ქურდობა და ავაზაკობა ისე ხშირი იყო, რომ შუადღისას უშიშრად ჯიბგირები და იშკილბაზები ქუჩა ქუჩა და ბაზარ ბაზარ დასეირობდნენ და თავიანთ ეშმაკურ თვალთ მაქციურ ხერხს ხმარობდნენ და თუ გარედან შემოსულებს, თუ მოქალაქებს ადვილად სცარცვამდნენ. ეს ქურდები ჯგუფ ჯგუბად დაყოფილები იყვნენ, მხოლოთ საერთო უფროსი ერთი ან ორი ყავდათ, რომელთანაც ნადავლს წაიღებდნენ და გაუყოფდნენ, ეს უფროსები ხშირად ნაპარავ ფულს, ქამარს, საათს და სხვა ნივთებს პატრონებს უბრუნებდნენ, იმ შემთხვევაში, თუ რომ დამკარგავი გავლენიანი პირი იქნებოდა, ანუ უფროსის ნაცნობი იქნებოდა, ოღონდ შეეხვეწნა და ეთქვა, ის უბანი, სადაც ქურდებს მისგან ესარგებლათ, ეს იმისთვის, რომ შეითან ბაზრის ჯგუფი სხვა იყო, სადგურისა სხვა, რიყისა სხვა და ავლაბარისა კიდევ სხვა. კაცის კვლაც ისე ხშირი იყო, რომ თუმნის გულისთვის მოჰკლამდნენ და გვამს მტკვარში გადისროლდნენ, ამგვარი მკვლელობა ძალიან ხშირი იყო უფრო საროსკიპო სახლებში. ქალაქ თბილისში ყველაზე საშიშარი დრო იყო ტატო წულუკიძის ავაზაკობის ჟამათ, რომლის შესახებ შემდეგში ვილაპარაკებ და ყველაფერს აგისხნით. ეს ხანა იყო 1870–1880 წლებში, ვიდრე იმას ჩამოახრჩობდნენ და ხალხს მცირე შვებას მისცემდნენ.

იმ ათის წლის განმავლობაში მთელს ქალაქში სანთლების ანთების შემდეგ შეუძლებელი იყო სახლიდან ქუჩაში გასვლა, აბანოში წასვლა, ალექსან-

დრეს ბაღში გავლა, სადაც ის თავის მესისხლე ბრბოთი თარეშობდა ღამითაც-კი, იქავე ბაღში იძინებდა.

ავაზაკი ტატო წულუკიძე

ეს ყმაწვილი იყო თაწმინდის უბნელი საკუთარი სახლ-კარის და ხეტყის ქარხნის პატრონი აზნაურის შვილი, რომელსაც ხშირად ამხანაგები ხუროშვილს ეძახდნენ. ჯერ ისევ თექვსმეტი წლის ყმაწვილი იყო, რომ რაღაც მიზეზის გამოთ გიმნაზიიდან დათხოვნილი იქმნა. ტატოს მამამ თავისი შვილი პატარა სირაჯხანაში თავის ერთ ნათესავის დუქანში მიაბარა.

ტატო იმ დუქანში დიდხანს არ დარჩა. ერთ დღეს სხვის მიბარებული ვერცხლის საათი დუქნიდან მოიპარა და გაიქცა. ეს იყო იმ საშინელი შეუბრალებელი სისხლის მღვრელი ავაზაკის პირველი ქურდობა. რაღა თქმა უნდა, ამგვარ საქციელის გამოთ მშობლებმა ტატო თვალში ამოიღეს და კიდეც სამუდამოდ ოჯახს დაეთხოვა და გავარდა. შეადგინა თანა მოაზრე ბრბო და კადნიერად დაიწყო ცარცვა გლეჯა და მკვლელობა. იმის ამხანაგებიდან მარტო ორი სამის სახელი მახსოვს, ერთი ყოფილა შავი პეტო, მეორე იოსელიანი, მესამე საქულა.

ტატო წულუკიძე მე პირადათ მინახავს იმ დროს, ესე იგი 1877 წელს, როდესაც კლდის უბანში ერთი მდიდრის სახლი გაეცარცვა და როგორღაც ხერხად ხელში ეგდოთ და დაეჭირად. ის იყო ჯორჯიაშვილის მგზავსი შავგრემანი და სუსტი აგებულობის ყმაწვილი. თავზე ეხურა მიხაკის ფერი ფაფახი და ტანზე ეცვა აქლემის ბალნის ყვითელი ჩოხა. მისი ორივე ხელები თოკებით შეეკრათ და თან სატარებელ იარაღებს სინჯავდნენ. თან ქონიყო ერთი გაზი ერთი პატარა ლომი, რამდენიმე ცალი ქლიბები და ორმოცამდე მავთულზე ასხმული გასაღებები. ამ დაჭერიდან ტატომ თავი ოსტატობით იხსნა და ხელახლად გავარდა.

ის როდესაც მეტეხის ციხეში მოამწყვდიეს, იქ

დიდხანს არ დარჩა. ერთ დღეს ჩავარდა ციხის ფეხსადგილში და მტკვარში ცურვით ორთაჭალაში თავი ამოჰყო. ამგვარადვე ოსტატურად შემდეგში გაიპარა პოლიციის კამერიდან, მესამეთაც გაიპარა საოლქო სასამართლოს ფეხსადგილიდან. ეხლანდელ ორიანტის სასტუმროს შენობიდან. რავდენჯერაც ის გაიპარებოდა, იმდენჯერ ქალაქის მცხოვრებთ შიშის ზარი ეცემოდათ. იმისი შეუბრალებელი მხეცური საქციელი ხალხს ძილს უფრთხობდა და სიცოცხლეს აძულებდა. წარმოიდგინეთ, რომ თავის ამხანაგებსაც უკვირდათ თურმე იმისი სისხლით გაუმაძღრობა. ტატოს წიგნი, რომელიც მისმა ვექილმა დახრჩობის 30 წლის შემდეგ გამოსცა, ნათქვამია, რომ რომელ ოჯახშიაც შეიპარებოდა ეს მხეცი, გაცარცვის გარდა აკვნის ბავშვსაც-კი დაუკუწველს არ გაუშვებდაო. მთელს ქალაქში დუქანი და სახლი არ დარჩენილა, რომ ტატოს არ გაეცარცვას.

როგორც წინა ფურცლებში ვსთქვი, პოლიციის სისუსტით ყველა ქურდი სარგებლობდა, თუ არა ტატოს რა დააბრკოლებდა. ღამის დარაჯს, ესე იგი ბაზრის მცველ ასასს თავს გააგდებინებდა, მერე ადვილათ გულდინჯათ შეუდგებოდა თავის საქმეს. ძვირფას ფარჩეულს ფურგუნებით ეზიდებოდა სამხედრო გზებზე და არაგვის მოხევებში არხეინად ანაღდებდა ისე, როგორც საკუთარი ოფლით შეძენილს. ღამღამობით მისი ბინა იყო ალექსანდრეს ბაღი ანუ აბანოები.

ქალაქიდან გასაქცევათ კიდევ ერთი შეკმაზული ცხენი პეტრეპავლეს სასაფლაოსთანა ყავდა, ერთიც ვერაზე განაპირა გზის დუქანში. ამბობენ, იმას ადვილათ დაიჭერდნენ, მაგრამ შიშის გამოთ ყველა ხელს აფარებდა და მალავდა. სახლებიდან ღამით პურის საყიდლად ვერ გადიოდნენ, არამც თუ ცირკში და თეატრში ევლოთ. რა ნაირი ვაჟიკაცი უნდა ყოფილიყო, რომ ბინდისას სადმე ბაღში გაევლო და ტატოს ხიფათში არ გაბმულიყო. ამბობენ საკვეხურად ხელცახოცი სავსე ადამიანის დაჭრილი ყურები დაჰქონდაო.

ერთხელ ორთაჭალის ბაღში ქეიფის დროს ტატოს ნათლია, თბილისის მეოთხე უბნის პრისტავი ლოლაძე შეესწრო, ტატომ სწრაფათ გულში დამბაჩა დაახალა, მაგრამ ლოლაძემ რაღაც ხერხით აიცდინა და ეს ჯავრი გულში შეინახა.

ეს იყო 1879 წელში რუს-ოსმალეთის ყარსის საშინელი ომიანობის დროს, რის გამოთაც მთელს სახელმწიფოში სამხედრო წესები იყო შემოღებული. ტატო წულუკიძე იმედ გადაწყვეტილი ფიქრში ჩავარდა. იმან ცხადათ იცოდა, რომ ქალაქში მისი ყოფნა საეჭვო იყო, ამის გამოთაც ამხანაგები მოიშორა და თითონ მარტო ცხენით გაემართა ოსმალეთში გადასასვლელათ, ის კიდეც მივიდა ყარსში და ნადიმობას მიეცა. პრისტავი ლოლაძემ უმაღლეს მთავრობისაგან განკარგულება მიიღო, რომ როგორც ყოფილიყო და რაც უნდა დამჯდარიყო, უსათუოთ ტატო წულუკიძესთანა მავნე პირი უნდა რაიმე ხერხით დაეჭირა. როდესაც ლოლაძემ ყური მოჰკრა, რომ თავის ნათლული ამჟამათ ყარსშია, თითონაც ექვსის ყაზახით დაუყოვნებლივ იქით გაემგზავრა.

სწორეთ იმ დუქანში მივიდა, სადაც ტატო ქეიფობდა. ტატოს აფიცრის ტანისამოსი ჩაეცვა, ლოლაძესაც მეგრული ჩოხა, ამის მიზეზით ერთმანეთი ვერ იცნეს. ლოლაძე დუქნის ერთ კუთხეში მიჯდა და ლუდი მოითხოვა. ამ დროს ტატომ შენიშნა და იკითხა, ეს კაცი ვინ უნდა იყოსო. ამხანაგებმა აუსხნეს, რომ ქალაქელი პრისტავია და ყაჩაღ ტატოს დაეძებსო, ამ სიტყვამ ტატოს ტვინიდა ფეხის ფრჩხილებავდისინ ელექტრონის ტოკივით გაუარა. გონება დაბნეული ახტა და კარში გავარდა, შეჯდა ცხენზე გზა და კვალ დაბნეული, ისევ აქეთ გამოაჭენა. ერთი საათის შემდეგ ლოლაძემ ყველაფერი შეიტყო, ისიც ისე გადირია, არ იცოდა, საით წასულიყო. ბოლოს ერთმა მწყემსმა უთხრა, რომ ერთი თეთრ ცხენოსანი ალექსანდროპოლისკენ მიდიოდაო. ლოლაძემ მათრახი დაჰკრა და ანაზდათ ფალდრევანის გზის დუქანში წვიმისაგან დასვეელებული ბუხრის წინ მჯდომი უიარაღო ყაჩაღი დაიჭირა, იმავე დუქნის წინ ტატოს ერთი ბერძენი მო-

ეკლა და პარკით ოქრო წაერთმია. ლოლაძეს უნდოდა, იქ მყოფნი ყველა დაეჭირა, მაგრამ რაკი ტატომ ყველაფერი იკისრა, მაშინ ისინი გაუშვა და ტატო პაოსკაზე თოკებით დაშლართული ისევე ყარსში მიყვანა. როდესაც ყარსის გუბერნატორს კიდევ 14 ყაზახი მოსთხოვა, რომ 20 ყაზახით ჩამოეყვანა ქალაქში, გუბერნატორს ლოლაძე საეჭვოთ უცვნია და უარი უთქვამს. შემდეგ ლოლაძეს დაკუმენტები უჩვენებია და ხელიც მოუწერია, რომ მოვალე ვარ ტატო წულუკიძე ჩავაბარო თბილისის სამხედრო სასამართლოსო. ამით საქმე გათავებულა, ტატო ჩამოუყვანიათ ქალაქში ოცივე ყაზახის თოფები გულში დამიზნებული. ჩამოყვანის შემდეგ გაქცევის შიშით ციხეში აღარ ჩაუსომთ სამხედრო წესების გამოთ. სამხედრო სასამართლოს ჩამოხრჩობა გადაუწყვეტია, რომელიც სისრულეში მოიყვანეს სახალხოთ არსენალის მინდორზე 1880 წლის დასაწყისში. ჩამოხრჩობის შემდეგ ტატო წულუკიძეს დარჩა 32 გასარჩევი საქმები.

მეხის დაცემა ნარინ-ყალაზე

ამ საშინელი საქმის ნამდვილი თარიყი არავის ახსოვს, მაგრამ მე როგორც ძველი ხალხისაგან მსმენია, უნდა ყოფილიყოს 1860 უფრო წინ. არც ის არის გამორკვეული თუ ნარინ-ყალის თოფის წამალი საქართველოს მეფეთა დროიდან იყო შენახული, თუ რუსეთიდან იყო მოტანილი, ეს საზარელი ამბავი მომხდარა ალექსანდრე მეორის მეფობის და მირსკის მთავარ მართებლობის ჟამათ. ერთს ჯოჯოხეთურ ავდრიან დროს მეხი დასცემია სწორეთ იმ ადგილას, სადაც თოფის წამლის სარდაფი ყოფილა და აუფეთქებია საშინელის მიწის ძვრითა. ციხის კედლებიდან ნატყორცი ქვებისაგან, დახოცილა მრავალი ხალხი და პირუტყვი, თუ თათრების უბანში, თუ სეიდა ბათში და თუნდ გაღმა ავლაბრის აღმართებზე.

ძველი ხალხის გადმოცემით, იმგვარ შემაძრ-

წუნებელი ჯერ ქალაქს არ უნახავს. მრავალი ხალხის დახოცვის გარდა, უმრავლესობაც შიშის ზარით ჭკვაზედ შეშლილან. წინანდელ დროში ერთათ ერთი ფქვილისა და სანოვაგის ბაზრად თათრის მოედანი ითვლებოდა, ერთთავათ ბუზივით ხალხი მუდმივად ირევოდა და აი სწორეთ ამ მიზეზითაც დიდი ძალი ხალხი იმსხვერპლა თურმე იმ უბედურებამ.

მეხის დაცემა სასახლის წინ

1879 წ. საქართველოს დედა ქალაქს კიდევ ერთი უბედურება თავს დაატყდა. როდესაც ხალხი უფიქრელად სუფთა ჰაერზე დასეირობდა, ანაზდათ ჭექა ქუხილი დაიწყო და სწორეთ სასახლის წინ საშინელი მეხი დაეცა, ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ მეხის სუნისაგანაც მრავალი ხალხი და პირუტყვი იხოცება. როგორც სამეცნიერო გამოკვლევიდან ვხედავთ, ქალაქ ადგილას მეხი იშვიათად ეცემა ხოლმე. ეს იმას მიეწერება, რომ მეხის მიმზიდავი კაკლის ხეები და უზარმაზარი კლდები ქალაქ ადგილას ნაკლებია. მაშასადამე, ეჭვი არ არის, რომ ქალაქებში ათას წელიწადში ერთხელ არც-კი ახსოვთ მეხის ჩამოვარდნა.

ამგვარ ბუნების მოვლენას, მეცნიერნი აწერავენ ვითომ მზისა და მთვარის დაბნელებას, კუდიანი ვარსკვლავების გამოჩენას და მეხის დაცემას, აქვს ის მნიშნეულება, რომ რაიმე დიდი უბედურება არის მოსალოდნელი.

როსკიპები

ფქვილის მოედნიდან დაწყობილი ვიდრე აბანოებავდისინ, ქუჩების ორივე მხარეს მრავალი საროსკიპო სახლები იყო. ამ ქალებში მეტი წილი მაჰმადიანები იყო, სადაც პოლიციის მოხელენი არ იყვნენ, ეჭვი არ არის, რომ ყველა ადამიანი თავის ნანდომს იზავს, იმ დროსაც სწორეთ ისე იყო, ყოველ

საღამოთი საღებავებით გაგლესილი ქუჩის აქეთ იქით გამწკრივებული ისხდნენ ხოლმე და გამვლელ კაცებს სახლში ეპატიჟებოდნენ, ხშირად კაცების ქუდებს იტაცებდნენ და სახლში გარბოდნენ. უკეთუ ვისმეს შენიშნავდნენ, რომ ზედ ფული აქვს, მოკვლა და მტკვარში გადაგდებაც იმათი ხელობა იყო. აბა, ვინ მოიკითხავდა ანუ თავს ვინ გაიცხელებდა გარეცხილ გარყვნილ ბოზებთან ლაპარაკსა და გამოძიებას.

შეითან ბაზარი ანუ „ეშმაკის ბაზარი" – ეს სახელი ზედ გამოჭრილი იყო. იმ დროს იქ თავს იყრიდნენ ჯიბგირები, ქურდები, იშკილბაზები[18], კარტოჟნიკები კაცის მკვლელები, ყალბი ფულის გამსაღებლები, ყალბი ვერცხლისა და ოქროს გამყიდველები, ქალების მომტაცებელნი, პორტმანის დამგდებელნი და ყოველგვარი საზიზღარი საქციელის პატრონები. მხოლოდ იმ უბანში იყო ესენი და თითქოს უხდებოდა კიდეც, რომ ყოველგვარი გაფუჭებული ხალხი იქ იყრიდა თავს.

ქალაქის სხვა უბნებში ესენი ძალიან იშვიათად შეგხვდებოდათ, თითქმის სულ არ იყო, გარდა საროსკიპო სახლებისა, ქურდებსა და სხვა გაფუჭებულ ჭირიან ხალხს ის უბანი ყველაფრით ხელს უწყობდა. მაგალითად, ფურნები, ლავაშის დუქნები, ლუდხანები სასადილოები, სამიკიტნოები, საყომარბაზო სახლები, საჩაები და ღამითაც აბანოებში მუქთათ ანუ მცირე ფასათ თბილათ ძილი.

აი თუ რისთვის იყო შეითან ბაზარი თავის სიბინძურით ბინძურივე ხალხის ბინა. ვიმეორებ იმავე სიტყვებს, რომ ქალაქის სხვა უბნებში ის დუქნები არ იყო, რაც შეითანბაზარში იყო. ეს იმას მიეწერება, რომ ქალაქში უცხო ხალხს ვერა ნახავდით, მოქალაქებს კიდევ ფქვილიც სახლში ქონდათ, ყველიცა და ღვინოცა, ესე რომ ბაზარში პურის ყიდვა სირცხვილი იყო, სასადილოში შესვლა და იქ პურის ჭამა. მოქალაქეს სჭირდებოდა მხოლოდ ხორცი და თევზი, სხვა ყველაფერი ოჯახში იშოებოდა. ფურნები რიყეზე და ვარანცოვის ქუჩაზე იყვნენ, სადაც ეხლა დაბლებია. სადაც ქალაქში ფურგუნების ბაკები იყო.




К. ГРИГОРАШ 1930

მთელს ქალაქში რაჭველ მეპურეს ვერ ნახავდით გარდა ჯვარის მამის თეთრი შაურიანი პურისა. იმასაც მეპურები მოქალაქის ოჯახში თითონვე ხონჩებით მიიტანდნენ ხოლმე. უცხო ტომის ხალხს ქალაქში იშვიათად ნახავდით. ურიები ძალიან ცოტანი იყვნენ, იმათ გასაყიდათ ქუჩა ქუჩა დაჰქონდათ განიერი მიტკალი ახალიფერი და ზაფრანა, იმ საცოდავებს სდევნიდნენ მოქალაქის შვილები და ათას გვარ ცუდი სიტყვებით და გინებით აბრაზებდნენ. თუ სადმე ქუჩაში გაევლო ყარაბაღელ ანუ ახალციხელ მანდილოსანს, ბავშვების მთელი ხროვა გაოცებით დაედევნებოდა. ძალიან იშვიათათ შეხვდებოდით მოქალაქის ოჯახში ოსის ძიძას და ოსის მოახლეს, იმერელი ლაქიები და მზვარეულებიც ნაკლებათ იყვნენ. რადგანაც რკინის გზისა ისე ეშინოდათ, რომ ვაგონებში არც კი სხდებოდნენ და სურამის მხრით ფეხით ანუ ფურგუნით თუ ჩამოვიდოდნენ, თორე რკინის გზა ჭირისავით ეჯავრებოდათ.

ქვის კრივი

ადამიანი გაოცებული რჩება იმ გარემოებაზე, თუ ჩვენი ცხოვრება რავდენ რიგათ ცვლილებას ღებულობს. ამ სიტყვის დასასურათებლათ საკმარისია მხოლოდ ქვის კრივი აგიწეროთ. ეს კრივი ყოველ კვირა დღით იმართებოდა ავლაბარში პეტრე პავლეს მინდორზე. რუსები და ქართველები ცალს მხარეზე მოიქცევოდნენ, სომხები კიდევ ცალს მხარესა. შურდული ერთგვარი ხელით ნაქსოვი აბრეშუმის ლენტი იყო სიგრძით 2 არშინი, შუა გულს ცოტა განიერი. ამ განიერ ადგილას ქვას სდებდნენ და თავიანთ მეტოქეს გამეტვით ესროდნენ. ამ საქმის შესახებ შეიძლება ვინმემ იფიქროს, თუ ისინი ბავშვები იქნებოდნენ. სამწუხაროდ, მე დაგარწმუნებთ რომ იმათში ერივნენ კარგი ვაჟ-კაცებიც, ვაჭრები, მოხელები, მოქალაქენი და მოსამსახურენი. ეჭვი არ არის, რომ თქვენ ადვილად მიხვდებით, თუ კვერცხის ტოლა ღონივრათ ნასროლი ქვა ადამიანს

სახეში, თავში, ანუ საფეთქელში რა დღეს დააყენებდა. კვირაში ხუთი ათი სული ხომ ადვილად მოკვდებოდა და ერთი იმოდენაც დამახინჯდებოდა. მე ჩემს ბავშობაში მინახავს მუშტის კრივები ქალაქშიაც და კახეთშიაც, მაგრამ ქვის კრივი მხოლოთ აქ თუ იყო, თორემ სხვა კუთხებზე არ გამიგონია. ზოგი ვაუკაცი სხვა ყმაწვილს ქირაობდა, რომ ქვები მოუზიდოს, ზოგიც ქირაობდა, რომ დროზე წყალი მიაშველონ წაქცეულ სულთ მობრძავს.

მუშტის კრივი

1878 წლამდისინ საშინელი ქვის კრივები იყო, მერე უცებ გადავარდა. ახლა დაიწყეს გაცხარებული მუშტის კრივები.

მუშტის კრივები ქალაქის შორეულ უბნებშიაც იმართებოდა, მაგრამ მთავარი ცენტრი იყო ბატანიკური ბაღის სამხრეთის მხარეს, თათრების საასფლაოს ზემოთ. ყოველ კვირა დღით ნასადილევისას იმ ბაღში იკრიბებოდნენ ქალაქის ყველა უბნის მარჯვე ღონიერი ბიჭები. მე არ მახსოვს, თუ რომელი უბანი რომელს ებრძოდა, მხოლოდ ამდენს ვიტყვი, რომ ერთობ საზარელი სანახავი იყო იმათი მუშტის ხმის გაგონება. უიარაღო ომს რომ იტყვიან, სწორეთ ის იქნებოდა.

ძველ დროის მელექსე ლოპიანი თავის ლექსებში ასე სწერავს:

ორთაჭალის ბაღში მნახე ვინა ვარ,
ღვინო ხელში მნახე ვინა ვარ,
აბა მუშტი კრივში მნახე ვინა ვარ,
შეგიყვარდა, სთქვა ნეტავ რა ნაზი ხარ,
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ.

მე კარგათ მახსოვს იმათი ბელადი უმძლავრესი მეტის მეტი ღონიერი მუშტის პატრონი, რომელსაც მეტ სახელად ქარაფ ქანდოღას ეძახდნენ, რომელიც ნიშნავს „კლდის დამრღვევს“. ეს ფალევანი ჩაერე-

ვოდა თუ არა, მაშინვე ზღვის ტალღასავით ხალხი აქეთ იქით გაექანებოდა. მუშტის კრივის ბანაკს ამ გვარი ბელადები ბევრი ყავდა, მაგრამ ყველას თავი იყო ქარაფქანდოღა, რომელსაც ბოლოს ხელწერილი ჩამოართვეს, რომ მუშტით კაცს არ გაარტყას. მართალია მუშტის კრივი მავნებელი იყო, მაგრამ სიკვდილით ძალიან იშვიათად მოკვდებოდა ვინმე. პირის სახეში დაკაწრული და თვალები ჩასისხლიანებიც მრავალი გვინახავს, მაგრამ შედარებით ქვის კრივთან ეს თითქმის ერთი გასართობი ყოფილიყო. მუშტის კრივმაც რამდენიმე წელიწადი გასტანა, ესე იგი 1882 წლამდისინ ვიდრე გამოჩნდებოდა ახალგაზრდა ყმაწვილი მოჭიდავე კულა გრდანელი.

ჭიდაობა

ამ ჭიდაობის აღწერით მე არ ვანბობ, თუ საქართველოში ჭიდაობა მხოლოდ იმ წელს დაიწყო, როდესაც კულა გრდანელი მოედანზე გამოვიდა.

მე კარგათ ვიცი, რომ მეფების დროიდანვე საქართველოში მიღებული იყო ჭიდაობა, ძველს დროში მეფების ჟამათ ყველაზე სახელოვანი მოჭიდავე ყოფილა ხიზანბარელი, ამის გამოთაც ერთი მელექსე გრდანელის შესხმაში ამბობს, ზოგი იტყვის ნაქები ხიზანბარელი იყო, მაგრამ იგი ლოთობდა, კულას ცალი ვერ იყო. ვარანცოვის ხიდიდან დაწყობილი მუშტაიდის ბაღამდისინ ქუჩის ორივე მხარეს გასართობი მორთული სალხინო ბაღები იყო, რომლებშიაც ათასნაირი გასართობები და დროს გასატარებელი დაკვრა და ცეკვა იყო. ცხენის კონკა, რომელიც ბელგიელებმა გამართეს, ხალხს ხელს უწყობდა მუშტაიდამდისინ მთელ ქუჩის მარჯვე აღებ მიცემას. მარჯვნივ და მარცხნივ მორთული ბაღები თავიანთი შადრევნებით და ხეივანებით, საზანდრების ტკბილი მღერა და ზურნების ხმა ადამიანის გულს იზიდავდა და ხიბლავდა, იაფი ცხოვრება და გულის მხიარულობა. ამ გვარი გასართობების ნახვით ადამიანი გათენებავდისინ ველარ შორდებოდა

იმ გვარ სიმხიარულეს. ეს გასართობები ყოველ დღეს იყო, მაგრამ კვირაობით უფრო ათკეცათ მეტი სამსადისი და მეტი სტუმრობა იყო. კვირა დღეებით ხალხი ნასადილევის საათის ხუთამდისინ ლხინში იყო. მერე აიშლებოდნენ და ჭიდაობის საცქერლათ მიეშურებოდნენ, მუშტაიდში ყველაზე თვალსაჩინოთ ვაჭრობდა ლუდის ქარხნის პატრონი ლორთქიფანიძე. ასე წარმოიდგინეთ, რომ ნახევარი საათი უნდა ისე მჯდარ იყავით, რომ ძლივს ჯერი შეგხვედროდათ. რაკი ჭიდაობა დაიშლებოდა, ხალხი ხელ ახლად სმა-ჭამას მიჰყვებოდა, ხშირათაც იქ გაათენებდნენ, რადგანაც იმდროს გაღებისა და დაკეტის დრონი არ იყო შემოღებული.

მატინოვის ღვაწლი

ამბობენ, სანამ მატინოვი ქალაქის თავათ იყო, ხორცის ფასი გირვანქა 6 კაპ. ზეით არ ასულაო. პური 2–4 კაპ. თევზი აუწონრათ. კვერცხი 7 ერთი შაური. ადამიანი რო ფიქრდება, გაოცებაში მიდის, თუ ერთ ადამიანს რაოდენი სარგებლობის მიცემა შესძლებია ხალხისათვის. ეს შესანიშნავი ადამიანი მთელი 12 წელი ემსახურა ქალაქს, ბოლოს 1888 წელს ალექსანდრე მესამე საქართველოში მიიღო, ოქროს მენდლით დაჯილდოვდა და მერე სამსახურს დაეთხოვა.

ამ 12 წლის განმავლობაში მატინოვმა ძალიან ბევრი რამე შემატა თბილისს. იმან ახლათ ააშენებინა ქალაქის უპრავის შენობა. ცეცხლის მქრობელი რაზმი სოლოლაკზე გადაიყვანა და მათი ბინები წესრიგზე მოაწყო, საქალაქო თეატრი ააშენა, რომელიც ეხლა სახელმწიფო ოპერათ ითქმის. თუჯების ლულებით ავჭალის წყალი გამოიყვანა. ბელგიის საზოგადოებასთან პირობა შეკრა და ცხენის კონკა გაამართვინა. ვერის ხიდი გააკეთა და იმ ხრის ბორანი მოშალა. ბოინი მეჩითის გვერდიდან ნავთულუხში გადაიტანა, ციციანოვის ალმართი გაასხნევინა, რომელზედა პირველათ ალექსანდრე მესამემ გაიარა.

სანოვაგის სიაფე

ქალაქ თბილისში ძველ დროიდანვე სანოვაგის უმთავრეს ბაზარად ითვლებოდა რიყე. მხოლოდ 1880 წლიდან თევზის ბაზარი გადმოიტანეს პუშკინის ბაღის ადგილას, სადაც ურმებით იდგნენ და აუწონრათ იაფათ თევზს ყიდდნენ. თევზი მაღალ თვლებიან თათრის ურმებით შეუწყვეტლათ სალიანიდან მოეზიდებოდნენ. ბატკნისა და ცხვრის ხორცსაც ყველანი სახლებში კლავდნენ და ბაზარში უსასწოროთ ყიდდნენ. თევზეულში მარტო ორაგული იყიდებოდა წონით, რადგანაც მეტათ დიდია და ერთი ადამიანი ვერ იყიდის. ახალი თევზი, სუდაკა, საზანი, კუტუმი ზუთხი, იშხანი, შამაია და სხვა ესენი სულ იყიდებოდა აუწონრათ. ორაგულის თავი ღირდა ორი შაური, კარგი ადგილი გირვანქა სამი შაური, კუტუმი მთელი სამი შაური, საზანი ერთი აბაზი, იშხანი და გელაქნური წყვილი ერთი აბაზი, შამაია წყვილი სამი შაური, ზულგიერი და დოში გირვანქა ორი შაური, ხიზილალა ათი შაური. ღორის ხორცი გირვანქა 2 კაპიკი. ცხვრისა 5 კაპ. ძროხისა 4 კაპიკი. კარგი ღვინო, რომელიც ურმებით იარმუნკაში და ავლაბარში იყიდებოდა ვედრო სამი აბაზი, წვრილათ ცოტა მეტი, ახალი ყველი ფუთი ერთი მანეთი, თაფლი გირვანქა 10 კაპიკი. კარაქი 30 კაპ. ერბო 35 კაპ. სმეტანა 8 კაპ. ჭიპა და იანი გირვანქა 6 კაპიკი. როდესაც გლეხებს ნება მიეცათ, რომ უბაჟოთ თავთავიანთი ვენახების ღვინო ჩამოეტანათ და გაეყიდნათ, იმდროიდან ისე გაიაფდა, რომ მსმელი ვიღა იყო, რაც საქონელი ძვირია, ადამიანი იმას უფრო ეტანება. ვედრას ათ შაურად ნემეცის კარგი ღვინო იყიდებოდა. ბაზარში რომ ჩაგევლა და ურმებისთვის ცქერა დაგეწყო, ათას ადგილიდან დაგიძახებდნენ და ერთი მეორის ჯიბრით უფრო პირიანად ჩამოგისხამდნენ. ზოგნი იქვე ურემთან სადილობდნენ, პურიც იქვე იყო და ცხელი თევზიცა.

ნასრ ედდინ შაჰი თბილისში

ჯერ კიდევ ალექსანდრე მეორე ცოცხალი იყო, როდესაც ქალაქ თბილისს ეწვია სპარსეთის დიდებული ნასრ ედდინ შაჰი. 1879 წელს შაჰს აზრათ ქონიყო რუსეთზე გაევლო და ევროპიაში ემოგზავრა.

ჩემს მთელ სიცოცხლეში თბილისში მინახავს შემოსული თუ ალექსანდრე მეორე, თუ ალექსანდრე მესამე, თუ ნიკოლოზ მეორე, თუ ბუხარის ემირი, თუ ევროპიელი პრინცები, მაგრამ როგორც შაჰი მიიღეს, ისრეთ არავინ არ მიუღიათ, მთელი ერთი კვირა ყოველ ღამეს ჩირაღდანი იყო გამართული, ისე რომ მნახავი იტყოდა, ქალაქი ცეცხლშია გახვეული. ალექსანდრეს ბაღის კარებზე ვერცხლის ლომი იყო ამართული, რომელიც ნიშნავდა სპარსეთის სამეფო გერბსა. შიგ ბაღში აუზი ღვინით გაევსოთ და ყველას ვერცხლის თასით ღვინოს ასმევდნენ, ისე რომ შაჰის სადღეგრძელოს დალევის შემდეგ ვერცხლის თასიც უნდა ჯიბეში ჩაგედვა და სახსოვრად წაგეღო. არსენალის უბნიდან და თაწმინდის მთის წვერვალიდან ათასი ფერის შუშხუნები ადიოდა და ქალაქს ამშვენებდა თავის სინათლით.

შაჰი ერეკლეს აბანოში საზანდრების დაკვრით აბანეს და ბოლოს დიდის დიდებით საქართველოს სამხედრო გზით გაისტუმრეს რუსეთში.

საშინელი კალია

1878 წელს შუა ზაფხული იქნებოდა, როდესაც მე ჩემის თვალით დავაკვირდი ადამიანის გამანადგურებელ საშიშარ მტერს. მაგრამ მე გადაჭრით ვიტყვი, რომ ვისაც თვალით არ უხილავს, იმისთვის ძნელი დასაჯერებელი საქმეა.

ამ წყეული მწერის გაფრენის გამოთ სამი დღე მზეს ვერავინ დაინახავდა. ის საქართველოში არ გაჩერდა, მაგრამ რაც რომ ჩამოცვივდა, ისიც კმაროდა. აღმოსავლეთის მხრიდან მომავალი დასავლეთის მხარეს მიფრინავდა, ისე როგორც ფრინ-

ველი. მთელს თბილისის ოლქში არც ერთი ფოთოლი, არც ერთი ყვავილი და არც ერთი ბალახი ანუ წვანილი არ დაუტოვნიათ შეუჭმელი. ადამიანს ქუჩებში გავლა უჭირდებოდა, სახეზედ ისე მედგრად ხვდებოდნენ, თითქოს ქვის კენჭებიაო. რკინის გზის მოხელები ფიცულობდნენ, რომ კალიის ზეთისაგან ვაგონის თვლებს ტრიალი უჭირდებათო და მრავალჯერაც შეჩერებულიყო. არარატის მთის კალთაში ერთგვარი ფრინველთა სამეფოა, სადაც მილიონობით დაფრინამენ და რომლებსაც ტარბს ეძახიან, აქედან მოქალაქენი წავიდნენ იმ წყაროდან, წყალი წამოიღეს და ტარბთა ხროვაც ანაზდათ გაჩნდა და უწყალოთ ხოცვა დაუწყო კალიას, მაგრამ კოვზით თუ ზღვა მოილევა, ისრეთაც ტარბების ხოცვით კალიას ვერაფერი აკლდებოდა. როგორათაც ზამთარში სხვილი თოვლი მოდიოდეს, სწორეთ იმ გვარად მაღლიდა ცვივოდნენ. როგორც ბოლოს დროს მენიშნა ეს საშინელი მტერი ოსმალეთში გადაფრინდა, სადაც ენით აუწერელი სიმშილი მოჰყვა, ისე რომ თბილისში გაზეთ მშაკის რედაქტორმა 50 ათასი მანეთი შეაქუჩა და იმ დროის რჩეულ სასულიერო პირს გაუგზავნა, რომელსაც ჰაირიკას ეძახდნენ, იმანაც აიღო და სარწმუნოების გაურჩევლად ყველას დაურიგა.

ოსმალოს მთავრობაც თავის მხრით დამშეულ ხალხს დაეხმარა და როგორც იყო, მეორე წლამდინ გააძლებინა. რუსის მთავრობაც თავის მხრივ დიდი ღონის ძიება იხმარა, ხაზინის გადადებულის ფულით დაიქირავეს უთვალავი მუშები და თბილისიდან დაწყობილი განჯამდისინ სულ ორმოები ათხრევინეს და ნიჩბებით კალია დაახვეტინეს, ნავთი და კუპრი დაასხმევინეს და ერთიანად გადააწვევინეს. კახეთის მხარესაც გლეხობას დაავალეს, რომ კალიის თესლი შეექუჩებინად და მთავრობისათვის ფასით მიეყიდნათ. ასე და ამ გვარად, გულმოდგინედ და მხნეთ მუშაობით შეიძლება მთები გასწორდეს, ესრეთაც იმ წელს იყო, ათას გვარი ცდილობით მოსპეს და გაანადგურეს ეს ბუნების მოვლენილი ულმობელი ხალხის მოურევარი მტერი, რომლის მი-

ზეზით ძველს ისტორიებშიაც აწერილია, რომ მრავალჯერ ადამიანებს და პირუტყვებს კალიის შემოსევით ჯოჯოხეთური დღები დასდგომიათ.

წვერიანი ქალი

ჩინეთში მთავრობის კანონების ძალით სიკვდილით დასასჯელ ადამიანს შეუძლია ფულის ძალით სასჯელი აიცდინოს და სხვა ვინმე მოაკვლევინოს. ეს საქმე, მე მგონია, ჩვენში ყველას გაუკვირდება და იტყვიან, თუ სიკვდილის შემდექ ფული რაღა ოხრათ უნდათ.

ამგვარი მსჯელობა სამართლიანია, თუმცა-კი ამისი მგზავსი საქმენი ჩვენშიაც ხშირია. რადგანაც სიხარბე ადამიანს ყველა მხრით აბრმავებს და შორს მხედველობას უკარგავს, თუ არა ვცდები, 1880 წელს ადესიდან ჩამოსულ ურიებმა სასტუმრო გრანტოტელის ქვეშ ერთი თვალი მაღაზია დაიქირავეს და აქეთ იქით განცხადება გააკრეს, რომ ამა და ამ დღიდან ამა და ამ ადგილას შეგიძლიათ პირადა ინახულოთ ერთი იშვიათი გასაოცარი ქალი, რომელსაც ნახევარი არშინი წვერი აქვს. რომელიც დამტკიცებულია ადესელი ექიმების შემოწმებული და დამტკიცებული ქაღალდებითა.

ამგვარმა იშვიათმა ამბავმა მთელი საზოგადოება მიიზიდა და მოხიბლა, ეს საქმე იმით იყო გასაოცარი, რომ გავლილ საუკუნოებშიაც არსად არა თქმულა და არც გაგონილა, არც სადმე წერებულა. გარდა ამისა შემსვლელთაგანს თუ სდომნოდა ქალის ასოს გასინჯვა, უნდა 100 მანეთი მიეცა და გაესინჯა. საუბედუროთ, ჩვენი ქალაქის ხალხი მხოლოთ იმათს დაკუმენტების წაკითხვით ირწმუნებდა, რომ ნამდვილათ ქალია. ეს ურიები მთელს წლის განმავლობაში დიდი ძალი ფული შეაქუჩეს და ისევ ადესაში დაბრუნდნენ. ერთს მშვენიერ დღეს, როდესაც ის ქალი დამთვრალა და ერთს ბაღში ჩასძინებია, უნახავთ, რომ ეს შემოწმებული ქალი არის ნამდვილი ვაუკაცი. საქმე ჩავარდ-

ნილა პოლიციის ხელში, პოლიციას მთელი იმათი კამპანია დაუჭერია და გადაუცია სასამართლოს გამომძიებელს, ბოლოს ეს მთელი ჯგუფი ქალიანად და ექიმებიანად კატორგაში გაუგზავნიათ, ახლა ჩინელების კანონები იმის გამოთ აგიწერეთ, რომ ხარბი და უგუნური ადამიანი საქმის დაჭერაში იმავე საქმის ბოლოსთვის არაფერს ფიქრობს. არც ამბობს, თუკი ვერ შევირგებ, ფული რისთვის მინდა.

დიდი ცეცხლი არსენალში

წინანდელს დროში ამ ჩვენს ქალაქში ცეცხლის წაკიდება ისე ძალიან ხშირი იყო, რომ ალბათ ეს საქმე მოდა არის. იმ ჟამათ ქალაქში მრავალი საზოგადოება იყო, რომლებშიაც ყველა მოქალაქე თავის მამულს აზღვევინებდა. ეს ფირმები იყვნენ „სალამანდრა", „ნიუიორკი", „ნადეჟდა", „როსსია" და კიდევ სხვები.

აი სწორეთ ამ მიზნით ყველანი თავიანთ მამულებს ცეცხლს უკიდებდნენ და მერე გამოჰქონდათ ფულები და ახალს იშენებდნენ. ეს უკანონო საქციელი იქამდისინ მივიდა, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქცია და სასტიკი ზომები მიიღო. ქალაქში დიდრონი შენობები ძალიან ბევრი დამწვარან, მაგრამ რაც შეეხება არსენალის ცეცხლსა, ეს სულ სხვა სანახავი იყო. მთელი სამი კვირის განმავლობაში ქალაქის უბნებში დასალევი წყლის მომტანი არავინ არ იყო. ყველა უბნის მეთულუხები დაბანდებული იყვნენ არსენალში წყლის საზიდლათა. ეჭვი არ არის, რომ ყველა მოქალაქის ცოლი დოქით ხელში მტკვარზე გარბოდა. ღამ ღამობით მთელი ქალაქი ისე განათებული იყო, რომ გეგონებოდათ, თუ ამერიკაში სცხოვრობთ. როგორც მაშინდელი გაზეთი „დროება" სწერდა, მთავრობას უანგარიშო ზარალი მისცემოდა, რადგანაც მომზადებული და მოუმზადებელი იარაღები და მანქანები ერთიანად გადამწვარიყო.

ბუხარის ემირი თბილისში

ამ ოცდა ათის წლის წინ ბუხარის ემირი რუსეთში გამგზავრების დროს, ქალაქ თბილისს ეწვია თავის 12 ვეზირებით. თვით ემირსა და აგრეთვე თავის ამალას ეცვათ ძალიან ძვირფასი ტანისამოსი, მხოლოდ ფორმა უფრო არაბულს წააგვანდა, იმათ ეცვათ გრძელი დიდრონ ფოთლიანი საცმელები. თავებზედაც ეხვიათ ფერადი აბრეშუმის ჩალმები. თვით ემირი ახალგაზრდა იყო და ვარგის შეხედულობისა. იმას განძრახვა ქონდა, შვილი რუსეთის მეფესთან სასწავლებლათ დაეტოვებინა და თავისი სამეფოც რუსეთისათვის გადაეცა, ისრეთ როგორათაც წინად საქართველო იყო რუსეთის მფარველობის ქვეშ.

რადგანაც აღვანისტანი ინგლისის მფარველობის ქვეშ არის, ბუხარესტანიც სწორეთ აღვანეთის მომიჯნავე მეზობელია, ამის გამოთ ემირს უფიქრია შეიძლება დღეს ხვალ მეც ჩავარდე ინგლისის კლანჭებში და ვინანო. უმჯობესია ვიდრე ცოცხალი ვარ ჩემის ხელით ჩემი სამეფოს მომავალი უზრუნველი ვყო და რუსეთს გარდავცეო.

თბილისის უმაღლესმა მთავრობამ ემირი ძალიან კარგათ მიიღო და ძალიან დიდის ამბებითაც ასიამოვნა. ყველა სკოლებში დაატარეს და ყველა მუზეუმების სიძველენი უჩვენეს და დაწვრილებით აუსხნეს.

ემირმა ყველა მოხელები დაასაჩუქრა და დააჯილდოვა. გასაცილებლად ყველა ჯარების უფროსები წინ მიუძღოდნენ და ურას ძახილით მორთულ სადგურში და მორთულ ვაგონში დიდის მოწიწებით ესალმებოდნენ. ამბობდნენ, ამგვარი გულკეთილად მიღებისათვის ბუხარის მეფეს თვალებზე ცრემლები მოსვლია.

გრიგორ არწრუნის დასაფლავება

ეს იშვიათი დასაფლავება მოხვდა თბილისში 1892 წელს დეკემბრის 19სა.

გრიგორ არწრუნი არ იყო მეფე ანუ ერთი შემძლე

დიდი თავადი, მაგრამ იმის მგზავსად კავკასიაში, არცა რუსეთში არავინ არ დასაფლავებულა. ამას მე ვამბობ იმ საბუთით, რომ ალექსანდრე მესამეზე იყო 300 გვირგვინი მაგრამ არწრუნიზე იყო 1000 გვირგვინი. მარტო ის საკმარისია, რომ საფრანგეთიდა ჩამოსულ გამოჩენილი პირები გაოცებულან, როდესაც დაუნახიათ, რომ ცხრა ბალდახინი ვერცხლის გვირგვინებით დატვირთული ცხედარს მისდევდნენ. ამ ღირსეული კაცის ვინაობას თქვენ დაწვრილებით აგიხსნით. ამისი მამა პაპა იყვნენ ძველ სომხეთიდან ქალაქ განიდან საქართველოში გადმოსახლებული, სიტყვა არწრუნი ნიშნავს არწივის ტარებას სომეხთა მეფის ნადირობის დროს. თითონ გრიგორი იყო სამზღვარ გარეთ ნასწავლი და მრავალგვარი ოქროს მენდლებით დაჯილდოვებული. ის როდესაც თბილისში ბრუნდებოდა, ხედავს, რომ საქართველოს სომხობამ სომხური სულ არ იციან. 1872 წლიდან კარგის ჯგუფის შედგენის შემდეგ იწყობს გაზეთ მშაკის „მუშა“ გამოცემას და ხალხში უფულოდ და ფულით გავრცელება. თან კარგის მათრახებით სომხების გაკიცხვა-შერცხვენას, რომ ყველა ადამიანი მოვალე არის, პირველად სამშობლოს ენა იცოდეს და შემდეგ სხვადასხვა.

ეს გაზეთი არსებობდა თითქმის 50 წელიწადს. ეს გაზეთი მთელს ხმელეთზე ისე იყო გავრცელებული, რომ ლონდონში ინგლისურათ სთარგმნიდნენ და ხალხში ავრცელებდნენ, იმაში წერილები იბეჭდებოდა ამერიკიდან მოწერილნი, ინდოეთიდან მოწერილნი, ინგლისიდან, ისპანიიდან, საბერძნეთიდან, აღვანისტანიდან, გერმანიიდან, დანიიდან და სხვა მრავალი კუთხებიდან.

თითონ გრიგორ არწრუნი ქართველ მეზობლობაში ძალიან იყო მიღებული. ის იყო მახლობელი მეგობარი ვანო მაჩაბლისა (რედაქ. „დროებისა“), გიორგი წერეთლისა (რედაქ. „კვალისა“), აკაკი წერეთლისა (რედაქ. „კრებულისა“), ილია ჭავჭავაძისა (რედაქ. „ივერიისა“), ალექსანდრე ჯაბადარისა (რედაქტ. „ცნ. ფურც.“), აგრეთვე სხვადასხვა პირებისა. მაგალ. რაფაილ ერისთავისა, ჭრელაშვილისა, დიმიტრი ყიფიანისა, ალექს-მესხიშვილისა და სხვა მრავალთა.

იმის დასაფლავების მაშრუთი ასე იყო შედგენილი. რედაქციიდან სომ. ვანქის ეკლესიაში, მერე იქიდა ჯორჯიაშვილის აღმართით ძველ ფოშტის ქუჩით თავისუფლების მოედანზე, სადაც უპრავის წინ უნდა რიგი გარდაეხადნად, რადგანაც დიდხანს ქალაქის ხმოსნათ ნამყოფი იყო.

როდესაც ცხედარი შუა აღმართიდან უნდა ალექსანდრეს ბაღისკენ მიებრუნებინათ ფოშტის ქუჩაზე გასატარებლად, ქართველი მამულიშვილებმა წინ გადაეღობნენ და რუსთაველის პროსპეკტით სასახლის წინ ძალათ გაატარეს. რადგანაც წინასწარ იცოდნენ, რომ სასახლის წინ გატარება არ შეიძლება, მაგრამ მაინც გაატარეს. მღვდლებმა, მოლებმა, სეიდებმა, ახუნდებმა, ებრაელთა ხახმებმა და რაბინებმა-კი ამქრების დროშებით ერთად გაიარეს ფოშტის ქუჩაზე, სადაც შემდეგ უპრავის წინ ცხედარს შეუერთდნენ და მერე იქიდან ავლაბრის ხოჯივანქის სასაფლაოზე.

იმ ჟამათ მთავარ მართებლად შერემეტევი იყო, პოლიცმეისტრათ კიდევ გენერალ მასტიცკი. თუმცა შერემეტევი მახლობელი მეგობარი იყო არწრუნისა, მაგრამ რას იზავდა, როდესაც მთავრობის კანონით წარჩინებული პირის ცხედრის გატარება სასახლის წინ ერთობ აკრძალული იყო.

რაც შეეხება გენერალ მასტიცკის, იმან როდესაც ბაზაზხანის ქარვასლები ნახა, ერთიანად შავი მაუდით კედლები დახურული, თითო მანეთიანი სანთლები ანთებული ხიდების გაღმა და გამოღმა სამგლოვიარო კამარები შეკრული, ქუჩების ორსავ მხარეს უხვათ საკმელი დაკმეული, დუქნები დაკეტილი და შავი დროშა ჩამოკიდული, არწრუნის სურათები აქა იქა ვერცხლის გვირგვინით ჩამოკიდული. ესენი ძალიან იუცხოვა და ამ გვარი გადაცილებული პატივი და მეფეთა კუთნეული დაკრძალვა სომხების მხრივ საეჭვოთ სცნო და ასამდისინი მოთავე პირები დააპატიმრა. თუმცა ხშირი თოვლი მოდიოდა, მაგრამ მაინც უთვალავი ხალხი იმას ყურადღებას არ აქცევდა. იქ მდგომი ხალხი ვერც სიცივესა გრძნობდა, ვერც სიმშილსა.

ასე ბინდამდისინ დაკრძალვას და სამგლოვიარო დეპეშების კითხვას მოუნდნენ, ბოლოს ერთი გაზეთის თანამშრომელი ავიდა მაღლა, ხალხს მადლობა გადუხადა და სთქვა, ჩვენი მიღებული ყველა დეპეშები რომ სულ წავიკითხოთ, მაშინ ერთი კვირა დრო დაგვჭირდებაო.

შვილის მკვლელი

პუშკინის ქუჩაზე, სწორეთ ძველი სემინარის პირდაპირ ერთი ფრანგი ვაჭარი იყო გვარად დათებოვი. ამ ვაჭარს ორი ვაჟი შვილი ყავდა, რომლებიც მუდმივად მამას ეხმარებოდნენ და ყველაფერში ხელს უწყობდნენ. ამ ყმაწვილებში უმცროსი იქნებოდა 16 წლისა, მხოლოდ უფროსი 18 წლისა. ეს უფროსი ვაჟი მამას თვალში ისე ამოღებული ყავდა, რომ მუდმივად იმის სიკვდილის მოხარული იყო. საერთოთ ორივე ვაჟები ძალიან მორჩილი და მორიდებულები იყვნენ თავიანთ მამისა, მაგრამ უფროსი ფულის მფლანგავი იყო და აი უმთავრესი მიზეზი რომ გამოიწვია მამასა და შვილს შუა. დათებოვი ყოველთვის ცდილობდა უფროსი შვილის მოსპობას, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა. ჩვენ არ-ვიცით, თუ მშობელი დედა რაღას ფიქრობდა, მაგრამ ის-კი გამოირკვა, რომ დათებოვმა უმცროსი შვილი მიიმხრო და ერთ დღეს დილით მაღაზიაში ცხვარივით დაკლეს. თუმცა მეზობლებმა ხმა გაიგეს, მაგრამ რადგან მაღაზიის კარები ჩაკეტილი იყო და ფანჯარაზედაც ფარდა აფარებული, მაინც ვერაფერს მიხვდნენ. ბოლოს პოლიციამ გაიგო და მამა და შვილი დააპატიმრა.

მტკვრის ადიდება

ყველა შეგნებული ადამიანი ადვილად მიხვდება, რომ რიყე ერთ დროს მტკვარსა სჭერია, მაშასადამე, აუცილებლად თვალ წინ უნდა ქონდეთ, რომ

ყოველ გაზაფხულს დიდი შიში მოელის რიყის მცხოვრებთა, მტკვრის ადიდება მრავალჯერ გვინახავს, მაგრამ 1879 წელს ისე ადიდდა, რომ ენით უთქმელი და კალმით აუწერელი ზიანი მიაყენა მთელს იმ რაიონის მცხოვრებთა და მოვაჭრეთა. ავლაბრის ხიდიდან ვინც გასცქეროდა რიყესა, მარტოთ მარტო სახლების ბუხრების თავებსღა ხედავდა.

ამგვარი საზარელი წყლის მოვარდნა შუაღამისას მოხდა, ამის გამოთაც მრავალი ხალხი და მრავალი პირუტყვი დაიხრჩო. ბავშვიანი აკვნები ქუჩებში წყლის პირზე ტივტივებდნენ. მალაკნების დამხრჩვალი ქალებისა და კაცების რიცხვი უთვალავი იყო, მტკვრის ტალღები ხიდსა ხვდებოდა, იმგვარი ტივის ხეები მოჰქონდა, რომ ხიდის ქვეშ ძლივს ეტევოდნენ. იმგვარი ფიცრის სახლები ჩამოატარა, რომ ლოგინი და ქათმები გარედან ჩანდნენ.

ამგვარი უბედურების თავიდან ასაცილებლად ქალაქის საბჭომ დაადგინა, რიყის მოსახლეობა ერთიანად საბურთალოზე გადაასახლოს და მთელი რიყის მიდამოები ისევ მდინარე მტკვარს დაუთმოს. ამ განკარგულების ძალით მეტი წილი მცხოვრები გადაასახლეს, მაგრამ ბევრთაც ისევე რიყეზე ირჩიეს დარჩენა.

ამქრების დროშები

წინანდელ დროში ამქრობას დიდი გავლენა ქონდა. ყველა ხელოსანთა ჯგუფს თავისი უსტაბაში ყავდა და თავისი დროშა ქონდა. შეგირდი როდესაც თავის ოსტატთან ანუ მასწავლებელ მოხელესთან თავის შეპირებულ ვადას შეასრულებდა, უსათუოდ უნდა ოსტატისაგან დალოცვილიყო.

ეს ლოცვა მიღებული იყო ამ გვარად, ყოველ წელს ამაღლების დღიდან იწყობოდა ამქრების სამღვთობა, ანუ მსხვერპლის შეწირვა. ამგვარი სამღვთოს შილაფლავი რიგდებოდა ყველა უბნებში დაბალ ოჯახებში, იმის შემდეგ სადილები იმართებოდა გარეთ ბაღებში, ვერაზე, ანუ ორთაჭალაში.

აი სწორეთ ამ სადილების დროს ყველა მოხელე ოსტატი თავ თავიანთს შეგირდებს თვითო სილას შემოჰკრავდნენ და თან დალოცავდნენ და დარიგებას მისცემდნენ. რომ შემდეგში ყოფილიყო მართალი და ხალისიანი ოსტატი. იმ დღიდანვე ის შეგირდი ითვლებოდა ღირსეულ მოხელეთ. იმას შეეძლო ფასით, სადაც სურდა, იქ ქარგლათ ემუშავნა.

თუ მოიწადინებდა, თავის ოსტატის შემოწმებით სახელოსნო უპრავიდან ატესტატს მიიღებდა, მერე თავისთვის სახელოსნოს გააღებდა. ამქრის დროშები თბილისში ორასამდის იქნებოდა, რომლებზედაც ყველა ამქარს თავისი ღერბი ქონდა გამოსახული. დულგრების ბაირაღზე გამოსახული იყო ნოეს კიდობანი, ნიშნად იმისა, რომ ნოემ წარღვნის შემდეგ კიდობანი ააშენა. მეღვინეთა ღერბი იგივე ნოე იყო, რომელმაც პირველათ ყურძნის წვენით დაითვრა. ყასპების ღერბი იყო მამა აბრამი და ისააკი. ასე და ამ გვარად ამქარი მიღებული იყო იმ დროს, რადგანაც, როდესაც ამქრის მწევრი, ესეიგი დალოცვილი ოსტატი გარდაიცვლებოდა, უსათუოდ ცხედარზე ამქარი უნდა მისულიყო, თუნდა კიდეც არაფერი არ მიეღოთ მკვდრის პატრონისაგან.

უკეთუ სამხიარულო დღესასწაული იქნებოდა, ამქარი ზურნის დაკვრით მივიდოდა და თუ სამგლოვიარო იყო, მაშინ შავს ლეჩაქში გახვეული დროშებით მივიდოდა უზურნოთა. ქალაქში შემოსულ უცხო მეფეს და ღირსეულ კაცებს ყოველთვის სადგურამდისინ ამქრები თავიანთ დროშებით და ზურნით მიაცილებდნენ და კიდეც ამავე გვარად მიიღებდნენ.

გველისაგან დაშხამული ღვინო

ამგვარი უცნაური და ერთობ იშვიათი საზარელი ამბავი მოხდა, თბილისის მეშვიდე უბანში, ესე იგი ავლაბარში. ერთს ღვინის ვაჭარს ახლათ ჩამოტანილი ღვინის ბოჭკა გაეღო და ნევრილათ გაყიდვა დაეწყო. თურმე ყველა ღვინის წამღებნი, დალი-

ეს თუ არა, ანაზდათ დაიხოცნენ. როდესაც პოლიციამ შეიტყო და ღვინის ვაჭართან მივიდნენ, იმან ეს საქმე იუცხოვა და თავის ღვინოს ქება დაუწყო, შემდეგ მინდობილად ჩამოასხა იმავე ბოჭკიდან ერთი ჭიქა და გადაჰკრა. ეს დალევა ყოფილა და იმისი დაცემა, წყალი უსხავთ, მაგრამ სულ ამაოდ, მაშინათვე სული დაულევია.

გამოძიებიდან გამოირკვია, რომ კახეთში როდესაც ბოჩკა გაურეცხიათ და ცარიელი ღამით კარში დაუტოვნიათ წყეული გველი ზედ ასულა და შიგ ჩავარდნილა. მეორე დღეს დაუფიქრებლად ღვინით გაუმსიათ და დაუბეჭდავთ.

ეს საქმე თბილისში გამოირკვა, როდესაც პოლიციის მოხელეებმა ღვინო გადაღვარეს და ბოჩკა დაამტვრიეს, ნახეს შიგ უზარმაზარი დამხრჩვალი გველი მეტათ შხამიანთა ჯისისა, რომელსაც ქვიან ასპიტი.

ხიდის ჩატეხა

1892 წელი გათენდა მრავალ გვარი უბედურების შემთხვევითა. ჯერ ხიდი ჩატყდა ასამდის სული დაიღუპა, მერე რკინის გზაზე შეჯახება მოხდა, უთვალავი ხალხი იმსხვერპლა, შემდეგ მოჰყვა საშინელი ხოლერა, რომ კალმით აუწერელი ამბები მოხდა მთელს კავკასიაში.

ყოველ წელს ნათლიღების დღეს სომხები ვანქის სობოროს წინ მტკვრის პატარა ტოტზე ფიცრის ხიდს აკეთებდნენ, რომ გადასულიყვნენ დიდ ტოტზედ იორდანესთან. ეს ხიდი კეთდებოდა დროებითი, მხოლოდ ერთი დღისთვის, ამგვარათაც ამ წელს გამართეს, მაგრამ ხალხის საუბედუროდ ამ წელს, ჯერ ერთი, რომ წყალი ძალიან ადიდებული იყო, მეორეთ ისა, რომ ამ ხიდზე 12 არშინიანი პოლის ფიცრები ჩარჩოებზე დაულურსმავი ელაგა.

საზარელ სანახავს რომ იტყვიან, სწორეთ ეს სანახავი იყო. როდესაც სამღვდელოებამ იორდანეზე წეს რიგი გადიხადა და ეკლესიაში დაბრუნ-

ალ. ჭაბუკიანი

ა.ს. პუშკინი.


გრ. ორბელიანი.





და, იმ დროს პოლიციამ ეკლესიის მხარეს აღარავინ მოუშვა, გაღმა მხრიდან მოსული ხალხი ყველა ხიდზე გაჩერდა.

ყალბათ გაკეთებულმა ხიდმა ვეღარ აიტანა ხალხის სიმძიმე, ანაზდათ ჩაიმტვრა და თან ჩაიტანა ღრმა გუბეში მორთულ მოკმაზული საცოდავი ხალხი. იმ გვარ ამღვრეულ და ადიდებულ წყალში ხალხი ცვივოდა, იმათ ზედაც თორმეტ არშინიანი სქელი მძიმე ფიცრები ცვივოდა. იმხრიდანაც ხალხი ერთმანეთს აწვებოდნენ და ამით უფრო უმატებდნენ წინა მყოფთა უბედურებასა. ბოლოს, მართალია, ცეცხლის მქრობი რაზმი დაიბარეს, მაგრამ იმათ მკვდრების მეტი ერთი ცოცხალი არ ამოუყვანიათ. მეტის მეტი სამწუხარო და გულსაკლავი სანახავი იყო ეს საქმე. მას აქეთ 40 წელს გაუვლია, მაგრამ მაინც თვალწინ მიდგას ის ჯოჯოხეთური სურათი.

ხოლერა თბილისში

მრავალი ისტორიებიდან გაგონილი გვაქვს, რომ მხნე და მშრომელ ადამიანს სხვა და სხვა გვარი ძნელი საქმები უკისრია და მრავალ გვარის თავის მეცადინეობით ხალხისათვის სიკეთე მოუტანია, სწორეთ ამგვარი კაცი იყო თბილისის პოლიცმეისტერი გენერალ მასტიცკი, რომლის შნოებით გადარჩა მთელი ქალაქის მცხოვრები საშინელი ხოლერისაგან. ის-კი არა რომ ამავე დროს ბაქოში დაიხოცა უთვალავი ხალხი. ქალაქის შემძლე ნაწილი ერთიანად გაეცალა და ქალაქს გარეთ გავიდა, გუბერნატორი გაიქცა, მთელი შტაბი მანგლისში გადაიტანეს. ჯარი მთლად სააგარაკოთ სურამს და კახეთს გაისტუმრეს, სასტუმროები და ქარვასლები დაიცალა. ქალაქში დარჩა ღარიბი და საწყალი მუშა ქალი და კაცი, რომელთაც სჭირდებოდათ სწრაფი დახმარება. მასტიცკიმ ხანი აღარ დააყოვნა. ქალაქს ფული გადაადებინა და იმ ფულით ყველა ქუჩებში მუქთი საჩაოები გამართა, ყველა ადგილებში ღვინო ნარევი ადუღებული წყალი ასვა

ხალხს, აბანოები მუქთი გახადა, ღარიბ შეუძლო ოჯახებში ჩაიშაქარი დაურიგა, საავათმყოფებში მკურნალთა რიცხვი გაორკეცა, ქუჩების თავში და ბოლოში წითელ დროშიანი ეტლები დააყენა. უმი წყლის სმა საერთოთ ყველას სასტიკათ აუკრძალა. მუშა შეუძლო ხალხს საცვალი და საპონი დაურიგა. ესე და ამ გვარად მოუსვენებლად დღე და ღამე თავის სიმხნითა და მეცადინეობით მთელი ქალაქი ისე გადაანარჩინა, რომ ძალიან მცირე ნაწილი ხალხისა დაშავდა. იმ შესანიშნავ ადამიანმა თავისი დაუღალავის შრომით ყველას დაანახვა, რომ უბედურ შემთხვევაში საცოდავ ხალხს ენერგიული დახმარება დიდათ ხელს უწყობს და ყოველგვარ უბედურებიდან ადვილად არჩენს. სიბინძურე, სიმშილობა და ზანტობა-კი ყოველგვარ სნეულებას უფრო ავრცელებს და აზვიადებს.

ასი წლის დღესასწაული

1896 წელს შესრულდა ასი წელიწადი საქართველოს უკანასკნელი ომისა, რომელიც მოხდა კრწანისის ველზე, მეფე ერეკლე მეორის დროს.

ეს დღესასწაული იმგვარად იყო მოწყობილი, რომ ადამიანი გაოცებული რჩებოდა. იქ იყვნენ ჩამოსული საქართველოს ყველა მამულიშვილები, არაგვის მოხევები, კახეთის თუშები, თიანეთის მაზრის ხევსურები თავიანთის ჯაჭვ ჯავშანიან ფარებით და ხმლებითა. ყველანი ცრემლებით რწყავდნენ იმ ველსა, რომელი ველიც როდესმე ქართველთა გმირების სისხლით მორწყმულიყო.

ამ შესანიშნავ და დაუვიწყარ დღესასწაულზე სიტყვები წარმოსთქვეს და ხალხი აატირეს აკაკი წერეთელმა, რაფაელ ერისთავმა, ილია ჭავჭავაძემა, გიორგი წერეთელმა, ზაქარია ჭიჭინაძემა, ვასო აბაშიძემა, ვანო მაჩაბელმა და სხვა მრავალმა. ეს დღესასწაული ქართველ ხალხს უღვიძებდა გულში ჩამქრალ ნაპერწკალს, და ამრავლებდა სიძულვილს მაჰმადიანი შემოსევის მეთაურ ბელადის წყე-

ულ აღამაჰმადხანისა, რომელმაც საქართველო ისე დააწიოკა და გაანადგურა, რომ მისი მგზავსი მეხი ჯერ არავისგან არ ახსოვდა. ეს დღესასწაული ნათლათ ხატავდა ქართველთა სიმამაცესა და სამშობლოს სიყვარულსა.

ყოველივე იქ მყოფი უსწავლელი ხევსური, ფშაველი, მოხევე და თუში ისე მკაფიოთ ლაპარაკობდნენ ამ დიდი დღის მნიშნეულობას, თითქოს უმაღლესი სწავლა ქონდეთ მიღებული. ეს ამბავი საკვირველიც არ არის, შექსპირმა სთქვა, როდესაც ძარღვებში სისხლი დუღს, ენა ფიცით არ იღლებაო.

აი, სწორეთ ამგვარ ბრძნულ აზრს მიეწერებოდა კრწანისის ველზე შეგროვილ საქართველოს კუთხებიდან ჩამოსულ მამულის ერთგულ შვილების გულის თქმა.

მირზოევის ქარხანა

ვარანცოვის ქუჩაზე დაბახანების[19] ქვემოთ იყო აშენებული მირზოევის ამერიკის ქარხანა, სადაც მუშაობდა 500 კაცამდე. ეს ქარხანა დიდ სარგებლობას აძლევდა ქალაქის ღარიბ ხალხს, რადგანაც მთელს ქალაქში სხვა სამუშავო ადგილები არ იყო, ამის გამოთაც მირზოევის ქარხანა ერთი საიმედო და ცხოვრების წყაროთ მიაჩნდათ. მართალია, ქალაქში თუთუნის ქარხნებიც იყო, მაგრამ ძალიან ცოტა ხალხი სჭირდებოდათ, რადგანაც სატახტო ქალაქების ფირმების პაპიროსები უფრო მეტი საღდებოდა. იმ დროის ფირმები მე მახსოვს, იყო ასმალოვი, კუშნაროვი, ასლანიდი „ბათუმიდან", ბინიათოღლი, მირზაიანცი „ბაქოდან" და სხვა. 1879 მირზოევმა თავის ქარხნისთვის რუსეთიდან ერთი უზარმაზარი ქვაბი ჩამოიტანა, რომელსაც 20 არშინი სიგრძე ექნებოდა 4 არშინიც სიგანე.

ეს ქვაბი დიდხანს იყო გაჩერებული რიყის ქუჩაზე, სადაც ისევ მირზოევის ქარვასლა დასცქეროდა, ამ გაჩერების მიზეზი ის იყო, რომ მთავრობა ხიდებზე გატარების ნებას არ აძლევდა, რადგან

ჩატეხა საეჭვო იყო, როდესაც საქმე სატახტო ქალაქში გაიგეს, შემოუთვალეს მეფის მოადგილეს, რომ მირზოევს შეუძლია ერთი მილიონი ოქრო ხაზინაში ზალოგათ შეიტანოს და შემდეგ მეჩითის ხიდზე გაატაროს თავის ქვაბიო. როდესაც ნებართვა მიიღო, თავისავე ჯოგებიდან მოარეკინა 20 წყვილი საუკეთესო დასუქებული კამბეჩები და ქვაბი სხვაგვარი თვლების საშვალებით ხიდზე გაატარა და ქარხანაში მიატანინა.

ეს ქარხანა დიდხანს მუშაობდა, შემდეგ საფრანგეთის ქვეშევრდომ რიშარდმა აიღო იჯარით, იმის შემდეგ ბანკის პატრონ ჩითახოვის ხელში გადავიდა, მაგრამ ამ სამივე მაწარმოებელთაგან ვერც ერთმა ვერ იხეირა, რადგანაც მომუშავენი ძაფებს პარავდნენ და მტკვარში ყრიდნენ, მერე ქვემოთ ორთაჭალაში მენავენი ძაფებს იჭერდნენ და სანახევროთ ყიდდნენ.

ღამღამობით ქვის სროლა

ამგვარი უცნაური საქმე ჯერაც გაუგებარი რჩება. ამისი ვერაფერი შეიტყეს. ჩემს სიცოცხლეში თბილისში სამჯერ, ესე იგი სამ უბანში მინახავს. პირველი იყო 1878 წელს ნორაშნის ქუჩაში ზაფხულის ჟამათ. რადგანაც სახლის ფანჯრები ღია იყო, საღამოთი, ახლად შებინდებისას, ისეთი ქვის სროლა ასტეხეს, რომ ზალაში დიდრონი სარკეებიც-კი ჩალეწეს. ამ სახლზე ქვის სროლამ გასტანა 4 თვე, და მაინც ვერაფერი შეიტყეს. შიშის ზარ დაცემული მთელი სახლი მიატოვეს და გადავიდნენ, მაინც ქვის სროლა ისევ გრძელდებოდა.

მეორე ამისავე მგზავსი ქვის სროლა დაიწყეს ქალაქის მეოთხე უბანში მოლნინის შესახვევში, სადაც სცხოვრებდა აბანოების იჯარადარი მდიდარი იოსება. ეს იყო 1892 წელს.

პოლიციის უფროსი გენერალ მასტიცკი მობეზრდა ამ საქმის მქნელების დევნით და ყარაულების დაყენებით, მაგრამ მაინც ვერაფერი შე-

იტყო. ქვები მოდიოდა სწორეთ იმ ბალკონზე სადაც ის იჯარადარი ცხოვრობდა, ხან აგურებს ისროდნენ, ხან ქვებს, ხან დიდრონ კარტოფილებს.

ამგვარივე ქვის სროლა იყო თაწმინდის უბანში, და შეითან ბაზარში. ამის გვარი საქმები მომხდარა კიდევ ერევნის გუბერნიაში ქალაქ ნახიჩევანში, სადაც შიშისაგან მთელი უბანი გადასახლებულა სხვა უბანში.

უცნაური ფეხით მოსიარული

1884 წელს სამზღვარგარეთიდან ერთი ფრანგი უცნაური და ჯადობაზური ფეხით მოსიარული ჩამოსულიყო, რომელიც რკინის გზის პარაოზს წინ უსწრობდა. ჯერ იმაზე წინ დოღის ველზე ყველა მოჯირითე ცხენის პატრონები შეიკრიბნენ, თუ თბილისიდან, თუ კახეთიდან, თუ ბორჩალოს მხრიდან, თუ თუშებიდან, თუ არაბული ჯისის დრაგუნის დივიზიიდან. ესენი ყველა მოღალა და მოქანცა. მაინც სიარულში ვერავინ ვერაფერი გახდა. იმ დროს რკინის გზა იყო ერთი კამპანიის ხელში, რომელიც ზარალის მეტს ვერაფერს ხეირობდა, იმდროს იმ არემარეზე სადგურის გარდა სხვა შენობა, ან დეპო, ან სხვა დანესებულება სულობით არ მოიძებნებოდა.

მაშინ სადგურის უფროსი ძალიან გაოცდა თურმე და მოინდომა, რომ ეს იშვიათი და სამაგალითო ადამიანი ორთქმავალთანაც სცადოს. და აი ერთხელაც ბევრი ხალხის თანა დასწრებით პირობა დასდეს და შეჯიბრდნენ, პარაოზი და ის ფრანგი თანასწორათ გავიდნენ ქალაქიდან და მცხეთაში მივიდნენ. მცხეთის სადგურის უფროსმა უწინვე ტელეგრამით სულ იცოდა, დავალებულიც ქონდა, რომ რომელიც წინ მისულიყო, მინუტები დაენიშნა. ხალხი ერთიან გაგიჟდა, როდესაც ის კაცი შვიდი მინუტით წინ მისული ნახეს. ამბობდნენ, იმან დიდი ძალი ფული წაიღო ყოველ გვარ სანაძლეოს მოგებითა.

ჯერ ამგვარი უცნაური ამბავი ისტორიაში არ

ჩაწერილა, არც სადმე გაგონილა, ზოგი იძახდა პატარობიდანვე ეგრე გაწურთნულა, ზოგიც ამბობდა, მართალია, თვალით ვნახეთ, მაგრამ მაინც არა გვჯერაო. ზოგნიც ამბობნენ, ეს რაღაც სასწაული უნდა იყოსო.

საზიანო სეტყვა

1876 წელს თბილისში ისრეთი სეტყვა მოვიდა, რომ ყველა მცხოვრებელთათვის სწორეთ დაუვიწყარი დარჩა.

ისე ჩალეწა ქალაქის სახლების ფანჯრები და ქუჩების ფარნები, რომ კალმით აუწერელი ამბავი იყო ის სანახავი, რაც მე ჩემის თვალით ვნახე და გაოცებული დავრჩი. მთელს ქალაქში არც ერთი სახლისა და არც ერთი დუქნის ფანჯარა არ დარჩა დაუმტვრეველი. იმდენი ფანჯრის მინები ქალაქში არ იშოვებოდა. იმ დროს მოდიოდა ბელგიიდან და შვეიცარიიდან. მინამდისინ იქიდან მინებს მიიღებდნენ, მინამდე ფანჯრებს ქაღალდები და ტილოები ეფარა. უფარნობის გამოთ ქალაქის ქუჩები ჯოჯოხეთს დაეგვანა. ამის მიზეზით ქურდობა და ცარცვა გლეჯა ისე გახშირდა, რომ სახლიდან კარში ველარავინ გადიოდა.

მინების მიღების შემდეგ ქალაქმა გადასწყვიტა, ფარნების ზემო მხარეს ჟესტი გაეკეთებინა, რომ სეტყვისაგან უზიანოდ გადარჩენილიყო.

ამგვარათაც მოახერხეს და ქუჩის ფარნების თავები, რომელიც წინათ მინით იყო გაკეთებული, ბოლოს დროს ჟესტით გააკეთებინეს.

მაღალი აბელა

ეს შესანიშნავი ადამიანი ისე მიღებული იყო თბილისის მოქალაქებში, რომ ძნელად იქნებოდა ისეთი ამქრობა, ისეთი ლხინი, ისეთი ქორწინება, რომ აბელა იქ არ ყოფილიყო და თავისი დახელოვ-

ნებულის ჯადობაზობით ხალხი გაოცებაში არ მიეყვანა. აბელას პატარობიდანვე მრავალი ქვეყნები ნავალი ქონდა და აი ამ მოგზაურობაში გაეცნო ისეთი იშვიათი არაბები და ენდოელი ფაკირები, რომ იმათქგან შეესწავლა უცნაური თვალთ-მაქციობა და ჯადობაზობა. ამგვარ საქმებში ისე დახელოვნებული იყო, რომ ხშირად ადამიანს ვირად აქცევდა, ქვის ნამტვრევს კრუხ-წინილებად აქცევდა, რომელი ადამიანიც არ მოეწონებოდა ტუჩებზე უზარმაზარ კლიტეს ჩამოჰკიდებდა. სტაფილოს ალყათ დასჭრიდა, მერე ოქროს ფულათ აქცევდა, შემდეგ ორთაჭალის მიკიტნებს თავის დანარხარჯის ფასში მისცემდა. ერთი სიტყვით, ამგვარი საქმები ძალიან ბევრი იცოდა. გარდა ამისა მაღალ აბელას იმისთვის ეძახდნენ, რომ ის ხშირად დაიარებოდა ხუთი ექვსი არშინის სიმაღლე შეშის ფეხებზე. ამგვარ ფეხებს თავიდან ფეხამდენ ეცვა ფერადი ფერანგი. ამნაირი ფეხებით ქორწილებში და ლხინებში ზურნაზე თამაშობდა, იმისგამოთაც მდიდარი მოქალაქები იმისთვის ფეშქაშებს არა ზოგავდნენ. გარდა ამგვარი შნოებისა, სადაც ეკლესიის ჯვარი ყოფილიყო გუმბათზე ასამართი, აბელას უნდა ჯვარი აეტანა, ზედ საყდარზე გაემაგრებინა და მერე ზედ ყირამალა გადასულიყო. მაღალ აბელას შესანიშნავ ადამიანად მისთვის უწოდებ, რომ მისი მგზავსი დახელოვნებული და ხალხის თვალის მომხიბლავი ვინმე ჯერ ქალაქის მცხოვრებელთა არ უნახავთ. მართალია, სპარსეთის მეფებისაგან უხვად დაჯილდოებული რობერტ ლენცი მრავალჯერ ეწვია თბილისის საზოგადოებას და თეატრებში წარმოდგენები გამართა, სადაც ადამიანს თავსა სჭრიდა, მერე ბლუდზე სდებდა და ხალხს უჩვენებდა, მაგრამ რაც უნდა იყოს, აბელა რომ საყდრის ჯვრებზედ თავდაყირა დგებოდა და იმისთანა საშიშარ ადგილას თამაშობდა, ესე ყოველგვარ ოსტატობას გადაცილებით სჭარბობდა. აი ამის გამოთაც მაღალ აბელას სახელი დაუვიწყრად დარჩა ქალაქის ყველა მცხოვრებელთა ხსოვნაში, როგორც ერთი მოუშლელი სახსოვარი.

ყალბი ფულის მომჭრელები

1890 წელს თბილისის საოლქო სასამართლოში ირჩევოდა ერთი ძალიან დიდი ამხანაგობის საქმე, რომელშიაც ერივნენ ბერძნები, სომხები, სტამბოლელი თათრები, სპარსელი თათრები და სომეხთა მღვდლები. ამ ჯგუფის მოჭრილი ფული ყოფილიყო უმთავრესად ოქროს ფული, რუსეთისა, სპარსეთისა და ოსმალეთისა.

ამგვარი დიდძალი ოქროს ფული ვერცხლიდან ეჭრათ და ოქროს წყალში დაეფერათ. ამათი საქმის გარჩევამ მთელი თვე გასტანა, სადაც გარდა მრავალი ხალხისა დაესწრნენ ევროპიელი მთავრობების კონსულები, ვექილები, ჟურნალისტები და მრავალი კორესპონდენტები იმდროვის გაზეთებისა.

მომჭრელების ყოველგვარი იარაღები იქვე სასამართლოს მაგიდებზედ ელაგა, სადაც ყველა კონსულები და სასამართლოს მწევრები სინჯავდნენ. ამ ოსტატებს დიდ ხანს ეჭრათ ოქროს ფულები და დიდი ძალიც გაესაღებინათ სტამბოლის ქალაქში.

ამათი დამჭერი იყო კოტე სიმონოვი, რომელიც იმ დროს ბოქაულათ იყო თბილისის 4 უბანში. ამ ბოქაულს ყალბი ფულის მომჭრელების გამცემი გასპაროვი თავის მხრივ გაენთავისუფლებინა და სპარსეთში გაეგზავნა.

ამ საქმის გამოთ სასამართლოს ბრალმდებელმა სასტიკი შენიშვნა მისცა სიმონოვს და ის გამცემი, რომელიც იმათივე ამხანაგი იყო, ესე იგი გასპაროვი მოსთხოვა სიმონოვს, მაგრამ რაღა იქნებოდა, როდესაც ის კაცი თავისუფლათ სპარსეთში დასეირობდა.

ბატანიკური ბაღი

ეს შესანიშნავი ბაღი მდებარეობს თბილისს ახლოს, ნარინყალის ციხის სამხრეთის მხარეზე, სადაც მაჰმადიანთა სასაფლავო არის. თქმულობა არის, რომ ეს იშვიათი ბაღი დაფუძნა მიხაილ ნიკო-

ИЛИР. ЧАВЧАВАДЗЕ.



ВАНО МАЧАБЕЛИ.


Н. НИКОЛАДЗЕ.

Н. ОРБЕЛИАНИ


А. КАЗБЕГ.

ლოზის ძემ. ამის შესახებ მე დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც თვალწინ საბუთები არა მაქვს, მეორე მხრივ ვფიქრდები, რომ თუ რუსეთის ხაზინას დახმარება არ გაეწივნა, ვის შეეძლო იაპონიიდან, ჩინეთიდან, ამერიკიდან და შვეიცარიიდან მოეტანა იმგვარი გასაოცარი ძვირფასი ხეხილები, რომლებითაც სავსეა ეს ბაღი.

ამ ბაღში თქვენ ნახავთ ათას გვარ ხეხილს ნერგებს და ყვავილებს. ყოველგვარ მცენარეს თავ თავისი წარწერები აქვს, რომლების სინჯვით ადამიანი გაოცებული რჩება, თუ იმდროს ესენი როგორ მოიტანეს, როდესაც ჯერ რკინის გზები არსად იყო გაყვანილი. ამ უცნაური ხეხილების ნახვა ყველა ადამიანს შეუძლიან.

წინანდელ დროში ევროპიდან მომსვლელი მოგზაურნი და სხვა სტუმრები ყველაზე უპირველესად ჯერ ამ ბაღს ინახულებდნენ და მერე სხვა და სხვა დაწესებულებებსა. ამ საქმიდან ყველა ადვილად მიხვდება, რომ ბატანიკური ბაღი გაკვრით გასასინჯი-კი არ არის, არამედ დაწვრილებით საჭიროა კატალოგის წიგნაკით გასინჯოს და გული დააჯერებინოს. ამ ბაღს ბევრი გზები ქონდა, მაგრამ აღმართების თავიდან ასაცილებლათ, 1896 წელს სოლოლაკის მხრიდან გვირაბი გასხნეს და ყველას გაუადვილეს ბაღის გზა.

კავკასიის გამოფენა

1902 წელს ქალაქ თბილისში გაისხნა მთელი კავკასიის სამრეწველო, სამეურნეო და სასოფლო უდიდესი და უპირველესი გამოფენა.

ეს გამოფენა მოწყობილი იყო მუშტაიდის ბაღის ზემოთ ელისაბედის ქუჩის მხარეზედ.

თუმცა ამ გამოფენის ყოველივე განყოფილება მოითხოვს დაწვრილებით აღწერას, მაგრამ რადგანაც ჩემი შედგენილი იშვიათი ამბები დამყარებულია მხოლოთ მკაფიო სურათის გამოხატვაზე, ესრეთაც შევეხები ამ გამოფენის უმთავრეს საგნებს. ამ გამო-

ფენის განცხადებამ მრავალი უცხოელი სტუმრებით გაავსო თბილისის ქალაქის სასტუმროები. ამ გამოფენაზე ყველაზე დიდი ადგილი ეჭირა ნავთის წარმოებას. ნობელისა, რიხნერისა, მანთაშევისა, შიბაევისა, წოვიანოვისა, თალიევისა, შაგიდანოვისა და სხვათა ფირმებს. სადაც ნავთის ორმოების მგზავსი ამოთხრილები იყო და ათასგვარი მანქანები მოძრაობდნენ. იქვე ნახავდით თქვენ ხე-ტყის განყოფილებას. მარილისა და სხვა მადნეულობის განყოფილებას. ხალიჩებისა, ფარდაგებისა და შალების მოსაქსოვი განყოფილებას. ღვინისა, სპირტისა და ლუდის განყოფილებას. აბრეშუმისა და ფუიკრის განყოფილებას. რძისა, ყველისა და ერბო-კარაქის განყოფილებას. ვენახისა და ბაღ-ბოსტნის განყოფილებას.

იმგვარად იყო მოწყობილი ეს გამოფენა, რომ ადამიანის თვალი უკეთესს ვერა ნახავდა. ყველაზე უფრო თვალმისაზიდი იყო სარაჯიშვილის არყის ქარხნის პავილიონი, რომლის გარშემო სავსე ავუზში ბატები დასცურავდნენ და თვით პავილიონის კოშკი კი ბოთლის ფორმაზე გამოყვანილი, შიგნიდან ადამიანის თვალს ხიბლავდა ათასი ფერის სასმელების ნიმუშები.

ოქროს მენდლებით დაჯილდოებული გახდნენ მრავალი ღირსეული ფირმები. დაღისტნის შალების მწარმოებელთა, ნუხის აბრეშუმის მწარმოებელთა, კახეთის მევენახეთა და მებოსტნეთა, გორის მაზრის მეღვინეთა და მეხილეთა, სალიანის მეთევზეთა, ორდუბათის მეაბრეშუმეთა, განჯის მეღვინე-მებოსტნეთა, ერევნის მევენახე-მებოსტნეთა, ყულვის მარილის მწარმოებელთა, ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა და მეღორეთა და სიმინდის მწარმოებელთა.

200,000 მანეთის წართმევა

მას აქეთ იქნება 30 წელი, რაც ეს შემაზარავი მოხდა შუადღისას შუა ქალაქში. როდესაც ბანკის ორ აგენტს 200,000 მ. სოლოლაკის აზოვსკის ბანკი-

დან გამოეტანათ ხაზინაში შესატანად, ამდროს თავისუფლების მოედანზე ბომბების სროლით და ხალხის ხოცვით იმ ორ აგენტს წაართვეს ოქროთი სავსე საკოიაჟი და უცებ მიიმალნენ. იმათი ბომბების ხმები ისე ძლიერი იყო, რომ იმ უბანში ერთი ფანჯრის მინა მთელი არ დარჩა, სასახლის ქუჩიდან დაწყობილი სიონის ბაზრამდისინ სულ ერთიანად ისე ჩაილეწა, რომ კალმით აწერა შეუძლებელია. ჯერ დღესაც არ იციან, თუ ეს რა ფერ იყო მოწყობილი, რომ თავათ გადარჩნენ და სხვა ხალხის დახოცილი გვამებით მთელი მოედანი გაიმსო. ხალხი ისე დაბნეულა, რომ გაქცევაში მრავალი ქალი და ბავშვი ფეხქვეშ გაუსრესიათ. მართალია ანაზდათ გაჩნდნენ პოლიციის მოხელენი, ყაზახების რაზმები, საგანგებო გამომძიებელი, ცეცხლის მქრობელი რაზმი, მაგრამ მაინც ვერაფერი ვერ შეიგნეს.

ბომბების საშინელ ხმებზე მრავალი ეტლის ცხენები დაფრთხნენ და საცოდავი ხალხი ქვეშ დაიტანეს და ანაზდათ დახოცეს. მაშინდელი მთავრობა ბევრნაირად შეეცადა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. პოლიციის გამოძიებამაც ვერაფერი ვერ გამოაქვეყნა, რადგანაც საქმე მეტათ ოსტატურათ იყო მოწყობილი.

ვანო მაჩაბლის დაკარგვა

საერთოთ ქართულ ლიტერატურაში ჩახედულ ყველა ქართველმა ცხადათ იცის, თუ ვინ იყო ვანო მაჩაბელი. ამ ღირსეული ადამიანის სურათს თქვენ ნახავთ თბილისის უნივერსიტეტის ზემო სართულის სიძველეთა მუზეუმის კედელზე. თუ რა სამსახური მიუძღვის ვანო მაჩაბელს, ეს ყველასთან ცხადია. დაწყობილი გაზეთ „დროებას“ დაარსებიდან თავის დაკარგვამდისინ იმის კალამს დასვენება არა ქონია. მარტოთ მარტო ისიც კმარა იმის სახელის სადიდებლად, რომ იმან ითავა იმგვარი მძიმე საქმე, როგორიცაა შექსპირის ინგლისურიდან თარგმნა და საქართველოს თეატრის გამდიდრება.

ამგვარი უკვდავი კაცის დაკარგვა ასე იყო. მგონია ოცდა ათი წელი იქნება მას აქეთ, რაც ეს საქმე გავიგეთ. ერთ დღეს მაისის თვეში დილის საათის 10 იქნებოდა, ეს კაცი შორდება თავის ოჯახს, ესე იგი სახლიდან გადის და სამუდამოდ აღარ ბრუნდება. ამ ამბის გამგონთა ჯერაც ერთი რაღაც სიზმარი გონიათ. საქმე იმაშია, რომ ცოლისთვის არაფერი უთქვამს, არც ლაპარაკი მოსვლიათ, არც ვინმე გადაკიდებული ყოლია, იმისი მეტოქე მთელს საქართველოში ყველამ იცის მხოლოთ ილია ჭავჭავაძე იყო, რომელიც ბანკის არჩევნების დროს ხან ის ირჩევოდა, ხან ისა. რამდენივე წლის შემდეგ გაზეთ „ევერიაში“ დაბეჭდილი იყო, რომ ვანო მაჩაბელი უნახავთ პარიზის ერთს სასტუმროშიო. ეს ხმები არ გამართლდა. შემდეგში დასწერეს იმავე გაზეთში, ვითომ ვანო მაჩაბელი ენახოთ ინგლისში, მაგრამ არც ეს გამართლდა. სულ ბოლოს სწერდნენ, შეიძლება მტკვარში ჩავარდაო. მერე კიდევ მსჯელობა დაიწყეს, თუ შექსპირის მთარგმნელი ადამიანის წყალში ჩავარდნა დაუჯერებელი ამბავი უნდა იყოს, თუნდა კიდეც ჩვენის თვალით დავინახოთ.

დასასრულს სწერავდნენ, შეიძლება ამერიკაში გადავიდაო და თავისი საყვარელი სამშობლო დავიწყებას მისცაო.

როგორცა ვსთქვე, ამგვარი მოსაზრებანი უსაფუძვლო გამოდგა, ვერც სადმე ცოცხალი უნახავთ და ვერც მტკვარში გვამი იპოვნეს.

იმ დროის წიგნები და მწერლობა

იმდროს, ესე იგი 1860 წლებში წასაკითხი ქართული წიგნები თითებით დაითვლებოდა. მე ესენი ზეპირად მახსოვს, ისე როგორც ბავშვობის დაუვიწყარი ამბები და მაგალითები. სკოლებში სახელმძღვანელად მიღებული იყო იაკობ გოგებაშვილის დედა-ენა და ბუნების კარი, აგრეთვე სამღვთო მწერლობა. ეს იყო და ესა. სამშობლოს ენას ძალიანაც გულდადებით არ ასწავლიდნენ, არამედ უნ-

დოდათ, რომ ყველგან რუსული წინ ნაეგდოთ. ამაზე ბევრი თავდადებული ქართველები შეებრძოლნენ მთავრობას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამ გვარმა რუსის დევნამ ქართული ენა იქამდისინ მიაყენა, რომ ძველი ქართული ერთიანად დაიკარგა და ამღვრეული ენა შემოვიდა. ეხლანდელი ქართული ენა არის არაბულიდან, სპარსულიდან, სომხურიდან და ევროპიელთა ენებიდან ნასესხები ენა. ამ საქმის გამოთ 1894 წელს გაზეთ „ივერიაში" აკაკი წერეთელი დიდს მწუხარებას აცხადებდა. იმაზე წინ ვანო მაჩაბელიც გაზეთ „დროებაში" სწერდა, რომ „ქართულ ენას ცუდი შედეგი მოელისო". რომელ ქართველსაც ძველი წიგნები წაუკითხავს, მაგალითად, „ვისრამიანი", „სარიდონიანი", „არჩილიანი", ანტონ კათალიკოზის ნაწერები, ჩახრუხაძის ნაწერები, შავთელის ნაწერები, ბესარიონ გაბაშვილის ნაწერები, ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწერები, საბა სულხან ორბელიანის შედგენილი ლექსიკონი და სიბრძნე-სიცრუის წიგნი. ამას მე კადნიერად ვამბობ, რადგანაც მთლათ ეს ძველ მწიგნობართა ნაწარმოები ყველა წაკითხული მაქვს. ვიცი, რომ ძველი ქართული ენა იყო ძალიან მდიდარი და საკუთარი ქართული სიტყვებიდან შემდგარი. ვისაც ეს ჩემი ნათქვამები საეჭვოთ მიაჩნია, იმან გულდადებით გადაიკითხოს თეიმურაზ პირველ მეფის ლექსები და აგრეთვე „ვეფხის ტყაოსანი", მაშინ უსათუოთ დამემოწმება, რომ ქართველებსაც ოდესმე ქონიათ საკუთარი სუფთა ენა. ძველს დროში სომეხი პოეტებიც იყვნენ საქართველოში, რომლებიც წმინდა გაურეველ ქართულ ენას ხმარობდნენ. ესენი იყვნენ: ხოსროშვილი, ანუ გასპარ ხოსროევი, „ალვან-ოღლანად" წოდებული, რომლის სურათი თბილისის დიდების ტაძარში ჰკიდია. სტეფან ფერშანგოვი, რომლის სიმღერებით მოხიბლული იყო მთელი ქართველობა, „ბუდაღ-ოღლანი", რომელიც ანბანით ასე იწყობს.

არსმან ყოველთა მოარსმან, ედემს ვინ
შექმნა ადამი,
არასდროს არ ყოფილა მისი მხილველი
არცა ადამი

არსება უცვალებელი, უხილავი, დაუსაბამი
ასე არ გეტყვი ზეპირად, თუ ვერ სცნობ,
ხარ დასაბამი.

იყვნენ კიდევ საუკეთესო ლექსთა მწერალნი სომხები: „ყარიბი", „ქიჩიკნოვი", „შამჩიმელქო" და სულ ბოლოს საიათნოვი, რომელსაც ხალხი უფრო სცნობდა, რადგანაც მეფე ირაკლი მეორის სასახლის მგოსანი იყო. ბოლოს აღამაჰმან ხანის კაცებმა მოკლეს თათრის ბაზართან წმინდა გიორგის ეკლესიაში, რადგანაც მაჰმადიანობა არ მიიღო.

ხელ ახლად უბრუნდები ჩემს სათქმელს და ვამბობ, რომ სამოც წლებში ქართულ ენაზე წასაკითხი წიგნები ცოტა იყო. აი მაშინდელი წიგნები: ვეფხის ტყაოსანი, სარიდონიანი, როსტომიანი, ეთერიანი, მირიანი, სიბრძნე სიცრუის წიგნი, ყარამანიანი, სპარსულიდან ნათარგმნი 16 კარი, საუცხოვო მომხიბლავის ამბებით, სურამის ციხე და სხვა.

სახალხო აშუღებათ ითვლებოდნენ დავით გივიშვილი, გიორგი სკანდარნოვი და ჰაზირა, ამათ დაწერილ სიმღერებს ბრმა აშუღები იზეპირებდნენ და შემდეგ აქა იქა მღეროდნენ.

ამათ შემდეგ ზედიზედ დაიბეჭდა და ხალხში გავრცელდა აკაკისა, ილიასი, ყაზბეგისა, ვაჟაფშაველასი, ნინოშვილისა და რაფაელ ერისთავის თხზულებანი და მოთხრობები.

თბილისში შემოსასვლელი გზები

ფიქრათა მაქვს, ჩემს მკითხველებს აუსხნა, თუ რავდენი გზები შემოდის ამ ჩვენს დედა ქალაქში და რავდენ მაშრუტის ხაზებით რამდენ მაზრებთან უჭირავს კავშირი. პირველი გზა შემოდის, ახალციხე-ბორჯომის მხრიდან, მდინარე მტკვრის სათავის დასაწყისის მიდამოების მხრიდან. მეორე გზა შემოდის ფოთი, ბათუმ, ქუთაისის მხრიდან. მესამე გზა შემოდის ცხინვალ-გორის მხრიდან, რომელ გზითაც უწინ იმერეთიდან მოსული ფურგუ-

ნებიც დადიოდნენ. მეოთხე გზა შემოდის ოსეთის მხრიდან მუხრანის ველების დეზითა. მეხუთე გზა შემოდის საქართველოს სამხედრო გზებით, რომელიც არაგვის ხევობით გასწვდება კავკასიის ქედის სიმაღლემდისინ, სადაც ადამიან გაშტერებული რჩება, როდესაც ხედავს, რომ ერთი მდინარე კასპის ზღვისკენ მოდის და მეორე-კი შავი ზღვისკენ მიდის, ესე იგი კავკავისკენ. ეს გზა იმგვარი სანახავია, რომ ევროპის მეცნიერნი და მოგზაურნი მრავალჯერ ჩამოსულან ამის გასასინჯათ. ეს საუცხოვო გზა გასხნა კავკასიის მთავარ მმართველ ბარათინსკიმ 1859 წელს, რომელმაც შამილი ტყვეთ დაიჭირა 1854 წელს.

მეშვიდე გზა შემოდის ერწო-თიანეთის დეზით ხევსურეთის და ცხვარიჭამიის მხრიდან, რომელიც საფოსტო გზატკეცილათ გააკეთეს 1888 წელს მთელი კავკასიის ჯარის გამოთ, რომელიც დაბანაკებული იყო სოფელ თიანეთში, სადაც ალექსანდრე მესამემ მთელი საქართველოს ლაშქარი ინახულა. მერვე გზა შემოდის, ჩრდილო კახეთის თელავის მხრიდან, საითაც წინად ეტლები, ფურგუნები და დილიჯნები დადიოდნენ. მეცხრე გზა შემოდის სამხრეთ კახეთის მხრიდან, ესე იგი სიღნაღის მაზრის სადგურებიდან.

მეათე გზა შემოდის ბაქო, ევლახ და განჯის მხრიდან. სადაც ბალაჯარაში ამავე ლიანდაგს უერთდება კავკავისა და რუსეთის მომავალი მატარებლები. მეთერთმეტე გზა შემოდის დაუქმებული ძველი აღისტაფის მხრიდან, რომელიც გამოივლის ალგეთ, გემიღაია და გატეხილის ხიდით შემოვა თბილისში, მეთორმეტე გზა შემოდის ჯულფ, ერევან ალექსანდროპოლის მხრიდან.

მეცამეტე გზა შემოდის მანგლის, აღბულალ კოჯორის მხრიდან, სადაც ზაფხულობით უთვალავი ხალხი ამ გზით გადის სააგარაკოთ. მეთოთხმეტე გზა შემოდის კავთის ხევიდან და ნიჩბისიდან, აგრეთვე მანგლისიდანაც და ცხეთის სადგურის გვერდით შეუერთდება კავკავის გზას შემდეგში დიღომის მხრიდან შემოდის ქალაქ თბილისში.

ეს გზები იმისთვის ჩამოვთვალე, რომ ყველამ ადვილად გაიგოს, თუ ამ თოთხმეტი გზიდანვე რაოდენი სანოვაგე შემოდის ამ ქალაქში და როგორ ადვილათაც საღდება.

ძველ დროის კინტოები

ორთაჭალის ბაღები ძველ დროიდანვე ქალაქის ხალხისთვის დროის გასატარებლად და საქეიფო ადგილად ითვლებოდა.

იმ ჟამად მუშტაიდის მხარე და ვერის ბაღები არ იყვნენ. ამისგამოთაც კვირა უქმობით მთელი ორთაჭალის ბაღები ქალაქის ხალხით ივსებოდა, არღნების ხმა და ზურნა დუდუკის ხმები ადამიანის გულს ართობდნენ და უფრო მეტათ ყარაჩუხალი კინტოებისა. ისინი მთელს კვირას ათასგვარი სანოვაგის გაყიდვით ფულს აქუჩებდნენ და მერე თაბუნ თაბუნად[20] გასწევდნენ ორთაჭალის ბაღებისაკენ. სიტყვა „კინტო“ მავნე პირსა ნიშნავს, მაგრამ ისინი მხოლოთ თავიანთის ოფლით სცხოვრობდნენ და ქეიფობდნენ. იცვამდნენ ძალიან სუფთად და კოხტათ. ძვირფასიანის ქუდებით, დაწყობილის წაღებით, წაღების ყელების სიგრძე იქნებოდა 2 არშინი, დოშლულიანის[21] ახალუხებით, მეტათ განიერის ვერცხლის ქამრებით და აბრეშუმის ბაღდადებით. იმათი ლეკური თამაშობა ერთობ გასაოცარი იყო, ისინი ხშირად გაშლილ სუფრაზე ისე თამაშობდნენ, რომ არც ერთ რამეს ფეხს არ ახვედრებდნენ. მთვარიან ღამებში ისინი ხშირად მტკვრის პირზედ ლხინში ათენებდნენ და ერთობოდნენ. როგორც ფაბრიკაში მომუშავენი, ორშაბათობით ისევე გარბოდნენ თავ თავიანთ სავაჭროზე და შაბათ საღამომდენ ხალისიანად ისევე ფულის მოგებას შეუდგებოდნენ. ისინი დიდრონ თაბხებით ქუჩა ქუჩა ათასგვარ სუფთა ხილს ატარებდნენ და მოქალაქების ოჯახებში აძლევდნენ. ისე დახელოვნებულები იყვნენ, რომ ყველაფრის სეზონი იცოდნენ. ხშირად მდიდარ მოქალაქების სახლებში გაურიგებლივ ხილსა, ყველსა,


რ. ერისთავი.
Р. ЭРИСТАВИ.

დ. ჭონკაძე.
Д. ЧОНКАДЗЕ.

ნ. წერეთელი.
Н. ЦЕРЕТЕЛИ.

თევზსა, და სხვა სანოვაგეს დასტოვებდნენ და ფულს შემდეგში ჩაიბარებდნენ.

ამბობენ, ერთხელ ბაზარში მირზოევს ეძნელებოდა ძვირფასად თევზის ყიდვა. მაგრამ იმავე თევზისა თურმე უვაჭრელად ერთმა კინტომ იყიდა. როდესაც მირზოევი შეჰკითხებია სიძვირეზე, კინტოს უპასუხნია, „მინამ ჯიბეში მაქვს ასე ვიცხოვრებ და როცა გამომელევა, მაშინ შენსავით ვიცხოვრებო“. მინამ მუშტის კრივები იმართებოდა კინტოები იქ პირველ ადგილს იჭერდნენ და როცა მოიშალა, მაშინ მუშტის კრივის ნაცვლად, ბაღებში ქეიფებს მიეჩვივნენ. ეს კინტოები ისეთი სიტყვა მოსწრებულნი იყვნენ, რომ ამათი საქციელი და სიტყვა-პასუხი მრავალჯერ ანეკდოტებათ დაიბეჭდა. მუშტაიდის მხარეს ერთ კინტოს ერთი დათვი ისე გაეწურთნა, რომ თავისთან პურს აჭმევდა და ღვინო არაყს ასმევდა. ბოლოს, როდესაც ის კინტო მომკვდარა, დაღონებულ და დაძმარებულ მხეცს ტირილი დაუწყვია.

ამგვარი იშვიათი ამბები მრავალია კინტოების ცხოვრებაში, მაგრამ მე ყველაფერს შემოკლებითა ვწერავ. სამზღვარ გარეთიდან ჩამოსული ევროპიელები მუდმივად ქალაქის კინტოების სურათებს იღებდნენ და მიჰქონდათ ხალხის საჩვენებლად.

ქალაქის ჰავა და მდებარეობა

როგორც გამოკვლეულია, თბილისის ჰავა უწინ უფრო კარგი იყო, ვიდრე ეხლანდელი. ეს საქმე ბუნებრივია. მაშინ, როდესაც ფართო ეზოები იყო და ყველა ეზოებში ხეხილი იდგა, ხალხიც ძალიან ცოტა იყო, ეს ცოტანიც სვამდნენ წყაროების წყალსა, რომელიც ჩემის თვალით მინახავს ყველა ქუჩებში დამშრალი წყაროები. აქ რაღა ეჭვია, რომ ხალხი ფერიანი და ჯანსაღი იყო. შემდეგში თუმცა წყაროების დაშრობის მიზეზით ხალხი შეეჩვია მტკვრის წყლის ხმარებას, არც ეს აღმოჩნდა მავნებელი.

თუმცა ზამთარი შუათანად იცის, მაგრამ ზაფ-

ხულობით აუტანელი სიცხისაგან ხალხი ისე საცოდავათ იჩაგრება, რომ ლამის ჭკვაზე შეიშალოს. ავლაბარში და გარეშე უბნებში სიცხე ისე ძალიან ძლიერი არ არის ხოლმე, როგორც შუა გულ ბაზრებში. ექიმების შემოწმებით, ყველაზე უვარგის უბანი არის თათრების უბანი და გარეთ უბანი, „რუსის ბაზარი". ქალაქის ამ ნაწილებში ჰავა ისე დახუთული და გაბინძურებულია, რომ გამვლელ ადამიანის გვამი ივსება ათასგვარი მავნე ბაცილებითა. ამის გამოთაც საავათმყოფები მუდმივად სავსეა ათასგვარი სნეული ხალხითა.

ქალაქის მდებარეობაც ძალიან ცუდია, ქუჩების სივიწროებით და აღმართ დაღმართის გზებისაგან დატანჯულია თუ ხალხი, თუნდა პირუტყვი საქონელი. სწორეთ ამ ოღროჩოღრო ადგილებს მიეწერება ის განსხვავებული ჰაერი, რომელიც ყველა ადამიანი ადვილად შეამცნევს. ამგვარ წაბილწულ ჰაერს თქვენ დაუმატეთ ჟანგიანი ლულების დასალევი წყალიც, მაშინ ადვილად დაინახავთ, რომ ქალაქში ყველა მცხოვრებელი, რაც უნდა ჯანსაღათ იყოს, მაინც ნახევრათ ავათა გრძნობს თავის თავს. ამ ჩემი ნათქვამი სიტყვის დასამტკიცელი საბუთი ის არის, რომ ქალაქში ადამიანს მუდმივად მადა თითქოს შეკრული აქვს და თან გრძნობს სხეულის სისუსტესა, მკითხველი ამ სიტყვას მაშინ უფრო ინიშნებს, როდესაც ზაფხულობით სოფლის სუფთა ჰაერზე გავა და იგრძნობს. მერე თავათ მიხვდება, თუ რა დიდი განსხვავება ქონია ქალაქისა და სოფლის ჰაერს.

ძაღლის ხორცი

კაცი როდესაც ფიქრდება, იმდროს იმის თვალწინ იხატება ის საძაგელი სიბინძურე, რომელიც სუფევს ყველა დიდრონ ქალაქებში. ამის გამოთაც გამოკვლეულია, რომ ქალაქ ადგილებში ადამიანი დიდხანს ვერა ცოცხლობს.

ამ ოცდა ათის წლის წინათ თბილისის საბჭომ

გადასწყვიტა, რომ უეჭველად ქალაქის ყველა ქუ-ჩებში ხეხილი იქნას ჩარგული და კიდეც ყველგან მწკრივათ ხეხილები ჩარგეს, მაგრამ მოუვლელობის გამოთ მალე გახმა და გაფუჭდა.

დიდი ხანი ქალაქი ცდილობს, ხალხს მიაწოდოს რამდენათაც შეიძლება უფრო ახალი სანოვაგე, მაგრამ ეს საქმე ისე ადვილიც არ არის, ზაფხულობით ვიდრე ნავთულუხიდან ვაგონით ხორცი ქალაქის ბაზრებში შემოდის, მინამდე სუნი ეძლევა. ასე და ამგვარად მეტი ცდილობა და მოფიქრება შეუძლებელია ამგვარი აუარებელ ხალხის გაძღოლისათვის.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, ვითომ ქალაქს ამ-დენი სიბინძურე არა კმაროდა, ერთ აისორსაც კარ-გა დიდხანს ძაღლები ეკლა და ხორცი ხარშევნი-კებზე გაესაღებინა, ვითომდა თხის ხორცია. ამ გვარ საზიზღარ საიდუმლო საქმეს ვიდრე პოლი-ცია შეიტყობდა, იმ წყეულ აისორს ოცამდისინ ძაღ-ლები დაეკლა და კიდეც გაესაღებინა. თუმცა კო-რიაში და ჩინეთის ზოგიერთ ადგილებში ძაღლის ხორცი საუკეთესო საჭმელად ითვლება, მაგრამ რადგანაც ჯერ ჩვენში ეს საქმე არ არის შემოღე-ბული, ამის გამოთაც ძალიან საზიზღარ საქმეთ ით-ვლება ასეთი სიმურტლე.

ძველ დროის აშუღები

აშუღები ძველ დროში ხშირათ იყვნენ. ისინი თბილისში ჩამოდიოდნენ სტამბოლიდან, არზრუ-მიდან, ჰალეპიდან, თავრიზიდან და სხვა მრავალ კუთხებიდან. თბილისში აშუღების ბინებათ ითვ-ლებოდა შეითან ბაზრის ყავახანები, სადაც აშუ-ღები დაბინავდებოდნენ და ქალაქის დაბალ და მუ-შა ხალხის ყურადღებას თავიანთკენ მიაქცევდნენ. შორეულ ქალაქებიდან ჩამოსული აშუღები ძვირ-ფასიან შალებს ჩამოჰკიდებდნენ და გამოცანებს დაკვრით და სიმღერით ადგილობრივ აშუღებს ეტყოდნენ, აქაურები უკეთუ მის ნათქვამ გამო-ცანას ასხნიდნენ, მაშინ მოსულ აშუღის საკრავ-

საც და ჩამოკიდულ შალსაც წაიღებდნენ და თუ ვერ ასხნიდნენ, ისევე დარჩებოდა, ვიდრე სხვა უკეთესი მცოდნე შეხვდებოდა. იმ დროის ნაქები აშუღები იყვნენ: საიათნოვი, ქეშიშოღლი, არაზლუ სარქის სალმასტ არუთინა, მისკინ ბურჯი, ნალბან დოღლი, ყარიბი, ქარამი, ოსუს ოღლი, გიულგაზ ოღლი და ჯივანა. ესენი ხალხის ჭირ ვარამს მასალათ იღებდნენ და იმათშივე მღეროდნენ. მაშინდელი საკრავები უფრო მიბაძული იყო ოსმალეთის აშუღებისადმი. სანთური[22] მუდმივათ ამშვენებდა აშუღთა დასტის საკრავთა ხმასა.

დაირის დაკვრა შემოსულია სპარსეთიდან, რადგანაც ოსმალეთში სულ არ იციან. თარი და ჭიანური შემოსულია ოსმალეთის აშუღებისაგან, რაც შეეხება ზურნას, ეს უძველეს დროიდანვე საქართველოში იყო. ჩონგური, ფიქრობენ, რომ შემოღებულია არაბებისაგან, რადროსაც ისინი ეპატრონებოდნენ საქართველოს. არაბულ სიტყვებს ჯერ ისევ დღესაც ვხმარობთ, მაგალითად, ფანჯარა, ჯარი, ქუჩა, ბაზარი, მეიდანი და სხვა მრავალი. ამგვარათაც სპარსულია შემოსული, მაგალითად, სალამი, ფული, ოჯახი, ექიმი, კალამი, შადრევანი, ჰაუზი, ბაღი, ბოსტანი, სუფრა, შაქარი, ქარვანსარა, გემი, ოთახი და სხვა.

ძველი დროის საზანდრები

აშუღები თუ უკრავდნენ ყავახანებში და ბაზარ ადგილებში, საზანდრებიც უკრავდნენ კეთილშობილ თავადებისა და მოქალაქების ქორწილებში და წვეულებაში. საქართველოს საზანდრებში ყველაზე ნაქები, როგორც ვიცით, იყო საიათნოვი, რომელიც ხალხის საყვარელი იყო და უკრავდა ჭიანურზე. ნაქები მომღერალი ყოფილა თათარი სათარა, რომელიც ისე მიღებული ყოფილა, რომ თუ ქორწინების მისაწვევ ბარათზე სათარას სახელი არა წერებულ იყო, თავადები და თავადის ქალები იმ ქორწილში არ წავიდოდნენ.

სათარას შემდეგ დიდათ სახელოვანი თარის დამკვრელი და მომღერალი იყო იოვანგულა. იოვანგულა თავის დასტით ისე მიღებული იყო თავადებში, რომ კახეთში როცა ქორწილებში ნაიყვანდნენ, პურსა და ღვინოს ურმებით გამოატანდნენ ხოლმე. იოვანგულას სიკვდილის შემდეგ მწერალი გივიშვილი ესე სწერდა:

რაც გათავდა იოვანგულა,
სიმღერები დაჩაგრულა,
ძმანო, მესებრ მომღერალი
ქალაქში ჯერ არ მოსულა.

იოვანგულას დროს იყვნენ კიდევ ნაქები საზანდრები, რომლების დასტაშიაც იოვანგულა მღეროდა. ერთი იმადგანი იყო ჭიანურის დამკვრელი ჭიპრა იოვანე.

ამ საზანდრის სურათს ყველა ნახავს საქართველოს მუზეუმში, დიდი ფაფახი თავზე მეტათ განიერის შალვრით და ჭიანურიც ხელში. ულვაშები მხრებავდენ გასწვდებოდნენ. იმისი ჭიანური თათრის ერევნელ ხანს ეჩუქებინა, როდესაც იგი თბილისიდან ვარშავაში თან წაეყვანა. ეს ჭიანური ერთიანად თვალ მარგალიტით იყო შემკული და გამკეთებელის სურათიც შიგ ტარზე იყო გაკეთებული. ჭიპრას სიკვდილის შემდეგ დარჩა თავის შეგირდს ბრმა გოქორაშვილს, რომელმაც მოპარვის შიშით ძვირფასიანი თვლები სულ დააძრობინა და მერე ისე დაუწყო დაკვრა. იოვანგულას შემდეგ, ესე იგი 1874 წლიდან მღერაში თავი ისახელა ახალგაზრდა თათარ აბდულ-ბაღიმა. აბდულბაღის ძალიან ხშირად იწვევდნენ ქორწილებში, თეატრებში და სხვა კრება-წვეულებაში. ქალაქის საზოგადოებაში ისე მიღებული იყო, რომ ქალები ათასნაირათ ეარშიყებოდნენ. ბოლოს დროს ცოლის დატოების გამოთ მისი ნათესაობა გადაეკიდა. ამის გამოთაც აბდულბაღი იძულებული გახდა რუსეთში გაქცეულიყო. იმ დროის ქორწილები მთელ კვირასა სწევდა, ამის გამოთაც თუ საზანდრები და თუნდა პატარძალი დიდძალ საჩუქრებს აქუჩებდნენ. პატარ-

ძალს ქმრისთვის მიჰქონდა კარგი მზითევი, დიდი ძალი ფული და ქორწილშიაც უხვად პირის სანახავი ქუჩდებოდა.

ივანე მუხრანსკის სადილი

1888 წელს სეკტემბერში ივანე მუხრანსკიმ თიანეთის ველზე ალექსანდრე მეორეს ისეთი სადილი გაუმართა, რომ, როგორც იტყვიან, მთელი საქართველო და რუსეთის მეფე ერთიანად გააკვირვა. ეს სადილი უფრო იმით იყო შესანიშნავი, რომ ერთი მისხალი ხორცი არ უხმარებიათ.

ალბათ როგორც ძველი საქართველოს ყოფა ცხოვრების მცოდნე ივანე მუხრანსკის დიდი ხნით ნაფიქრი ქონდა, რომ ამით ერთი სამაგალითო მასპინძლობა ეჩვენებინა თუ რუსეთის მჭირველისათვის და თუნდა მთელ საქართველოს კეთილშობილთათვის. იმ სადილზე არ უხმარებიათ არც სტოლი, არც სკამები, არც ფარფორის ჭურჭელი, არც დანა ჩანგალი, არც ბოთლი და ჭიქა, არც კოვზები, არც სალფეტკები, ერთი სიტყვით, ყოველივე მოწყობილობა ისე ყოფილა, როგორც უწინ მეფების ჟამათ ყოფილა საქართველოს ოჯახებში.

მწვანე ველზე ყოფილა გაშლილი ლურჯი სუფრები, თებშების ნაცვლათ ყოფილა ხის ხონჩები და თიხის ჯამები, სალფეტკების ნაცვლათ ყოფილა აბრეშუმის ბაღდადები, ბოთლების ნაცვლათ ყოფილა თიხის დოქები, ჭიქების ნაცვლათ ყანნები და ჯამები, პურები ყოფილა კახური შოთები და ლავაშები. საჭმელები ყველა ქართულ გემოვნებით და ყველა უხორცოთ. ფლავი რამდენმე ჯურათ, სოკო რამდენმე ჯურათ ერბოკვერცხით, მხალი რამდენიმე ჯისისა, ლობიო რამდენმე ჯურათ და რამდენიმე ჯისისა. ბადრიჯანი და პამიდორი რამდენმე ჯურად ერბოკვერცხითა. სატაცური რამდენმე ჯურაზე მოხრაკული, თევზეული რამდენიმე ჯისისა და რამდენმე ჯურაზე მომზადებული. შეჭამანდები მაწნისა, დოსი და სხვა და სხვა. ამგვარი შესანიშნავი სადილი მაშინ უფ-

რო დამგზავსებია სიძველეს, როდესაც ყველა იქ მოწვეულთა თიხის ჯამებში ხელით ჭამა დაუწყვიათ. ამ სადილს მეფე დედოფალი ისე გაუშტერებია, რომ თავის გვერდით მჯდომელ მუხრანსკისთვის შეჰპირებია, რომ ყველა სათხოვარი შეუსრულოს.

ბოლოს რუსეთში დაბრუნებისას მუხრანსკის უთხოვნია, რომ საქართველოს თავად აზნაურობის ვალები ხაზინის მხრიდან ეჩუქოსო. ეს სათხოვარი თუმცა მეფეს არ მოსწონებია, მაგრამ მაინც პასუხი არ გაუცია. როდესაც სატახტო ქალაქში მისულა და მინისტერთა საბჭოსთვის გადაუცია, ესეთი მძიმე საქმე უხერხულათ უცვნიათ და უარი შემოუთვლიათ. ივანე მუხრანსკი გარდაიცვალა 1896 წელს. დიდის ამბებით გაასვენეს და დაასაფლავეს მცხეთის ტაძრის შიგნით შუაგულ ადგილას. იმისი უთვალავი ნაყმევების სიმრავლის გამოთ ქელეხში დაილია 15 რუმბი ღვინო, საკლავი და სხვა სანოვაგეც ამისდაგვარად.

კონია მუხრანსკის დაჭრა

ივანე მუხრანსკის სიკვდილის შემდეგ დარჩა ერთათ ერთი შვილი მისი კონია. საერთოთ ივანე მუხრანსკი იყო მეტისმეტად ხარბი და გაუმაძღარი ადამიანი. იმის უსამართლოდ დაჩემებული მიწების და ტყეების ანგარიშის შედგენა შეუძლებელია. იმისი ზვრებისა და მარნების ღვინოები ათ წლობით რჩებოდა და ექიმების რეცეპტებით წამლათ იყიდებოდა. იმისი საქონლის ჯოგები უთვალავი იყო და იმისი გარეთ უბნის ბაზრის შემოსავალი უანგარიშო იყო, მაგრამ მაინც იმისი თვალი ვერა ძღებოდა და კახეთის მხარეს და ბორჩალოს მაზრებში საგლეხო მიწებს უადგილოთ იჩემებდა.

მისი შვილი კონია მამას არ ემგზავსებოდა. ის იყო გულ უხვი მხარჯველი და ამასთანავე დიდი კარტის მოთამაშე. ივანე მუხრანსკის ყავდა მუდმივათ ერთი ვექილი, რომელიც წელიწადი თორმეტი თვე მუხრანსკის სადავო საქმეებს აწარმოებდა.

ამ ვექილის გვარი იყო პლუშევსკი. ივანე მუხრანსკის სიკვდილის შემდეგ ამ ვექილმა ყალბი თამასუქები შეადგინა და კონია მუხრანსკის ასი ათასი მანეთის დავა დაუწყო. როდისაც კონია მუხრანსკი საოლქო სასამართლოში დაიბარეს და ქაღალდები წინ გაუშალეს, ის დიდათ გაოცებული დარჩა. დაწვრილებით სასამართლოში სთქვა, რომ მართალია პლუშევსკი მამიჩემის მუდმივი ვექილი იყო, მაგრამ მისი კუთნეული ჯამაგირი ჩვენ გვიძლევია ყოველთვის ამთავით, არამც თუ ასი ათასი მანეთი ჩვენზე დარჩენილი ქონდეს. სასამართლომ ეს განცხადება ყურადღებით მოისმინა და საქმე დროებით გადასდვა, შემდეგში ქალაქ ადესიდან დაიბარა 9 კაცი ექსპერტებათ არჩეულები და მუხრანსკის საქმე გასასინჯათ გარდასცა. ამ ცხრა კაცებში რვა სულმა დაამტკიცა, რომ თამასუქის ხელმოწერილობა ივანე მუხრანსკის საკუთარი ხელი იყო, მაგრამ მეცხრე ექსპერტი იმათს სიტყვას არ დასთანხმდა. როდესაც ესეთი საეჭვო ამბავი პალიაკ პლუშევსკიმ გაიგო, დარწმუნდა, რომ უსათუოთ თავისი სიყალბე დამტკიცდებოდა, იმედი დაკარგა და სხვა გზას დაადგა. იყიდა ხუთ ლულიანი რეველვერი და ერთ საღამოს მივიდა რუსთაველის თეატრის პირდაპირ. ქალაქის საკრებულოს წინ დადგა და მუხრანსკის ლოდინი დაუწყო. საღამოს სათის რვა იქნებოდა, როდესაც კონია საკუთარის ეტლით კარების წინ გაჩერდა, პლუშევსკი მაშინათვე მიუახლოვდა და რეველვერი დაუმიზნა. ტყვია გავარდა და კონიას მოხვდა მარჯვენა მხარში, თვით პლუშევსკის კონია მოკლული ეგონა, ხელად გაქანდა, შუა ქუჩაზე გაჩერდა და ტყვია დაირტყა თავის საფეთქელში და იქვე ტრამვაის ლიანდაგზე დაეცა და კიდეც გათავდა. კონია ცოცხალი გადარჩა, მაგრამ შიშმა და სირცხვილმა იმგვარად იმოქმედა იმაზე, რომ ავათ გახდა. ბოლოს წავიდა ლენინგრადში და ტყვია იქაურ ექიმებს ამოაღებინა. ამ ამბების შემდეგ ოლქის სასამართლომ პლუშევსკის სიყალბე დაამტკიცა და ორი ათასი მანეთი სასამართლოს ხარჯები პლუშევსკის ცოლს გარდაახდევინა. ამის მგზავსი პადლო-


ა. პურცელაძე
A. ПУРЦЕЛАДЗЕ

შ. არგვისპირელი
Ш. АРГВИСПИРЕЛИ


ნ. ლომაური
Н. ЛОМАУРИ


დ. კლდიაშვილი
Д. КЛДИАШВИЛИ

ეგ. ნინოშვილი
ЕГ. НИНОШВИЛИ

ივ. ჯავახიშვილი
ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ

გის შედგენით კიდევ წინად პლუშევსკის 35,000 მანეთი სტალიარი ზეთცერის ცოლისაგან წაერთვა. იმას იმედი ქონოდა ამ მეორე პადლოგის შედგენისაგანაც, მაგრამ სასამართლოს გულმოდგინედ გამოძიებამ საქმე სარკესავით გამოაშქარავა და მისი სიყალბე დაამტკიცა.

ავაზაკი მიხაკ გულაკოვი

ეს ავაზაკი თუმცა არ იყო ტატო წულუკიძის მგზავსი სისხლის მსმელი და შეუბრალებელი, მაგრამ მაინც მრავალი ხალხი ყავდა დახოცილი. იმისი მუდმივი ბინა იყო თბილისის პეტრე პავლეს ხევის მიკიტნის დუქანი, სადაც ყოველგვარ ნადავლს იქ მიიტანდა და მერე გამართავდნენ შეუწყვეტელ ქეიფსა და ღვინის სმასა.

იმას მოსწონდა იმგვარი მივარდნილი განაპირა დუქანი, საიდანაც უფრო ადვილი იქნებოდა ჯეირანისავით გაქცევა და დამალვა. ბევრჯერ მნახავები ყოფილან, რომ გაქცეულ გულაკოვს ყაზახის ცხენები ვერ მისწევიან და დაღლილი პირცარიელი ესევე უკან დაბრუნებულან.

იმის ფეხით გაქცევაზე ჯერ ისევ დღესაც მნახავები გაოცებულნი არიან. ერთი და ერთი რაკი მთავრობის ყურში ჩავარდნილი იყო, რომ ის დუქანი ძველ დროიდანვე ავაზაკთა ბინად იყო შენიშნული, ამის გამოთაც პოლიცია ყაზახების დახმარებით ხშირად დაეცემოდა იმ დუქანს, მაგრამ გულაკოვი ისე გასხლტებოდა და ქარის უმალესად გაიქცევოდა, რომ მის მდევნელნი გზა დაბნეული ვეღარაფერს აწამებდნენ. ამ ავაზაკის მთელ ცხოვრებაში შესანიშნავი შემთხვევა ის იყო, როდესაც ტანზე ნაბად წამოსხმული თან გარბოდა, თან ყაზახებს თოფებს ესროდა. ამ გვარი სისწრაფე და მამაცობა ნიადაგ დაუვიწყრად მნახავების თვალწინ არის, თუ რას მიეწერებოდა იმისი ისეთი საოცარი გაბედულობა და სისწრაფე.

პეტრე პავლეს ხევის დუქანი ძველ დროიდან-

ვე ავაზაკთა და მცარცველთა თავ საფარი იყო, ქალაქის ავაზაკებისა, ჯიბგირებისა, იშკილბაზებისა, კაცის მკვლელებისა და სხვა ამგვარი ჯგუფების უმთავრესი პუნკტი სწორეთ ეს დუქანი იყო. თუნდა სახლი გაეცარცვათ, თუნდა დუქანი გაეცარცვათ და თუნდა ეკლესია გაეცარცვათ, ხელთ ნაგდები ზინეთი უსათუოთ იმ დუქანში უნდა გაენაწილებინათ. ამავე დუქანში თავს აფარებდნენ ტატო წულუკიძე, თუვლიშვილი, პანკისა, შლეიკა, სისო და სხვები. მიხაკ გულაკოვიც ტატოსავით სუსტი აგებულობისა იყო, იმისი ნამდვილი გვარი კირაკოსოვი იყო, მაგრამ რაღაც შემთხვევით მეტ სახელათ გულაკოვი დაერქმიათ.

როგორც დავინახეთ და დავრწმუნდით, იმისა დაჭერა ძალიან ძნელი საქმე იყო, თუ რომ როგორმე შემთხვევით არ მომხდარიყო. ერთ ღამეს როდესაც თვრალი შეითანბაზრის საროსკიპოში ქალთან უფიქრელად ეძინა, სწორედ იმ დროს მეხუთე უბნის პრისტავ კოტე სიმონოვს ამბავი მოუტანეს, რომ შენი ნაძებნი ავაზაკი მიხაკ გულაკოვი ამ ჟამათ ამა და ამ ალაგას არისო.

სიმონოვი დაუყოვნებლივ ყაზახების დახმარებით გაბედვით ავიდა საროსკიპოში და მძინარე ავაზაკის დაჭერა დააპირა, მაგრამ გულაკოვი სისწრაფით ახტა და გარეთ ბალკონზე გავარდა, იქიდან ჩამოხტა და თავი ქვას დაჰკრა. სიმთვრალით ტვინშერყეული და ქვაზე დაცემით გონება დაბნეული გაქცევა ვეღარ მოახერხა და ჩავარდა ჯალათების ხელში, იმის საქმების გარჩევამ რამდენიმე წელიწადი გასტანა, მაგრამ მაინც სიკვდილით დასჯას გადურჩა და 12 წლით კატორგაში გაიგზავნა, სადაც სიცივისაგან გზაშივე მომკვდარიყო. იმისი მახლობელნი ამბობდნენ, ჩამოხრჩობა აუცილებელი იყო, ეს საქმე თავათაც იცოდა და კიდეც მოელოდაო, მაგრამ რაღაც სასწაულით სასამართლომ იმის საქმებს სხვა თვალით დახედა და სიკვდილის ნაცვლათ კატორგა არგუნა.

არშაკუნოვის სახლები

ძველს დროში ამ სახლებზე უკეთესი შენობა მთელს კავკასიაში არავის არ აუშენებია. ამ სიტყვის შესამოწმებლად ყველა კაცს შეუძლიან პირადათ ნახოს და გული დაარწმუნოს. ეს შენობა აშენებული თბილისის მეორე უბანში გრიბაედოვის ქუჩაზე, სადაც დღეს მოთავსებულია საქართველოს სამხატვრო აკადემია. ამ სახლების აგება აგერ ასი წელინადი სრულდება, მაგრამ მხილველი იტყვის, ათი წლის აშენებულია.

ამის აშენებაზე რამდენიმე წლით თბილისში საფრანგეთიდან ჩამოვა სამი მდიდარი კაცი, რომელთაც აზრათ ექნებათ ბანკის გასხნა ანუ სხვა დიდი საქმის დაწყობა. თბილისში ისინი გაიცნობენ არშაკუნოვს და თავიანთ ახალ საქმების ზედამხედველათაც იმას დანიშნავენ. რადროსაც საქმე უნდა დაეწყოთ, სწორედ იმ დროს დეპეშა მოვა, სამივეს ანაზდათ სამშობლოში დაიბარებენ. ეს დაბარება იქნება და საჩქაროთ იმათი აქედან წასვლა. ისინი უცებ წავლენ და იმათი ორი ქოცო[23] მიწაში ჩამარხული ოქრო დარჩება, ამ ოქროს ალაგი არშაკუნოვმა იცოდა თუ არა ეს მე არ ვიცი, მხოლოდ რაკი იმათ საქართველოში დაბრუნება არ ეღირსათ, იმ აუარებელ ქონებას არშაკუნოვი დაეპატრონა. ამ კაცმა დიდხანს იყოყმანა, თუ რა, საქმე დაიწყოს, ბოლოს გარდასწყვიტა იმგვარი სასახლე ააგოს, რომ იმაზე უკეთესი მარტო თეირანში შაჰის სასახლე თუ იქნებოდა, თორემ საფიქრებელი არ არის, რომ იმისი მგზავსი სხვაგან ყოფილიყოს.

არშაკუნოვმა თავის შენობის ოსტატები სპარსეთიდან და აგრეთვე სტამბოლიდან დაიბარა და კიდეც შეუდგა საუცხოვო სასახლის აგებას. იმან თავის შესანიშნავ სასახლეში ააშენებინა 24 ოთახი ყველა სხვა და სხვა სახელმწიფოს გემოვნებით, ეს ოთახები დღესაც არის ისე, როგორც აუშენებიათ. ყველა ოთახების ჭერები და კედლები სულ სარკებით არის მოწყობილი, ფანჯრები სპარსულზე მიბაძული სულ ფერადი მინებით არის შემკობილი. აივანე-

ბის გარშემო ყველა მხარე სხვა და სხვა კამარების გვარად ამოჭრილი სულ სხვა და სხვა ფერებით ვარ-ვარებენ, ღამღამობით სინათლის შუქებისაგან ფერადი მინებისა და სარკეების შუქისაგან ადამიან აღტაცებული რჩება. ქალაქში ჩამოსული უცხო სტუმრებიც-კი გაშტერებული რჩებოდნენ ამგვარ ჯადობაზურ მოქარგულ შენობის მაშინდელ ოსტატების შნოებაზე, რომ ამდენს ხნის განმავლობაში მზის სიცხოვლემ და ავდრის დასველებამ როგორ ვერ დაალპო და ვერ დაარღვია. ეხლანდელი ინჟენერები და კარგი მოხელები ვერ მიმხვდარან, თუ რა მასალიდან არის შუშაბანდის ჩარჩოები და ან რანაირი წებო უხმარებიან, რომ ესე დიდხანს გაუძლია. უწინდელი კაცები ხეს მოსჭრიდნენ ყოველთვის ეფრემ ვერდის ანგარიშის მიხედვით.

ამის საბუთად ყველას შეუძლიან თავის თვალით ნახოს სურამის ციხის კედლებში დატანილი მუხის· კოჭები, კახეთში ალავერდის ეკლესიის გალავნის კედლებში და მცხეთის ტაძრის გარშემო აშენებული ძველის ძველი ქვით კირის კედლებში ჩატანილი მუხის მასალა, რომლებიც ათას წლობით ქვასავით შეურყევლად რჩებიან. უწინ ნაცადი ქონდათ და კიდეც სწამდათ, რომ მთვარის ამა და ამ დღის მოჭრილი ხე არ დალპებაო. მხოლოთ ეს მთვარის რიცხვი უნდა იყოს ღვინობის თვეში მოქცეული.

ამგვარადვე ფიქრობენ არშაკუნოვის სასახლის შენობაზე ნახმარ ფოლადის უმაგრეს მასალაზე, რომელიც, გეგონებათ რამდენიმე წლის აშენებულია.

ექიმი აღამალოვის მოკვლა

ეს შემაზარავი ამბავი მოხდა ქალაქ თბილისში 1910 წელს შემოდგომის ჟამად.

ექიმი აღამალოვი სცხოვრებდა ქალაქის მეოთხე უბანში, ველიამინოვის ქუჩაზე. იმას თავის ხანგრძლივის მეცადინეობით და გამოკვლევით დიდი სახელი გაეთქვა ჭლექთან ბრძოლის სამკურნალო ნაწილში. ის იყო ერთი იშვიათი უსწორო ადამი-

ან და საცოდავი ხალხის ერთგული ამხანაგი. იმან თავის გონივრულის გამოკვლევით კოხის სისტემა მიითვისა და ჭლექით სნეულების მრავალი საიდუმლონი გამოიკვლია და გამოაქვეყნა.

ამის გამოთაც მთელი ქალაქი გლოვობდა იმ გვარი სასარგებლო ადამიანის დაკარგვას, უგუნური და მხეცი ჯალათების ხელითა.

1908 წელს ერთმა მდიდარ ხილით მოვაჭრემ, რომელიც ვაჭრობდა პუშკინის ქუჩაზე, თავისი ქალიშვილი თამარა მიათხოვა ავლაბრელ ერთ დულგრის შვილს, რომელიც ფერშლობას სწავლობდა. ამ ხილის ვაჭარმა თავის ასულს გაატანა კარგი მდიდრული მზითევი და 2000 მანეთი ფული. ჯვარის წერის შემდეგ სიძემ აიყვანა თავის ცოლი და წავიდა მოსკოვში. მოსკოვში ყოფნის დროს გამოუცდელ ახალგაზრდა სიძემ ანაზდათ გაფლანგა ცოლის მოტანილი ფული და შემდეგ დაიწყო ცოლთან ნაცნობ უცნობის მიყვანა, რომ იმგზით მაინც თავი ერჩინათ. ამ საქმითაც რომ ვერაფერს გახდნენ, მერე ისევ თავიანთ სამშობლოში დაბრუნება გადასწყვიტეს და კიდეც ჩამოვიდნენ თბილისში. ისინი თავიანთ მშობლებთან არ მივიდნენ, რადგანაც საყვედურს მიიღებდნენ, სახლი დაიქირავეს მოსკოვის ქუჩაზე №9ში, და იყვნენ რამდენმე დღეს. ბოლოს ქმარმა ცოლს უთხრა: „მე ერთი კაცი უნდა მოვკლა და შენ არავისთან არ წაგცდესო". ჩანს, ცოლიც დასთანხმდა, მეორე დღეს ექიმ აღამალოვის სახლის წინ ეტლი დააყენა და თითონ მაღლა ავიდა. როდესაც ექიმი კიბებში იმას მიზდევდა, ექიმის ცოლმა ხელად იმისი მისამართი აიღო და ოთახში შებრუნდა, თითქოს გულმა უგრძნო. როდესაც ექიმ აღამალოვი იმათს ბინაზე მივიდა, თამარა მწოლარე დახვდა, ვითომ შეუძლოთ იყო. რადროსაც ექიმმა წამლის ბარათის დაწერა დაიწყო, სწორეთ იმ დროს ფერშალმა ადრევე მომზადებული წვეტიანი გალესილი დანა მარცხენა ძუძუს ქვეშ მედგრათ ატაკა. ექიმი მაშინვე ძირს დაეცა და სული განუტევა. ფერშალი სწრაფათ მისწვდა, ოქროს საათი თავის ძეწკვით ამოაცალა, მერე ყველა ჯიბები დაუჩხრიკა. ცო-

ტა რამ ფულიც ხელში იგდო. ცოლს ჩააცვა და კარებიც გარედან დაკეტა, ჩასხდნენ იმავე ეტლში და მახლობელ სოფელ თელეთში გაარეკინეს.

როდესაც კარგა ხანმა გაიარა, ექიმის ცოლის გულმა ჩოჩქოლი დაუწყო, თითქოს რაღაც უხილავი ძალა ეუბნებოდა, რომ ჩქარა მიხედე შენს მეუღლესა. ანაზდათ გაეშურა, ჩაჯდა ეტლში, მივიდა კამისარიატში და ყველა აუწყა, საჩქაროზე ერთი აკოლოდოჩნიკი და ერთი გარადოვოი ჩაისო და ეტლი მოსკოვის ქუჩისაკეთ გააქანებინა. როდესაც ფერშლის სახლის კარი დაკეტილი დახვდათ, აქ უკვე საშინელი ეჭვი დაებადათ. სახლის კარები გასტეხეს და შევიდნენ. ნახეს სისხლის ტბაში ექიმი აღამალოვის გვამი გდია. ექიმის ცოლს წამყვანის მისამართის აღების დროს ეტლის ნომერიც აღებული ქონდა. მოსკოვის ქუჩიდან ისინი სწრაფათ რიყეში ჩავიდნენ და მეეტლეთა მამასახლისს ის ეტლი მოსთხოვეს. მამასახლისმა დაუყოვნებლივ ის მეეტლე მაშინათვე მოაყვანინა, რომელმაც დაუფარავათ ყველაფერი უამბო. პოლიციის მოხელებმა სწრაფათ ის მეეტლე ჩაისვეს თავიანთ გვერდზე და გაარეკინეს სოფელ თელეთის ეკლესიის ეზოში, სადაც მომკვლელი ცოლქმარი უფიქრელად ისხდნენ და ფიქრობდნენ. ისინი შეიპყრეს და ჩამოიყვანეს, გამომძიებელს გადასცეს.

იმათი საქმის გარჩევა სამი დღე და ღამე გასტანა, მეოთხე დღეს თბილისის სამხედრო სასამართლომ თავისი განაჩენი გამოაქვეყნა, რომლის ძალითაც ქმარს სახრჩობელით სიკვდილი ქონდა გადაწყვეტული, ცოლსაც 20 წელიწადი ციხე. ერთი კვირის შემდეგ ქმარი ჩამოახრჩვეს და ცოლიც 2 წლის შემდეგ ციხეში მოკვდა.

დაშნაკცუთიუნი

ეს სახელი სომხურად ნიშნავს „კავშირს“.

ამ გვარი დიდი პარტიის შედგენა გამოიწვია ოსმალეთის სულთან ჰამიდის ულმობელმა რეჟიმ-

მა, რომელსაც გადაწყვეტილი ქონდა სომხების ერთიან მოსპობა. მთელს ხმელეთზე სომხობის რიცხვი არ აღემატებოდა ხუთ მილიონ სულს. აქედან 2 მილიონ ნახევარი სცხოვრობდა ოსმალეთის მიწაზე, დანარჩენიც აქეთიქით დაფანტულათ, წინად სომეხთა რიცხვი ითვლებოდა 36 მილიონ სულად. ამ რიგათ იმთავითვე სპარსელებისა, არაბებისა და ოსმალეთის დაწიოკებით და გამაჰმადიანებით რიცხვი ჩამოვიდა ხუთ მილიონზე. ოსმალეთის სისხლის მსმელ სულთან ჰამიდმა ეს რიცხვიც-კი იბევრა და შეუდგა იმათს მოსპობას. მუდმივად სომხების ამოსაჟლეტათ იმან განგებ შეადგინა ქურთებისაგან ყაზახთა დივიზია, რომელთაც საიდუმლოდ დაევალათ, რა გზითაც შეიძლებოდეს, სომხობა მოსპეთო. სულთანის ამგვარ ულმობელ რეჟიმმა ისეთი მტრობა გამოიწვია, რომ უნებურად სომხებიც თავიანთ მთავრობის წინააღმდეგ ამხედრდნენ და აღარ ესმოდათ, თუ რასა შვრებიან. ჰამიდმა ორმოცი წელიწადი იმეფა და ამხნის განმავლობაში შეუწყვეტლივ ოსმალეთის მიწა იღებებოდა სომხების სისხლითა, ერთი ამის ნახევრის ტოლაც თავიანთის სისხლითა. 1877 წლიდან ყარსის ომის შემდეგ სომხებისაგან სხვა და სხვა პარტიები, ყველა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ აბა რას გააწყობდნენ იმგვარი მთავრობასთან, რომლის წარსული და მომავალი სისხლით არის შეღებილი. 1905, როდესაც რუსეთი დამარცხდა და იაპონია ლამის მოსკოვში შემოდიოდა, საქართველოში რევოლუციის ნიშნები გამოჩნდა. ხალხი ქუჩა ქუჩა წითელ დროშებით დადიოდა და ძირს ნიკალაი ყვიროდა. ცარცვა, გლეჯა, მდიდრების გატაცება, დახოცვა და ბარათების მიწერა და ფულის თხოვნა ისე გახშირებული იყო, რომ სახლიდან გასულ ადამიანს შინ დაბრუნების იმედი არა ქონდა.

პოლიცია ველარაფერს აწყობდა. იმათ დაევალათ, რომ მარტო თავიანთი თავი დაიცვან და სიკვდილს მოერიდონ.

თოფიანი პოლიციელის გვერდით თოფიანი ჯა-

რისკაციც დააყენეს. შიშით ბაზარი დაკეტილი იყო და საქონელი სახლებში მიმალული ქონდათ.

აი სწორეთ ამგვარ არეულ დროს დაშნაკელებმაც თბილისში თავი ამოჰყვეს და დაიწყეს სულთან ჰამიდზე უარესი მეფობა. ისე კადნიერად და უშიშრად მოსამართლის როლებს ასრულებდნენ, რომ გეგონებოდათ, ევროპას დაემტკიცებინოს, პადვლებში მშიერი ხალხის დამწყვდევა, საშინელი როზგით ცემა, სიკვდილით დასჯა, კლდებიდან და ხიდებიდან ხალხის მტკვარში გადაყრა, ცოლების გატაცება, ქალიშვილების ძალით გაფუჭება და სხვა. იმათის ამგვარი საქციელის გამოთ ორი სამი წელიწადი მთელი ქალაქის ხალხი შიშის ზარდაცემული ვერაფერს ახერხებდა. ბოლოს ნიკოლოზ მეორემ ნათლად დაინახა, რომ რუსეთის ოთხსავკუთხივ რევულუცია ნელნელა თავსა ყობს, თავის ერთგული მინისტერი ვიტტე იაპონიაში გაგზავნა და შერიგება მოახდინა. ეს შერიგება იყო და საქართველოში ისევ ჯარისა და ყაზახების გამოგზავნა. მაშინ რუსეთის მთავრობამ დაუწყო დაშნაკელების დევნა და დაჭერა. ისეთი საქმე დამართა, რომ დღეს იმათი ხსენება ერთიანად მოსპობილია, ვერც ვინმე გაბედამს, რომ სადმე იმ პარტიის მწევრობა დაიჩემოს. ამგვარად გაქრა და გაიფანტა იმათი უსამართლო მედიდურობა.

სიმშილი თბილისში

ეს ამბავ რომ ეხლა უნდა თქვენ გიამბოთ, კალმით აუწერელი ჯოჯოხეთური უბედურება იყო ხალხისათვის. სიმშილობა და პურის სიძვირე 1879 წელსაც იყო, მაგრამ არც ამგვარი საშინელება ნახა ხალხმა და არც ამდენს ხანს გასტანა. წინანდელი სიმშილობა გამოიწვია რუს-ოსმალეთის საზარელ ომიანობამ. რაკი ომიანობა გათავდა და შერიგება მოხდა, ისევე ძველებური სიაფე და კეთილი ცხოვრება ვნახეთ, ეს უკანასკნელი სიმშილობამკი დიდხანსაც გასტანა და არც თუ ცხოვრების სახ-

სარი სადმე მოიძებნებოდა. წინანდელ სიმშილობას მე მაგალისთვის ვწერავ, თორემ გირვანქა პური ორ შაურ ზეით არ ასულა, ეს უკანასკნელი სიმშილობა ისეთი აუტანელი იყო, რომ პური ან სხვა საჭმელი არც ფულით იშოვებოდა, არც უფულოთა. ამ გვარი დაწყევლილი ხანა იყო მენშევიკების მთავრობის დროს. იმათ რომ თავიანთ გაქცევაში ხიდები ააფეთქეს და ყველა სადგურები გააოხრეს, იმით უფრო ძალიან ვაგლახ დღეში ჩაგვყარეს. თბილისში სანოვაგე ისრეთ მოისპო, რომ საჭმელათ ცარიელ ხახვსა და ნიორსაც ვერ იშოვნიდით, რომ პურის მაგიევრათ გეჭამათ. პირველი მიზეზი ის იყო, რომ გზები ერთიანად გაფუჭებული იყო, მეორე მიზეზი ის იყო, რომ ფული არაფრის გამოსადეგი არ იყო, მესამე მიზეზიც ის იყო, რომ ჭირნახული სოფლებშიაც არ იშოვებოდა. აი ამის გამოთ ქალაქის მცხოვრებელნი აუტანელ დღეში ჩაცვივდნენ. საერთოთ მთელს საქართველოში რამდენიმე წელიწადი მოსავალი მოსცდა, არამცთუ პური, არამედ თივაც-კი არ მოვიდა. ცხენების საცოდავობით ადამიანს თავისი სიმშილობა ავიწყდებოდა, ისინი დაბმულ ალაგას შეღობილ ფიცრებს სჭამდნენ და სიმშილით იხოცებოდნენ. ძალიან დიდი უბედურება და ძალიან დიდი გასაჭირი იყო მეტათ ქალაქის ხალხისათვის. იმ დროს საქართველოს რუსეთთან არავითარი კავშირი არა ქონდა. ამის გამოთ იქიდან ერთი მისხალი არაფერი არ მოდიოდა. ჟორდანიას მთავრობა ისე გაჭირვებაში ჩავარდა, რომ რაღაც უცნაურ ცოცხის ფეტვს ფქვამდა, მერე ფქვილის მაგივრად ქალაქის ფურნებში ურიგებდა. ამ ბალახიდან გამომცხვარი პური ემგზავსებოდა ქუჩის ტალახს. დღეს იმგვარი ვაგლახი წლების ცეცხლებში გამოვლილებს უკვირთ, რომ ცოცხლები არიან, მაგრამ ის ავიწყდებათ, რომ ზამთრის ღამებში ფურნები წინ რიგში მომლოდინე ხალხისაგან მრავალი გამოესალმა წუთ-სოფელს და ზოგიც ისე გაცივდა და დასნეულდა, რომ სიკვდილი სანატრელი გაუხდა. ამაზე უარესი სიმშილობა რუსეთში იყო, ესეთი ამბავი არავის არა გვჯეროდა, მაგრამ როდე-

საც მოსკოვიდან ჩამოვიდნენ და სიმინდის ფქვილები წაიღეს, მაშინ ყველა მიხვდა, რომ ის რუსეთი რომელიც ქვეყანას თავის პურით აძღობდა, ეხლა უვარეს დღეშია ჩავარდნილი. ამ საშინელი ამბების უმთავრესი მიზეზი იყო ხანგრძლივი ომიანობა და ხალხის დაწიოკება, ხვნა და თესვა ვიღას აგონდებოდა, როდესაც ხალხს ბინა და სამშობლო არ გააჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ მარტო იმერეთის მხარეს მოიძებნებოდა მცირე რაიმე საშვალება, თორემ ოთხსავ კუთხივ ისეთი დანა ძვალზე მიმდგარი იყო, რომ შვილების გაყიდვაც მომხდარა და შვილების დაკვლა და ჭამაცა. აქ საკურველი აღარაფერი რჩება, როდესაც ეს სიტყვები თვალწინა გვაქვს, რომლებსაც ქვიან ბრძოლა არსებობისთვის. იმგვარმა საზარელ სიმშილობამ და საროვაგის უვარგისობამ ხალხი ისე დაასნეულა, რომ საავათმყოფებში საწოლი ადგილები აღარ სად იყო.

მშიერი ხალხი ერთთავათ ნაგვის ყუთებში დაეძებდნენ საზანთროს ქერქებს და დამპალ ვაშლებს. ეჭვი არ არის, რომ კუჭის ტკივილები, ხველება, მუცლის წვა და სხვა მრავალგვარი სნეულება გახშირდებოდა. ამ სნეულებებში ყველაზე აუტანელი იყო ტიფი, რომელსაც ქართულად სახადს ეძახიან. ეს სახადი ძველს დროში ძალიან იშვიათი ამბავი იყო. მაგრამ ამ ჯოჯოხეთურ დროში ჩვეულებრივ სატკივრად გარდაიქცა და მთელ ქალაქს ერთიან მოედვა. უწინდელ დროში რომელ ქუჩაზედაც სახადით ავათმყოფი იქნებოდა, იმ ქუჩაზე შიშით არავინ არ გაივლიდა, რადგანაც შესაყრელი სნეულებათ იყო ცნობილი. თითქმის მკურნალებიც-კი ერიდებოდნენ. ეს მოსარიდებელი წყეული სნეულება ადამიანს შეხვდება თუ არა, გონებას დაუკარგავს და საშინელ სიცხეს მისცემს, ისე რომ თუ დროზე არ დაეხმარნენ, სიცხე ტვინში აუვარდება და ანაზდათ გაათავებს. იმდროსაც სწორეთ ესე იყო. რომელი ავათმყოფიც სახლში დარჩებოდა, მოუვლელობისაგან ანაზდათ კვდებოდა. რომელსაც საავათმყოფოებაში წაიყვანდნენ, ისინი კარგის მოვლით სიკვდილს გადარჩებოდნენ, რადგანაც სახა-

დით ავათმყოფს ნაწლავების გათხელების გამოთ არაფერი არ ეჭმევოდა გარდა რძისა და მაწნისა. მაგრამ სახლებში უცოდინარობით პურსა ანუ ხილს აჭმევდნენ ამასობაში ნაწლავი ეხეოდა და ხელად კვდებოდა.

როგორცა სჩანს, სახადით ავათმყოფს ფეხების ტკივილები სამუდამოდ ემცნევა და მუდმივად სიარულში ადვილად იღლება. ოსმალეთიდან გამოქცეული ხალხი ისე ბინძურ ცხოვრებაში და სიმშილში იყო, რომ სწორეთ იმათგანაც მოედვა მთელს ქალაქის მცხოვრებელთა.

იმდროს ყველაზე მდიდარი და ბედნიერი ის სოფლელი გლეხი იყო, ვისაც პური ქონდა. საცოდავი ქალაქის ხალხი გაიცარცვა სახლის ავეჯის პურზე გაცვლითა. იმდროს, როგორც ემცნევოდა, ყველა კუთხებზე მოსავალი ნაკლები იყო, გარდა კახეთის წნორის მხრის სოფლებისა. იქაურ ოსებს ჭირნახული ჩამოქონდათ და ფულის ნაცვლათ მოქალაქების ძვირფასიან ვეშებს ეზიდებოდნენ. იმგვარი ხალიჩები და საბნები მიჰქონდათ, რომ ხმარება არც-კი იცოდნენ, იმგვარი გრამაფონები მიჰქონდათ, რომ დაკვრა არც-კი იცოდნენ. იმგვარი ჭერის დიდრონი ლამპები მიჰქონდათ, რომ ანთება არც-კი იცოდნენ.

მოქალაქები არაფერს ზოგავდნენ, ოღონდ პური ეშოვათ, აი სწორეთ ამ გვარ შემთხვევამ სოფლელების სახლები გაავსო მოქალაქეთა ძვირფასიანი ავეჯეულობით.

ქალაქის ეხლანდელი უბნები

საბურთალო. ახალშენი. ვაკე. ვარდისუბანი. ვერა. ყორყანოვის უბანი. არშაკუნოვის უბანი. მთაწმინდის უბანი. საჯირითო ველი, ანუ ალექსანდრეს ბაღი. გარეთ უბანი. ვანქის უბანი. სურბნიშნის უბანი. შუა ბაზარი. კოლოლთაღი. სოლოლაკი. ფეთხაინის უბანი. კლდის უბანი. სურბ გეურქის უბანი. შეითან ბაზარი. განჯის კარები. სეიდაბათი.

დაბღების უბანი. სურბ სარქისის უბანი. ძველი დამონჟის უბანი. კრწანისის ველი. ორთაჭალა. ეს უბნები ერთიანად მოქცეულია მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეზე. ავლაბრის მხარეს კიდევ სხვა უბნებია ამგვარად. წმინდა ბარბარის უბანი. ნავთულული. ოშპიტლის უბანი. შავი სოფელი. პეტრე პავლეს უბანი. ბოშების უბანი. ბრმების უბანი. კარმის ავეტარანის უბანი. ავლაბარი. სურპ მინასის უბანი. კაზარმის უბანი. ხოჯივანქის უბანი. რიყის უბანი. სურბ კარაპეტის უბანი. ჩულურეთი. კუკია. ნადიროვკა არსენალის უბანი. წმინდა ნინოს უბანი. ნაძალადევი. ლენინის უბანი. ახალი ბაზარი. დიდუბის უბანი და ნემეცების კალონია.

ნახევარ მილიონის თვალეული

მას აქეთ გაუვლია ორმოც წელიწადს, რაც ეს საზიზღარი ამბავი მოხვდა ქალაქ თბილისში. ადესიდან ერთი მდიდარი ებრაელი ჩამოსულა, და სასახლის პირდაპირ „ჩრდილოეთის სასტუმროში“ დამდგარა, რომელსაც თბილისში არც ნაცნობი ყოლია და არცთუ სხვა დროს ქალაქში ყოფილა, ამ ებრაელს უბეში პატარა ყუთით ნახევარ მილიონის თვალმარგალიტი ქონია გასაყიდათ ჩამოტანილი. ეს ებრაელი ისეთი გამოუცდელი ყოფილა, რომ თავიანთ მდიდარი ებრაელების მაღაზიებში მიტანის ნაცვლად მიუტანია შუაბარში და ოქრომჭედლებისთვის უჩვენებია. ოქრომჭედლებს როდესაც გაუსინჯავთ იმგვარი იშვიათი თვალეული, გადაუწყვეტიათ, რომ ეს ებრაელი დაახლოვებით გაიცნონ. მართლაც, თავაზიანის მეგობრობით ურია ისე მოხიბლულა, რომ მთელს ქალაქში ყველაზე სანდო პირებათ უცვნია.

ერთ დღესაც ერთათ უსადილნიათ და თანაც უთქვამთ: „საღამოზე ჩვენთან მოდი, რომ კარგი მყიდველთან მიგიყვანოთ, შეიძლება სულ ერთიანად ავაღებინოთო“. მდიდარ ებრაელს გახარებია. ოქრომჭედლები ორნი ყოფილან, მესამე ამხანაგი

ლუდის გამყიდავი იყო, დუქნების დაკეტის შემდეგ სამნი ისინი და მეოთხეც ებრაელი ჩამსხდარან ეტლში და ორთაჭალისკენ გაურეკინებიათ, ეტლი მიუყვანიათ ადელხანოვის ქარხნის ძირში, მტკვრის ნაპირთან დაუყენებიათ, ეტლი მაშინვე დაუთხოვნიათ და ანაზდათ ებრაელის ხელფეხი შეუკრავთ. პირზე ხელი მიუფარებიათ და ხელად კანაფის ბაწრით დაუხრჩვიათ. თვალეული ხელად უბიდან ამოუცვლიათ და გვამი მდინარეში გადუგდიათ. წამოსულან და ერთმანეთში გაუნაწილებიათ იმგვარი ძვირფასიან თვლები, რომლის მგზავსი ჯერ თბილისში არავის არ ენახა და არცთუ ეხმარა ვისმეს.

ჩვენ როგორც ვიცით, ამგვარი საქმის მქმნელები ძნელად თუ მახეს გადარჩნენ.

ქალაქ ადესაში ებრაელები ეჭვში ჩავარდებიან და იტყვიან: „ასე დაგვიანება რას მიეწერებაო". გამოსწევენ და თბილისში ჩამოვლენ, მივლენ სასტუმროში, ოთახის კარები დაკეტილი დახვდებათ. სასტუმროს პატრონი იმათ აუსხნის, რომ ორკვირაზე მეტია, რაც ის კაცი არა სჩანს, ჩამოსულები პოლიციას მიმართავენ, პოლიციის გამოძიებით იპავნიან ებრაელის „სანდო" ოქრომჭედელ მეგობრებს და ლუდის გამყიდველს. თუმცა ეს სამივე ამხანაგების დუქნები და სახლები ბევრნაირად დაჩხრიკეს, მაგრამ თვალეულის მეტი ნაწილი გაყიდული გამოჩნდა, ის სამივე ამხანაგები ათ ათი წლით კატორგაში გაიგზავნენ, მაგრამ მთელი ის ბაზარი გამდიდრდა ადესელი ებრაელის წყალობით, თუმცა-კი ბოლოს არავის არ შერჩა. ერთი სუმიანად მყიდველიც იყო კოტე კობახიძე, რომელსაც აფერისტებმა ტყვია პირში მიარტყეს და თავის დუქანშივე მიაძინეს.

ადესიდან ჩამოსული ჯგუფი

ეს კარგა ხნის ამბავია, მაგრამ რაკი ჩემი აზრი ისეა, რომ ქალაქში ყველა თვალსაჩინო ამბები უნდა ამეწერა, ამისგამოთ არც ეს ამბავი დავტოვე უყურადღებოთ.

ერთ ჟამად მუდმივად სიყარბეს მიჩვეულ ებრაელებმა რომ რუსეთში თავიანთი თვალთ მაქციობა ვერ გაიყვანეს, ახლა კავკასიაში ჩამოვიდნენ თავიანთის ეშმაკურის მანქანებითა. იქიდან ჩამოხვეტილებმა აქაც მოსძებნეს თავიანთ შესაფერისი ამხანაგები და მიჰყვნენ ათასგვარ ცარცვა-გლეჯას. ისინი ორ ჯგუფათ გაიყვნენ, ერთი ჯგუფი დაბინავდა ჩრდილოეთის სასტუმროში და ხელი მიჰყო თეზაპში ოქროს ჩაგდებით ოქროს მოპარვას, მეორე ჯგუფმა ხელი მიჰყო და სადაც რკინის კასები იყო, ყველა გაცარცვა. ჩრდილოეთის სასტუმროს ქურდების საქმე უფრო ადვილი იყო, ისინი ხუთმანეთიანი ოქროდან ათიშაურის ოქროს იპარავდნენ. თუმნიანი ოქროდანაც ერთი მანეთისას იპარავდნენ. თბილისის სამაზრო და საქალაქო სალაროს უფროსი ისე მობეზრდა გაფხეკილი ოქროების მიღებით, რომ ბოლოს სასწორი შემოიღო და ყველა საეჭვო ოქროს ფულს სწონავდნენ და დანაკლისს გამორიცხავდნენ ხოლმე, მაგალითათ, თუმნიან ოქროს ღებულობდნენ ცხრა მანეთად, ხუთმანეთიან ოქროსაც ოთხ მანეთად და ათ შაურად, ეს ჯგუფი კარგა დიდხანს მუშაობდა თავის საიდუმლო ოთახში. ბოლოს პოლიციამ იმათ კვალს მიაგნო, დაიჭირა და ყველა კატორგაში გაგზავნა. იმათი ნაქონი ოქროები ბაზარში დიდხანს მუშაობდა.

მეორე ჯგუფი ებრაელებისა შეუერთდა იქაურ ქურდებს და მიჰყვნენ ზედი ზედ კასების გაცარცვას. ამბობენ, იმათი ჩამოტანილი იარაღი კარებს ისე სჭრიდა, როგორც მენაღემ დანით ტყავი გასჭრასო.

იმათ პირველათ ვარანცოვთან ვენეციის სასტუმროში დაიქირავეს ერთი ოთახი. იმ ოთახში რამდენიმე დღეს დარჩნენ. მერე იატაკი ამოსჭრეს და ჩავიდნენ მდიდარი ფირმის პატრონ პერლოვის ჩაის მაღაზიაში, ერთ ღამეშივე კასა გახერხეს და დიდი ძალი ფული გაიტაცეს. მერე სასახლის ქუჩაზე ვიქტორია სასტუმროში ერთი ოთახი დაიქირავეს, იქიდან იატაკი ამოსჭრეს, ჩავიდნენ ბრილიანტეულის მოვაჭრე ებრაელი კაცის დუქანში, კასა გასჭრეს და აუარებელი ზინეთი და ფული გაიტაცეს.

შემდეგ მუხრანიანთ ხიდის ყურიდან თაღის ქვეშედან ამოვიდნენ, ბოზარჯიანცის მაღაზიის იატაკი ამოსჭრეს, მერე კასა გასჭრეს და დიდი ძალი ფული და ოქრო გაიტაცეს.

იმის შემდეგ ავლაბრის ხიდის ახლოს დიდი მოვაჭრე იაკობ ბაიანდუროვის ფოლადის კასა გასჭრეს და ბლომათ ნაღდი ფული გაიტაცეს. იმის შემდეგ მდიდარი ბითუმად მოვაჭრე სეილანოვის ფოლადის კასა ამოსჭრეს და დიდი ძალი ნაღდი ფული გაიტაცეს.

ამგვარად ეს ჯგუფი რამდენიმე წელი თბილისში ამ გვარ საქმებს ჩადიოდა, მაგრამ იმათი დამჭერი ვინ იყო.

გალიცინი

ძველს დროში, ჯერ ისევ კერპთა მწამლობის ჟამად, საბერძნეთში ერთი კაცი სცხოვრობდა, სახელად კალისტრატი. ეს კაცი ყოველთვის ფიქრობდა, რომ როგორმე დაუვიწყარი სახელი დაეტოვებინა. ბოლოს თავის თავათ სთქვა, კარგი საქმით არ შემიძლიან და ავის საქმით მაინც რაიმე მოვახერხოვო. აიღო და მართლაც დიანა ღმერთის ტაძარს ცეცხლი წაუკიდა და გარდასწვა, რომელიც მთელს ხმელეთზე ერთ გასაოცარ ნაშენებად ითვლებოდა.

ამ გვარად კალისტრატის სახელი ძველს ისტორიებში ჩაიწერა, არამცთუ კეთილი საქმისათვის, ანუ საგმირო მოქმედებისათვის, არამედ ყოვლად საზიზღარ და უკანასკნელ წერტილამდე ბოროტ მოქმედებისათვის, როგორც იხსენებიან ირონდი ურიათა მეფე და საძაგელი ნერონი.

კავკასიის მთავარ მართებელი თავადი გალიცინიც ეკუთნოდა იმგვარ ხალხის ჯგუფს. იმან შხამიანი გველისავით დაშხამა მთელი კავკასიის ხალხი და სისხლის მსმელად ერთი მეზობელი მეორეს მიუსია.

ძალიან ძნელი წარმოსადგენია ის საქმები, რაც იმ იუდამ საქმები ჩაიდინა და ძნელი დასაჯერია ის მოქმედება, რაც იმან იკადრა, იმან რკინის გზის კანონები ერთიანად შესცვალა და მოსამსახურეთა

ხელფასები ნახევარზე დასწია. ის საჩუქრები, რომელიც ყოველ ახალწელს და აღდგომას მთავრობა აძლევდა 200,000 მანეთს, ერთიანად მოსპო. ნამსახური უძლური მოხელეთა პენსიები მთლად მოსპო. მოსამსახურეს წლიური ბილეთით ნათესავების სარგებლობა მოსპო, მოხელეთა უფასოდ ბარგის გადატანა სადმე და სხვა მრავალი ამისთანები სრულიან მოსპო. ახლა ნახა, რომ რევოლიუცია ნელნელა იღვიძებს, იფიქრა, იფიქრა და სომეხ-თათარი ერთმანეთს ისე გადაჰკიდა, რომ სისხლი ღვარივით მიდიოდა. დაიბარა ერევნისა, განჯისა და ბაქოს გუბერნატორები და თავის გესლიანი მოსაზრებანი იმათ გაუზიარა და თან სასტიკი ბრძანება გასცა, რომ იმათ ფული და იარაღი უშურველად დაურიგონ მუსულმანებს და თუ შესაძლო იქნება, ძირიან ფესვიანად მოსპონ სომეხთა გვარი და ხსენება. თითონაც შიშით სასახლეს გარშემო ცემენტის კედლები შემოავლო და შიგ პადვლებში ყაზახთა როტები დააყენა. განზრახვა ქონდა, რომ ამგვარათვე ქართველი და სომეხი გადაეკიდნა და ერთმანეთი უშურველად ამოეხოცებინა.

მაგრამ ამით საწადელს ვერ მიეხწია. სომხებმა გუბერნატორები დაუხოცეს და თითონაც ცოლით სასეიროთ მიმავალი სოლოლაკზე თავისავე გაყვანილ გზაზე თავში დასჭრეს, რომლის მიზეზით ავაზაკისავით ქალაქიდან ერთ დილით გაუთენებლივ გაიპარა და რუსეთში სული დალია. როგორც ვსთქვი, კავკასიაში სახსოვრად დასტოვა თავისი ჯოჯოხეთური საქციელი. იმისავე მიზეზით კამენდანტ გრიაზნოვმა რუსის ბაზარში ყაზახებს უანგარიშო ხალხი დაახოცინა და საქონელი გააცარცვინა. ამის გამოთაც არსენა ჯორჯიაშვილმა ეს საქმები ვერ აიტანა, თავისი თავი ხალხს შესწირა და გრიაზნოვი ბომბით მიასაკლავა.

სიტყვების განმარტებები

1. ნახში – ნახშირი.
2. წალო – კედლის განჯინა ლოგინის შესანახად.
3. თახჩა – კედელის კარადა, თარო ჭურჭლისა და სურსათისთვის.
4. სუზანი – ფერადი, ნაქარგი ქსოვილი (ტახტზე გადასაფარებელი, კედელზე გასაკრავი, სუფრა).
5. ონაბი (უნაბი) – ტკბილნაყოფიანი მცენარე.
6. მაყაში – მაშა; მაკრატელი, რომლითაც სანთლის დამწვარ თავს ჭრიან.
7. აბა – აქლემის მატყლისგან ნაქსოვი გრძელი წამოსასხამი.
8. ყანაოზი – აბრეშუმის ქსოვილი.
9. ყოშებიანი (ყოშუბიანი) – ღიასახელოიანი.
10. ბუზმენტი – ოქრომკედის ფართო ზონარი.
11. კლაპიტონი – ოქრომკედის არშია.
12. ხაბარდა – კრინოლინი, განიერი კაბა.
13. ბლონდი – კარგი ხარისხის, წმინდად ნაქსოვი ქსოვილი.
14. ნასტაი (ნასთი) – ნართი.
15. ქანი – კარის დირე.
16. შილა – ბამბის წითელი ქსოვილი.
17. ასასი – ღამის დარაჯი.
18. იშკილბაზი – ოინბაზი, მატყუარა.
19. დაბახანა – ტყავის დასამუშავებელი ქარხანა.
20. თაბუნი – გუნდი, ჯგუფი.
21. დოშლუღი – პერანგის, ახალუხის გულისპირი.
22. სანთური – სიმებიანი საკრავი (ებანი, ჩანგი, ქნარი).
23. ქოცო – პატარა ქვევრი.

სარჩევი

მხატვარი კარაპეტ გრიგორიანცის ბიოგრაფია 7

ძველი თბილისის იშვიათი ამბები

ქალაქის სახლები 13
ძველი დროის სანათი 16
ძველებური ტანთ-საცმელები 19
მაშინდელი ქარხნები 24
ფოთი-თბილისის რკინის გზა 29
ქორონიკოს ანგარიში 32
ვარანცოვის გავლენა 32
მგელ-კაცის ჩამოხრჩობა 33
თულუხჩები 34
ყეინობა 34
თეატრი და ცირკი 36
ბუნტი ნალოგის გამოთ 39
იმ დროის პოლიცია 39
ავაზაკი ტატო წულუკიძე 41
მეხის დაცემა ნარინ-ყალაზე 44
მეხის დაცემა სასახლის წინ 45
როსკიპები 45
ქვის კრივი 49
მუშტის კრივი 50
ჭიდაობა 51
მატინოვის ღვაწლი 52
სანოვაგის სიაფე 53
ნასრ ედდინ შაჰი თბილისში 54
საშინელი კალია 54
წვერიანი ქალი 56
დიდი ცეცხლი არსენალში 59
ბუხარის ემირი თბილისში 60
გრიგორ არწრუნის დასაფლავება 60
შვილის მკვლელი 63
მტკვრის ადიდება 63
ამქრების დროშები 64
გველისაგან დაშხამული ღვინო 65

ხიდის ჩატეხა 66
ხოლერა თბილისში 69
ასი წლის დღესასწაული 70
მირზოევის ქარხანა 71
ღამღამობით ქვის სროლა 72
უცნაური ფეხით მოსიარული 73
საზიანო სეტყვა 74
მაღალი აბელა 74
ყალბი ფულის მომჭრელები 76
ბატანიკური ბაღი 76
კავკასიის გამოფენა 79
200,000 მანეთის წართმევა 80
ვანო მაჩაბლის დაკარგვა 81
იმ დროის წიგნები და მწერლობა 82
თბილისში შემოსასვლელი გზები 84
ძველ დროის კინტოები 86
ქალაქის ჰავა და მდებარეობა 89
ძაღლის ხორცი 90
ძველ დროის აშუღები 91
ძველი დროის საზანდრები 92
ივანე მუხრანსკის სადილი 94
კოწია მუხრანსკის დაჭრა 95
ავაზაკი მიხაკ გულაკოვი 99
არშაკუნოვის სახლები 101
ექიმი ალამალოვის მოკვლა 102
დაშნაკცუთიუნი 104
სიმშილი თბილისში 106
ქალაქის ეხლანდელი უბნები 109
ნახევარ მილიონის თვალეული 110
ადესიდან ჩამოსული ჯგუფი 111
გალიცინი 113
სიტყვების განმარტებები 115